

# ქართველი მუნიციპალიტეტები

2-3

## კუთხის და კრიზის

გრიგორი არაშვილი  
იაზა ბუჩქალაძე  
ავირინ გაგვაიგიანა  
კლიმენტი გოგიაშვ  
ვანიონ დარახველი  
ზარდო ლოლიაზვილი  
ხევიან მოთავსილი  
გორგონ კლაველი  
ლავით კოგიძე  
ა. იასალიშვილი  
შევარა გველაძე  
გიგ. ჭოფხაძე  
ნიკ. გავარაძე  
ლავით გაგარაძე  
ალ. განიძე  
თემა გუგლაძე  
ვალ. ხოგისაინიანი და სამ.

## შრომის და გიგანტურის დაწყება

ქართველი მუნიციპალიტეტები  
მიზანი გილავანი

# ქართველი მწერლები

სრულიად საქართველოს კულტურული მდგრადი მოვალეობის კავშირის ყოველთვითი სამსახური-სალიციაფერო ქურნალი

2-3

ფელიბალი-პირველი

სარედაქციო კოლეგია:

[REDACTED]  
ლ. რიანიშვილი

ჭ. ბოგოლეინი (3/მგ. მდინარი)

[REDACTED]  
ელ. პოლუალიძენოვანი

ებ. ენურიძე

აკ. რევოლუციონი

ჭ. ლოლიაზვილი

პ/მგ. რედაქციონი:

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. მწერალთა სახაზლე. ტელ. № 1—65.  
მთავლიტი № 11-ბ ცეკვაშირის სტამბა. ღაკვეთა № 340. ტირაჟი 3000.

## ლექსი დაზგასთან

ეს სართულები მძღავრ შრომის ცეცხლში  
მტრის გულსაკლავად აღიან ცამდე.

შაბაშის შემდეგ, სამჭედლო ცეხში,  
ამ სტრიქონების დაწერა ვცადე:

ქვეშ მოყვენ კალამს მტკიცე აზრები,  
წიგნს დაეწვეთა ლირიკის ცვარიც,  
მოვალთ ქარხნიდან ახალგაზრდები,  
რომ პოეზის შევაღოთ კარი.

ჩვენ გავუზრდივართ დაზგებს სელმაშის,  
აღარ მივიყენათ ბორბლებს მარცხამდე.  
სთქვა ჩამომსხმელმა: — „ლექსის წერაშიც  
თავი დამკერელად გამოვაცხადე“!

ელექტრო-შუქთან შენაბრძოლები  
მიიპარება მშიშარა მთვარე,  
სახელოსნოდან ჩემი სწორები  
გამორეკავენ ლითონის ხარებს.

ქარხნის ხმაურში ასე იქმნება  
ჩვენი ეპოქის დიდი მწერალი,  
გრძნობის ხანდარი აღარ გვიქრება  
და გამარჯვების მოჩანს მწვერვალი.

ახალი ქვეყნის ენტუზიასტებს,  
მკერდში გვინთია ელექტრო-ჭალი,  
სასტიკი ბრძოლა გვხასიათებს  
და ფოლადივით სიმღერა სალი.

გვებრძოდენ მტრები გაშმაგებულად,  
სისხლის რუები შესვენ მიწებმა,  
ბრძოლა ჯერ აღარ დამთავრებულა,  
დიდი ბრძოლები ისევ იწყება.

ცა შეუსკრიათ წითელ ჭოლებით,  
მწვანე მინდვრებსაც აჩნიათ სისხლი,  
ო, რამდენია გმირულ ბრძოლებში  
დალუპულ ძმების საერთო რიცხვი!

მტრებთან შეტევა ისევ ხელდება,  
მაგრამ მრისხანე ჩვენც ვართ მსაჯულნი,  
ვინ იცის იმათ ბინძურ ხელებმა  
მოსპენ რამდენი იარაჯული!

<sup>1)</sup>

კალაში უნდა გახდეს ლახვარი,  
რომ გააციოს მტრების გულები,  
შრომის ქვეყანას ვუმღერთ, დავხარით,  
მილიონ წლობით დაჩაგრულები.

ჩემო ქარხნებო, გრიგალურ ხვნეშით  
მტრის გულსაკლავად აწვდილხართ ცამდე,  
მეც დაზგის მუშამ მჯოსწების ცეხში  
თავი დამკვრელად გამოვაცხადე...

<sup>1)</sup> ბ. დოლიშვილის პოემის გმირი.

ს ი ს ი ლ ი

გიცანი...

ჩქარ მატარებელს

შენც ჩემთან ერთად მოყვები,

კვლავ თურაშაულ ვაშლივით

გილაულაუებენ ლოყები.

თვალგატეხილი მალიმალ

შეგყურებ, როგორც შეშლილი,

კვლავ შენი ეშხით მთვრალი ვარ,

უძეირფასესო სესილი.

ლამის სირცხვილით დავიწვა,

ალექსი ისე მეღება,

ნეტავი თუ დაგავიწყდა

შენ მზეჭაბუკის ვედრება.

— თუ კი რომ ჩემი იქნები,

არ მოგაკარებ. ცივ ნიავს,

დღესაც ეს ნაზი სიტყვები

დედის ნანაზე ტკბილია.

— რად დუმხარ, კვლავ შენებურად

გაიათები დასძახე,

ხომ ხედავ ჩამომელულა

და ნეურვეულად ვცახცახებ.

— გახედე ქართლის ტრამალებს,

ლორთქო ჯეჯილებს ლელიანს,

დალლა დაგეტყო რა მალე,

ჯერ გორიც გაუვლელია.

— გახედე, ყანებს, რა რიგად

წამოუქროლეს ბინდებმა,

და სიხარული სარკმლიდან

მტრედივით შემოფრინდება.

— გახედე, გალმა ტევრიდან

მთვარე ბურთივი თ მოგორავს,

მითხარი რად არ მლერიხარ,

უძეირფასესო გოგონა.

მინდა, რომ მოგიახლოვდე,  
მაგრამ მეჭრება მუხლები.  
ნეტავ კვლავ იყო, ვნატრობ მე.  
ყვავილი ჯერ ხელუხლები.  
მატარებელი კვლავ მინდვრებს  
სულმოუთქმელად მიჰკივის,  
გრუხვენოდეს თვალს რო მარიდებ.  
(სახე ალექსილს გიუივით).

— ჩეიდმეტის ვიყავ, როდესაც  
ხულოში გაღმომაგზავნეს.

მითხრეს: „იქ წასვლა არ გიჯობს,  
ახლოს გაიცნობ აჭარლებს”.

მყავდა შეგირდათ თეთრწვერა:  
ჯემალ,  
ხუსეინ, მურთაში.

ყველა მათგანი ხელწერას  
ჩემგან სწავლობდა გულდასმით.  
პირველ დღეებში შიში და  
სევდა მფარავდა მუდამ მე,  
მაგრამ წამოსევლას მიშლიდა  
ტაშად მთა, ქერა მუჰამედ.

— ჯელო!

სირცხვილი არ არი?

ჯმუხა აჭარლებს გვიწუნებ,  
გვიჩვენე გული ალალი,  
საკუთარ მომედ გიგულებთ.

— მომწყინდა...

— თავს ნუ იმართლებ,  
მტკიცედ ჩავკიდოთ ხელიხელს,  
გვწყურია: წიგნი—სინათლე,  
მრავალ წლით ჩამორჩენდლებს.  
გაგვიძებ წინ და მოგყვებით,  
ვკაფორ უტეხი შარები,  
თუ გვილალატე მოკვდები,  
მტერთხ ვართ უშიშარები.

ერთ დღეს მომეცა შემთხვევა,  
მუჰამედს სტუმრად ვწვევოდი.  
ბოლო არ უჩნდა ჩემს ლელვას,  
შენ რომ ოთახში შემოდი,  
რადგან პირველიდ ვიხილე  
უჩადრო ქალი აჭარლის,  
(სხეულმა იგრძნო სიფხიზლე

სისხლმა დუღილი — მაქარის).  
 თითქოს გულს მოხვდა საამო  
 გაუშლელ ვარდთა სურნელი,  
 მაშინ შენ იყავ, ლამაზო,  
 ჯერ კიდევ ტეხნიკუმელი.

გაცნობის დღიდან სულ რიდით,  
 თრთოლვით მიწვდიდი ლორთქო ხელს,  
 თვალის ჩინივით ვუვლიდი  
 შენგან ნაჩუქარ ფორთოხლებს.  
 რადგან მეგონა ჩემსავით  
 ტრფობის ალმურით იწოდი,  
 თორემ შენს მიმართ, ბედშავი,  
 არატერს ალარ ვიტყოდი..

ველოდი...  
 მართლაც მელირსა  
 შენი პირველი ბარათი,  
 ნეტავი არ წამეკითხა,  
 მოულოდნელად გავქვავდი.  
 მწერლი:

„ძვირფასო ძამიკო!  
 მისმინე, როგორც მოკეთეს  
 (ეს რომ მშობლებმა გამოგონ,  
 ორივეს თავებს მოგვკვეთენ).  
 სად თქმულა, აბა მითხარი,  
 როდისმე აჭარლის ქალი,  
 ქართველ კაცს  
 კოლად ყოლოდეს,  
 ეს გავიგონე მხოლოდ დღეს.  
 თუ გინდ გავბედო ლალატი  
 უსასტიკესი მამისა,  
 სად გავიქცევი, ადათი  
 მაინც მომძებნის გვარისა.  
 ესც არ იყოს...“

ამ ზაფხულს  
 მოსკოვში მივემგზავრებით:  
 გულნარა, მზია, ხარამხუ  
 (ჩვენივე სოფლის ქალები).  
 გვინდა იქიდან ნასწავლი  
 ინერნები დავბრუნდეთ,  
 შენ კი უმწიკვლო განზრახვით  
 ჩვენ დიად გეგმას ამრუდებ.  
 არა, ძმობილო, დამესენ,

ეს დედამიწა ვრცელია  
(ბევრს ნახავ შენ ჩემს გარეშეც  
გულთბილ ამბორს რომ ელიან).  
ბოლიში...

ძლიერ გაგრძელდა  
შენდამი ჩემი ბარათი.“  
სახელს ქარავმით აწერდა  
ლურჯ კონვერტს ალვისტანადი.  
მას შემდეგ...

უამთა რბენანით  
წინ ექვსი წელი გაცურდა,  
გიკერ და ვფიქრობ: ნეტავი  
განზრახეა შენი ასრულდა?  
როგორ გავიგო სიმართლე,  
წინ ვერ წამიღვამს ნაბიჯი,  
ჯანდაბას...  
მუდამ მლელვარი  
დღეს ასე როგორ დავდინჯდი.  
სალამი...

ველარ მიცანი?  
შალილ! (შრიალი გაისმა),  
აენთე, როგორც ცისკარი.  
ვარდისფრად განთიადისას.

ლიმილით მტყორცნე:  
— ხომ კარგად,  
და (კვლავ. თვალებით დამფერფლე):  
ეს გული ისე ტოკავდა;  
პასუხი ძლივს მოვახერხე.  
თვალშინ ბინდივით შეირჩა  
მოგონებუთა გუნდები,

— დღეს უკვე ინუნერი ვარ,  
აჭარისტანში ვბრუნდები.  
საბჭოთა აღმენებლობას  
უნდა შევწირო ძალლონე  
(თავი სიზმარში მეგონა  
მე ამ სიტყვების გამგონეს).

ლელვილს:  
კა ქუდათ მიმაჩნდა,  
მიწა ქალამნად კიდევ და  
(ჩვენ საუბარში რიცრაუმა  
სარქმლიდან შემოიხედა).  
— ნახვამდის...

უკვე მივსულვარ  
 (აი სადგური ჯუმათი).  
 — უნდა გვესტუმრო,  
 არ გახსოვს.  
 მუჰამედს რა რიგ უყვარდი,  
 წამოველ...  
 უკან წამომყვა  
 ეგ სახე და ქრუანტელი,  
 მხრებზე ფიქრები მეყარა,  
 ფიქრები თოვლის ფანტელი.  
 ბატარებელი კივილით,  
 ჯუმათის ბაქანს გაშორდა.  
 მას გაყეა შენი ღიმილი  
 და შორეული ბავშობა.  
 ჩეტავ მამლერა მეც მათთან,  
 სახლში ღელვით რომ გელიან,  
 ჩემი პირველი გოგონა  
 დღეს უკვე ინუენერია).

1934 წ. იანვარი.

## ლ ღ თ ი

(ნამდვილი: ამბავი).

ენტილი პირველი

1

მქონდა შემთხვევა; ჩაველ მ ტკვრის პირზე,  
სად ტალღა ტალღას შფოთით აწყდება,  
მძლავრ ელსადგურის მძლავრი მდინარე  
ლრმა კალაპოტში მიიზლაზნება.  
მტკვრის პარზე ჩანდა მიწური ქოხი,  
ქოხის გარშემო იდგა დუმილი,  
და ბექებს ხრავდა ბრაზიან ოხერით  
ტალღების ცემა – მძლავრი დუღილით.

2

მიწავ, ცვლილება გახასიათებს,  
შენ კი, მდინარევ, სირბილი მუდამ,  
ასევე წინსვლა ადამიანებს  
ლოზუნგებით თვალებ წინ უდგა.  
ამაო არის ბებიის ხელით  
დღეგანწირული სხეულის დაცვა;  
განვლილ გზას კვლავ წინ ნულარვინ ელის,  
ცხოვრებამ კითხვა ამგვარად დასვა.  
ნუ ეძებ ახლა ობიან მარცვალს,  
წინაპართ ჩონჩხებს, შვილების ნაცვლად,  
რა საჭიროა ჯურლმულში ჩასვლა,  
თუ გზიზრახე მწვერვალზე ასელა?!:  
არის კანონი დაურღვეველი,  
მისთვის არ იცის კაცის ტყუება,  
და ამ „მიზეზით“ შხამის მნოხეველი  
დღეს ორ გზას ველარ შეეგუება...

3

ქოხის გადაღმა, სანაგვე ბექთან  
მზეს პაცანები დაფიცხებოდენ,

ტანგამურულნი, ათივე ერთად,  
გამწარებული იქექებოდენ.  
„პაცანებო! რომ დადიხართ  
მუდამ ტანშიშველი,  
უსაქმურად რას აგდიხართ,  
გააქნიეთ ხელი!  
შრომა რომ არ მყვარებოდა, --  
მშრომელის სახელიც,  
მეც პაცანა ვიქნებოდი,  
თავის საძაგელი.  
მზის მყუდროზე დავჯდებოდი,  
ძაძით გაკუჭნული,  
კაცი კაცს ვერ ჟევხვდებოდი  
მეგობრული გულით.  
რომ მოგმართავთ, მე არა მსურს  
ვენდო მხოლოდ სიტყვას,  
თუ არ დასწვავს გულში ჩასულს  
ბურუსივით კითხვას!..“

4

გავყევ მტკურის ნაპირს (არა ოცნებით),  
თან დავცემეროდ ოსლალ ბეჭიდან,  
და აგერ ქოხიც, შავი ბოძებით,  
წინ წასაქცევად გადმოზნექილა.  
ქოხის წინ ლოდზე იჯდა პატრონი,  
შორს გაეტაცა შორეულ ფაქრებს,  
თან ხშირად შლიდა სიტყვიერ წყრომით  
კეთროვანივით გამურულ თითებს.  
ხალათის ბოლო წელს ვერ სწვდებოდა  
სიძველით ერთობ შემორღვეული,  
იქნებ შარვალიც ენალვლებოდა,  
საჯდომზე შვიდგან გამოხეული!  
მივეც სალამი... ის კი დაბლიდან  
მიცემერდა დიდხანს პირდაღრეჯილი,  
ძლივს ეტყობოდა ცხეირი — სახიდან  
ავ სენით ძირში ამოგლეჯილი.  
და მისი ცხვირით სუნთქვა მიჰვავდა  
ფოთლიან ტყეში შევარღნილ ნიავს,  
როცა დაურბენს ორმა ხევებს — ან და,  
კვლავ გამოიტანს მინდორზე შრიალს.  
ასე შეტყველობს ნაკერი შუბლიც:  
რომ ბექრი ბოთლი ზედ მილეშილა,

და სიმთვრალის ღროს ატეხილ ჩხუბში  
ხუთ სანტიმეტრზე ჩამოფხრეწილა.

### აპორი

ვინა ხარ, ძმაო, რა გინდა შენ აქ,  
ან რატომ ცხოვრობ განმარტოებით?  
აი, შენს ქოხში ქურასაც ვხედავ—  
ჩემს თვალებს რალაც ეუცხოები!

### ლოთი

ჩემი წარსული გინდა მოგიყვე?  
ვარ ზეინკალი, მუშა ხელობით,  
ჩენთვის ცხოვრება იდგა მწირ რიყეთ,  
თავზე უდიერ უდარდელობით.  
ოჯახი მძიმე ტვირთად ამჟიდა  
ძველი ცხოვრების საშინელებამ,  
იმ დღიდან ოჯახს, ვით ცოდვა—ვზიდავ,  
მოველ აქამდე—შენ როგორც მხედავ.  
— ჯელი ვარ და არა მყავს ტოლი—  
ვთქვი:—შემიძლია ოჯახის ჩჩენა.—  
მე ამ იმედით შევართე ცოლი,  
მაგრამ ძირს დამცა შემცდარმა ჩწმენამ:  
ვერ ვუპატრონე ცოლსა და შვილებს  
მათ ამის გამო ვეჯავრებოდი...

### აპორი

ოჯახს რად ათვლი შემცდარ ნაბიჯებს,  
არის ცხოვრების მიხნის სისწორე,  
სიცოცხლეს მაშინ რალა ფასი აქვს,  
თუ რომ კუნძივით მარტოდ იგორებ.  
შენ ეს მითხარი: მძიმე დღეებში  
ოუ შეუბრუნე მელავი ჯალათებს,  
თუ აგივარდა თრთოლა ხელებში—  
საკუთარ ტყაჯში მოიკალათე?..  
როდესაც დროშა მეამბოხეთა  
ხელიდან ხელში გადადიოდა  
და ბრძოლის ხმებმაც ზეირთი მოხეთქა  
მთა ჩრდილოეთის სანაპიროდან!  
იდგა გარშემო სისხლით ნარეცხი  
გზა—ბორკილებით გადაკეტილი,  
ვერ აკავებდა ზეირთს ოქრო-ვერცხლიც,—  
შენ რალა გქონდა გადაწყვეტილი?

### ლოთი

ტყუილს არ გე ჸყვი, ან რისთვის მინდა,  
ვიყავ მეც ერთი პარტიზანელი,  
ვიდექ ერთგულად მეც ჩემი მხრიდან,  
ამხანაგებთან დაუზარელი.

შევიქნ მალე მტრის „შენიშნული“,  
გადამიწევიტეს ერთხელ წლით ციხე,  
და ამის შემდეგ გამიტყდა გული,  
შტრების წინ ქედი მე მოვიგრიხე.  
ვთქვი: — ეს ცხოვრება ჩენ არ გვეკუთნის  
გარდა საშინელ შხამის და ცეცხლის —  
ბედს შევაყარე სიმწარით ფურთხი,  
ავდექ და სასმელს მოვკიდე ხელი.  
ვგრძნობდი: არაყი რომ მიღახავდა  
შრომით მოქანცულ სხეულის ნერვებს,  
სახლში ცოლ-შვალი რომ ვერ მნახავდა,  
შესრულდებოდა საღამო მერვეც.

### ავთორი

აგირჩევია ძლიერ ცუდი გზა,  
შენ გგონებია ვითომც ადვილი,  
მტერის მაგიერ დაგინახია  
საქუთარ თავთან ბრძოლის ადგილი.  
როცა არბევდა მშიერ არმებს  
გაბოროტებით მშრომელ ხალხს მტერი,  
შენს ამხანაგებს თუ სიტყვა მიე —  
რომ განიშნებდენ ციხიდან ცემით?..  
და შენ კა იმ დროს დაემორჩილე  
იმედდაკარგულ ბედის ტყვეობას?  
აღექ და გულში ჩაჭკალი ლვინით  
შვილების ვალი, ბრძოლის მხნეობა!  
ჩენ თუ რაც გვძულდა, დღეს რასაც ვებრძოთ,  
შეგრჩა განუყრელ თვისებათ დღემდე,  
ნეტავ რას ფიქრობ უკეთესს შენთვის,  
მთელი სიცოცხლით მაგ გზას რომ ენდე?!

### ლოთი

კარგი რჩევაა!.. შეი მომეწონა,  
რომ ცუდი არის ამ გზის მიყოლა,  
მე მისით ვული მუდამ მეწოდა,  
რომ მომსპო კაცი, მზე ჩამიქოლა.

რომ არ დავლიო სასმელი დროზე  
მომკიდებს ხოლმე ტანში „ცხროება“;  
არ დავიშურებ ჭიქა არაყზე,  
რაც ქვეყანაზე მომეპოვება.

ვხედავ ძველი დრო რომ შეიცვალა,  
ხალხმა მონობა ძირს დასკა შფოთით,  
მძიმე წყლულები როცა მიმცხრალა,  
მე ისევ დავრჩი ოხერი ლოთი.

ქარხომმაც ბევრჯელ მომმართა რჩევით,  
„რაზედა ჰლუპავ ნორჩად შენს შვილებს,  
ჩვენს ქარხნის მუშას ეგ არ შეშვენის,  
ადექ და სასმელს გადაეჩიიე!..“

ერთხელ მე ჩემდა საუბედუროთ,  
ჩვენს ქარხანაში მივედი მთვრალი  
და სულ უბრალო რაღაც შემთხვევით  
ჩვენი საამქროს მუშა მოვკალი!  
მომხსნეს ქარხნიდან იმავ დღესავე,  
სახლში ცოლ შვილმაც აღარ მიმილო,  
შეც მივატოვე მონათესავე —  
ჩემი წარსული მოკლეთ ეს იყო.  
ხელობა ძაქვს და აქაც ვმუშაობ  
რომ არ მომაკლდეს ლვინო-არაყი!.. —  
ლოთურ ცხოვრებით გატაცებულმა  
ამოიხედა თან სიამაყით.

### ავტორი

სადა გაქვს ბინა, სადა გყავს ცოლი,  
შენ ამას შენს თავს რატომ არ ჰკითხავ?  
დრო შეიცვალა, მაინც ხარ ლოთი,  
შენ ამისათვის ვინ არ გაგვიცხავ!  
არსად სკამები, არსად მაგიდა,  
არსად ზეწარი, არსად საბანი,  
ასეთ ცხოვრებას რამ შეგარიგა.  
ჩაუცმელი და ტანდაუბანი?!?  
რად არ მოგძულდა მარტოდ ცხოვრება,  
რად არ მოგინდა შვილის ალერსი,  
რამ შეგაყვარა ლვინო, არაყ და  
მაგ პატარა ქოხს თიხით გალესილს!  
რად არ მოგძულდა ეგ ხეტიალი,  
რად არ მოგინდა შრომა გმირული,  
რად არ გიზიდავს ამ სართულების  
თაღები, მტკიცეთ შემოკირული!

մյ ալար զուրո, ամ յշըսանանց  
և եցա հալո գոյցարս սամելու ս գարճա,  
ժշյելմա լքուրեծամ դագամանջա,  
դամանջյեծուլ կապա գացիարճա!  
հացոյիրճա, օյբա յապո լուգուտ,  
տոտյու դայբա սոյցուլու վուտո,  
ուժնազ գածիրթյունճա ծեղու լուգունուտ  
մուսո գաշլուլու նայերո մշյելո.  
մոցեցու: գայինճա ցուլմո եանձարո,  
տան դալցուրեմուլմա տազո լախարա,  
յուցյեթ մենծրա, հոցուրու քանճարո,  
մուսուրու յուցու, մուսո դախալու.

### ԾՐԾՈՒ

յի, մմառ! մմառ! գանա ար զուրո,  
մմումյա հիմու դանանայլո  
գա յս սոյցուրելու, հոմ մայմեյս սորությունս,  
մյ ալար մուլուրու յրտու մայրո.  
մոմթյունճա մուլամ մալլուրո ցլութա,  
մալլուրո ցլութա գա սոմահուրուզ,  
գանա ար ցուրաց եելու ալլութա,  
մացրամ չյուր յուլու ցուր մոյաթուզ!

### ԱՅԺՄՈՒ

լրու արու դաշցմո, մոյլու ծոլլո,  
տոռեմ յաձոյատ ար յըուրեծու,  
դաշցարու վուելու մաց ուեր սորուս  
ցորոնթյու ցուեմուծու յարենու ցմուրեծու.  
ոյ արասուցու ցուլու ար մյուռուց,  
սաց սությու սայմես ցայերդմու ուլցուա,  
տոռեմ ունեծուտ, արու ույս ունթա  
սությու—սություստուու, ցուս ար ուտյուու?  
Եցուաց, ցարմեմու մազու յցամլուա,  
լույս օյյու ցությունս մրումուս ուծանու,  
սաճապ լոյմելմու տույս գա յոյմս ձյունան,  
սըսուտ ույլու մյուրճյու մյուցուծարու!  
յցոյիրոմ: ալարու յու ցեմանսուրեծա,  
տոյ հա նիւսուլա այ յուցու լուլուտ,  
յարենու ցուցունմու լուտուր լքուրեծա,  
ունճա ցյուհուս ույս սոյցուլուտ,  
դաշցմու յցուլու ցիա, մուշեցու ոչչանս,  
մանմու ցելուան վուրուլու մյուլուծու,

ფილით საყვირი, გესმის, გიხმობენ  
 შენთან შეზრდილი ქარხნის გმირები!..  
 ბირჟა გაუქმდა, ხალხი გვჭირია,  
 შენ კი აქ ლოთობ მთელი დღე-ლაშე,  
 შენს ბაგშებივით შემოგტირიან  
 მტკვარის ტალღები, აქ რომ ღელავენ.  
 შენს ახლოს ცცხოვრობ, გადევნებ თვალ-ყურას,  
 მისმინე სიტყვა ძმურად რომ გირჩევ,  
 არ გლანძლავ და არც გიმღერი მაყრულს,  
 მხოლოდ ეს სიტყვა საქმეში სინჯე.  
 არა და ძმაო, პირშივე გეტყვი,  
 ჩემმა თვალებმა აქ ალარ გნახოს,  
 საკუთარ ხელით — გულით ნასეტყვი  
 არ გამეკარო დღეიდან ახლოს.  
 ნუ მისდევ ძველ გზას ოხვრით და ხვენეშით,  
 შენს თავს შენვე თვით კვლავ რისთვის სჩაგრავ,  
 მაშინ, როდესაც დაკოურილ ხელში  
 უნდა ბლუჯავდე ზუბილას მაგრად!..

(გაგრძელება იქნება)

## შვილები ფანტაზია

ხუთი წამე არ უძინია წითელარმიელ გოგი ქარაულს, მაგრამ მისი ჭრობა თვალები მაინც არ ბუტავენ, როგორც ამ დილით ნისლით ამოვსებულ ხეობაში ჩავარდნილი მჴე.

გამარჯვების მატალი ხარისხით, მოვალეობის პირნათელ შესრულებით შეხვდა მეტეს დილას უსახელო მთაზე, სადაც „მტერი“ გამაგრდა და უკანასკნელი ღონე მოიკრიბა მოვერიების საწარმოებლად.

უსახელო მთა!..

ეს რაში სჭიროდა მისი ხრიოკი, გადატრუსული, უსიცოცხლო, უნერეობის უგზო-უკვლო, უბილიკო, ბავსმოუკიდები ქარაფნი, სადაც ფრინველებიც აღარ ბუღობენ, სადაც მხოლოდ ქარია, ქარი სუსხიანი და ცივი ორგორუ ყინულის დედა — შეა ჩამთარი.

რა უნდოდა ადამიანს ამ მწვერვალზე?

რად მიანიჭებდა მას სახელს, როდესაც მისკენ თითსაც იშვიათად გაიზევერდა?

აი, დღემდე დარჩა ის უსახელოდ, მაგრამ დღეს, როდესაც „მტერი“. უკუკუული და დამარცხებული მიენდო მას, „ბრძოლის“ წარმოებას იქიდან აპირებს, მისი სახელი ხშირად ისმის — „უსახელო მთა“ და ათასეული ადამიანის თვალებიც შემოესია, ფიქრებიც გადატრიალდა მის მწვერვალებზე და გოგი ქარაულმაც რადიო-ტალღებს გაატანა საჭირო ცნობა, საჭირო მხარეზე.

„ბრძოლამ“ შუადღემდე გასტანა.

ქვემეხების ღრიალით და ტყვიამფრქვევის ტყაცანით, შაშხანების გუგუნით და ხელის ყუმბარების გრიალით გაგუდული ხეობა (შუადღეს, როცა მზემძლიეს დააღწია თავი ლეგა ღრუბლებს) დააშოშინა მანევრების დამთავრების ნიშნად აკივლებულ სერიდან სერზე, მთიდან მთაზე გამოსროლილ ბუკის ხმამ.

გოგი გამოვიდა რადიო-კარავიდან, სიამოვნებით და ლხენით ამოევსოგული, ბუკის დამთავრებამდე იდგა გაუნძრევლად, შემდეგ შეინძრა, მქლავები ამართა, კუნთები ააჭრიალა და რადიო-ანძას ჩამოეკიდა, სავარჯიშოთ გამოიყენა და ოდნავ აქლოშინებული ისევ კარავში შევიდა, სადაც კუთხეში, სამფეხა მაგიდაზე, საველე დაფაზე საგაზეთო წერილს ამზადებდა მისი ამხანაგი წითელარმიელი სოსო შევარდნაძე, — შევარდენივით მოქნილი და სწრაფი მებრძოლი.

— გაიგონე? მანევრები დამთავრდა... — ჩაულაპარაკა გოგიმ წერით გატაცებულ ამხანაგს და გვერდით მოუჯდა, მაგიდიდან ფართო ქალალი აიღო,

რომელზეც ნაბეჭდი ასოებით ეწერა: „საინვენტარო ფურცელი“ და თვალიერება დაუწყო მასზე წერილად დათესილ მელნით ნაწერ ასოებს.

— ჩვენი ამოკანა შევასრულეთ პირნათლად,—ჩაილაპარაკა თავისთვის გოგიმ, ზაგრამ მისი მიზანი იყო სოსოს ყურადღების გამახვილება.—ჩაბარებული სახალხო ქონება უკლებლად გვაქვს...

— მაააშ! — ამაყად ასწია თავი სოსომ, ხუთი ღამის გაპობით შესუსტებული ფერი ახალმა სისხლმა ამოავსო თითქოს და მხოლოდ ახლა, პირველად, მეექვსე დილას შეხვდა ზმორებით.

— დაილალე? — შეეკითხა გოგი.

— მანევრების დამთავრება ჩემმა სხეულმაც იგრძნო.—უპასუხა მან, ქალალი დი დაკეცა, კონვერტში ჩაღო და მისამართი წააწერა: „ბრძოლის ხაზი, N მიმართულებით, გაზ. „სტალინელი“-ს რედაქციას, რადიო-კანალის წით. არმიელ სოსო შევარდნაძისაგდნ“.

საუბარი განაგრძეს მათ მიღწევებზე და ნაკლზე, რასაც სოსო ამხელდა. თავის საგაზეთო წერილში. შუადლე გადავიდა და სუსტი მზეც შეიმოსა ისევ ნისლით, ბურუსით და სადღაც სივრცეში ჩაკვდა თითქოს.

კავშირის უფროსის ხმა გაისმა კარავთან თუ არა, სოსო და გოგი ვეფხვებივით დატრიალდენ. მათი თვალები ექებდა შესამჩნევ ნაკლოვანებას კარავში, მაგრამ ვერაფერი ნახეს გარდა იმისა, რომ ერთი ძევლი გაზეთი შევარდნილიყო მაგიდის ქვეშ და რომელილაც მათგანის ჩექმას დაესვარა, გამოიტანა ის გოგიმ და გარედ გაისროლა.

მიესალმენ კავშირის უფოსს... შეეკითხენ...

— როგორ შეფასდება ჩვენი მოქმედება, ამხ. კავშირის უფროსო?

— თქვენი მუშაობა...— თითქოს განზრახ აჭიანურებდა სიტყვებს ის,— მთლიანად შეიძლება ჩაითვალოს... საუკეთესო მოქმედებად...— მან მის შავგრემან სახეზე მოკიაფე ლრმა, გიშრის თვალებიდან დათესა ლიმილი, გახარება და განაგრძო, — ჩვენ შეგნებული გვქონდა ის, რომ ბრძოლის წარმოების დროს რადიო-კავშირი ისეა საჭირო, როგორც გულისათვის ჯანსაღი სისხლი... მაგრამ მარტო ეს არ ქმარა... ჩვენს წინაშე სრულიად ახალი ამოცანა დგას და მისი დადგებითად გადაწყვეტა უნდა დაემატოს ჩვენს მიღწევებს...

— რა იყო? — ორი სიტყვა უხმოდ გამოფრინდა ორი წითელარმიელის თვალებიდან და გალიიდან განთავისუფლებულ ჩიტებივით გაფრინდა ფიქრთა სივრცეში...

კავშირის უფროსი შორიდან მოყვა. ისაუბრა უცხო სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მიერ სამშეიდობო პოლიტიკის წარმოების შესახებ, მათსა და საბჭოთა ხელისუფლების დიპლომატიურ ურთიერთობაზე და განაგრძო:

— მაშასადამე, დღეს ჩვენ გვესტურებიან უცხოეთის, სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებულ არმიების წარმომადგენლები, გენერლები — მაღალი ჩინის ოფიციალები და სხვ. ისინი დაათვალიერებენ ჩვენს კავშირგაბმულობასაც, მაგრამ სამხედრო საიდუმლოებას ვერ გავცემთ... ეს იცით თქვენ და ამის შესახებ მე არ გეტავით არაფერს...

კავშირის უფროსი გაიტაცა საუბარმა, ის მოუყვა მათ წითელარმიელთა გმირობის უამრავ მაგალითებს, უცხოეთის ჯარების პირობებზე და მდგომარეობაზედაც ესაუბრა და მწიფე მდგომარეობა შექმნა გოგის და სოსოს უკანასკნელ მოქმედებისათვის.

გოგიმ და სოსომ დაკეცეს რაღიო-აპარატურა, საიდუმლო და არასაჭირო ნივთები ჩაალაგეს სპეციალურ ყუთებში, მაგიდაზე მხოლოდ რამდენიმე საყურე მილი და ფერადი ფანქრები დატოვეს, რომელიც ჩაწერილი ჰქონდათ საინვენტარო ფურცელში და რაღიო-მუშაობის წარმოების ბრძოლაში აუცილებლობას წარმოადგენდა.

საათის შემდეგ უცხოელი გენერალები გოგის და სოსოს კარავში იყვნენ. მათ ახლდათ არმიის და დივიზიის სარდლობა. მათ შორის დიდ სხვადასხვაობას ხედავდა გოგი და ათასნაირად ზომავდა მათი ჩატარების და შინაარსს! ყველაზე უფრო მას თვალებს სტაცებდა მათი ჩატარების და მოქარგული მკერდები, ჯვრები, მენდლები და რალაც უცნაური სირმის ნახატები, ჩინები, ოქროსფრად მოლივლივე ფოლაქები, სირმის ბაჭრები და უცნაურად შეკერილი ქუდები... სოსოც. არ ჩამორჩებოდა გოგის, მან დაათვალიერა ყოველივე ესენი და ერთი მაღალი ოფიცირის თითებს მიაჩერდა, რომელიც ქალალდივით ნათელი იყო და წვრილი, როგორც ის ხორცისფერი ფანქარი, რომელიც სოსოს მაგიდიდან აიღო და თითებში აათამაშა...

— როდის ხმარობთ ამ ფანქრებს? — შეეკითხა მაღალი გენერალი გოგის და ათასნაირად შეიცვალა სახე, ვერ შეატყობდა აღამიანი შეკითხვის მიზეზს. მაგრამ გოგი არ დაიბნა, გაიჭიმა და შედგა, წუთით დაფიქრდა და მოახსენა:

— ფანქრებს მაშინ ვხმარობთ, როცა დაგვჭირდება...

გენერალმა წარბები მორკალა.

კავშირის უფროსმა ჩაიცინა და დივსახკომს გადახედა.

— საიდუმლოებაა თუ? — ისევ ჩაიცინა გენერალმა და ყვითელი ფანქარი თითებში აათამაშა, შემდეგ რალაცაზე დაფიქრდა, გადადგმული ნაბიჯი შეაჩერა, ფანქარი ჰალტოს ჯიბეში ჩაიდო და სოსოს შეეკითხა...

— საიდან იღებთ რაღიოს?

— ჰაერიდან... — სხარტად მიუგო სოსომ:

სტუმრები წავიდენ, მაგრამ...

გოგი და სოსო ფერდაკარგული ერთმანეთს შეცქერიან, თითქოს მათ სახეზე უკანასკნელი წვეთი სისხლისა გამოელიათ... და მას დაეძებენ.

— როგორ მოვიქცეთ, გოგი?! — იკითხა თვალების დაუხამნამებლად, ტანის შეუნძრევლად სოსომ და ოფლი წყალივით შემოველო სახეზე.

— ვერაფერს გეტყვი... — უპასუხა მან და თავი დახარა, შემდეგ ტილოს კარავზე ერთი ძაფის ნასკვს მიაგნო და მას უაზროთ გლეჯა დაუწყო...

— ვეტყვი, მივალ და ვეტყვი... იმ მაღალ გენერალს, რომ მან...

— ვერაფერს გირჩევ... — დამნაშავის კილოთი მიუგო ისევ გოგიმ და მაგიდას მივარდა, „საინვენტარო ფურცელი“ აიღო, ერთ სტრიქონს ჩაშტერდა, ჩააფრინდა როგორც ქორი თავის მსხვერპლს, მაგრამ როგორც მისმა სახემ

გამოამჟღავნა, დამარცხებული თითონ დარჩა და იქვე სამფეხა მაგიდასთან გა-  
გებულ თივაზე ჩაიკეცა. წუთის შემდეგ ისევ წამოვარდა...

— რა იყო, გოგი, ავად ხარ? — მძრუნველობით ჰქითხა ამხანაგ წითელარ-  
მიელმა და ხელი მოჰქიდა.

— არა, ჭოსო! ავად არა ვარ, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქ-  
ცეთ? უთხრათ თუ არა იმ მაღალ გენერალს, რომ მან...

— მოღი, გადავწყვიტოთ... ვუთხრათ!..

— თანახმა ვარ, პარტიიდან რომ გამომაგდონ, დამაპატიმრონ, ულირსო-  
მიწოდონ, მაინც მივალ და ვეტყვი, ან რისთვის არ უნდა ვუთხრა?

— კი მაგრამ შეურაცყოფად რომ მიიღოს? შენ ხომ იცი გოგი, რომ მათ  
ჩვენი ხელისუფლება პატივისცემით ეპყრობა...:-

— ვიცი, მაგრამ ეს რა მუაშია...

— თანახმა ვარ... ჭირიც ერთად, ლხინიც ერთად...

გოგი შევარდენივით მოწყდა ადგილს, ნაბიჯები ააჩქარა და მიმავალი  
ოფიციალებს და შეთაურებს წამოეწია. კავშირის უფროსმა შეატყო აღელვება  
გოგის და კითხვის ნიშანივით შედგა, მაგრამ ვერ მოასწრო, ის უკვე მიუახ-  
ლოვდა მაღალ გენერალს, ფეხი ფეხზე მიადგა, გაიჭიმა, ხელები აილო და  
სეტყვასავით მიაყარა...

— ბატონო გენერალო! ნება მომეცით მოგახსენოთ!

— რა უნდა? — მძრების უჩეჩით ჰქითხა გენერალმა თარჯიმანს, რომელიც  
გვერდით უდგა. თარჯიმანმა მოახსენა გენერალს, რომ წითელარმიელი მას  
თხოვდა მოხსენების ნებართვას...:-

— თქვას... — იყო პასუხი.

— ბატონო გენერალო! ჩენთან სტუმრობის დროს თქვენ საუბარში გუ-  
ლი გადააყოლეთ და ჩენი ფერადი ფანქრებიდან ერთი ყვითელი ფერის ფანქა-  
რი, რომელიც წარმოადგენს ნაწილს სახალხო ქონებისას, და რომელსაც ჩენ  
ფალის ჩინივით უფრთხოილდებით — ჯიბეში ჩაიდევით. ვინაიდან ის შეტანილია  
საინვენტარო ფურცელში — გთხოვთ დაგვიძრუნოთ...:-

გოგის სიტყვების თარგმნის დასრულებამდე გენერალი მიხვდა მისი გულ-  
მავიწყობით ჩადენილ ფანქრის „ქურდობას“, ჯიბეში ხელი ჩაიყო და მართლაც  
ყვითელი ფერის ფანქარი ამოყვა ყინულის ლულუებივით სწორ და წვრილ თითებს.:-

— ყოჩალ! სწრაფი თვალები გქონიათ... — დაატანა მან ფანქარს და გოგის  
მიაწოდა.

გოგიმ გამოართვა, მაღლობისა და კმაყოფილების ნიშანად თვალები გაუბ-  
რწყინდა, სახე შეეცვალა, სიხარულით აკანკალდა, მაგრამ თავი შეიმაგრა,  
სწრაფად ხელი აილო და მჭექარე ხმით დასძახა:

— ნება მომეცით წავიდე, ბატონო გენერალო!

— წავიდეს! — იყო გაკვირვებული გენერლის ჩაფიქრებული სიტყვა.

გოგი კარავში შევრდა და სოსოს გადაეხვია...:-

— სოსო, ჩემო ამხანაგო სოსო, ფანქარიც გვაქვს და გამარჯვებაც. როცა  
ბატონ გენერალს მოვახსენე ფანქრის შესახებ, ამხანაგ კომისარს, ჩვენი დივი-  
ზის კომისარს, სიამოვნებით თვალები გაჭრართოვდა და გჭილიმა...:-

— „სხვისი ერთი ნაჭერი მიწა არ გვინდა, მაგრამ ჩვენი მიწის ერთ ვოჯ-საც არავის დავუთმობთ“ — უპასუხა სოსომ და დაამატა, — არამც თუ მიწას ყვითელ ფანქარსაც...

სიცილი გაისმა.

სიხარული დაჟარდა.

გულები დაწყნარდა და სისხლით გაივსო, გამარჯვებით გატაცებული ორი მებრძოლი გამარჯვებითვე შეხვდენ მეექვსე ლაშეს „უსახელო მთაზე“.

მე-3 ლეგიონი, 20|XI 33 წ.

## ჯორდანი ბრუნი

(პოემა)

იტალიას ლილის ფერი ადევს,  
 და მიდამო მდუმარების დარი  
 ღროგამოშვებ, თითქოს ფანტავს დარდებს —  
 აპენინზე გადიქოლებს ქარი.  
 ცა ლაუგარდი მწუხარებას მოგავს,  
 მზემ შცხუნვარემ ლამის დაწვას არე;  
 აპენინზე ცხელი ქარი ბორგავს,  
 დარდს მოუცავს ვენეციის მხარე.  
 დგას კოშკების უთვალავი წყება,  
 ეკლესიის გუმბათებიც დგანან:  
 კათოლიკურ რწმენას იუწყება  
 გუმბათები, სფეროებს რომ ჰგვანან.  
 აი, კოშკიც — ციხე ძელის-ძელი,  
 მოხუც კედლებს გადაჰკვრიათ ხავსი.  
 ცხრაკლიტული კამერები ბნელი,  
 ბნელი — დანტეს ჯოჯოხეთის მსგავსი.  
 კამერებში ღუმილია ისე,  
 ყველაფერი თითქოს იყოს მკვდარი;  
 ბუზი რაა; მის გაფრენას ისმენ  
 და გაშინებს არე საოცარი.  
 მაგრამ აგერ, ერთ კუთხეში, რალაც  
 მძიმე, შავი სილუეტი დგება,  
 თითქოს ახლა იშვა საიდანლაც  
 კაცი, როგორც ლამის საოცრება.  
 ეს ლანდია, გენიოსის ლანდი,  
 ხალხს რომ მოხსნა უმეცრების ბადე,  
 ბნელ საკანზი მოჩვენებად დადის,  
 ნათელ ფიქრთა მძლავრი მოყურადე.  
 ბრუნო, ბრუნო, გენიოსი მშვიდო,  
 მეთექვსმეტე საუკუნის მთვარე,  
 თვით უდიდეს ნიუტონზეც დიდი,  
 ცის ოსტატი — მზეებრ მოელვარე.  
 სიბრძნის არწივს მირაჟები ხუთავს,  
 აწამებენ მეორმოც დღეა,  
 გასძელ გულო, ნებისყოფის თუ ხარ —  
 გარედ ზღვა და ვენეციის მზეა!..

ეინ უშველოს, ვის გაანტოს გული,  
იტალია ხომ ყვავ-ყორნებს დარჩა?!

ზის ბნელში და ხელვეხ დარკინული  
იგი ელის პაპის მქაცრ განაჩენს.

აგონდება სიჭაბუქე, როცა  
მონასტერში მიიწვერეს ბერად:

კათოლიკეს ანაფორა ეცვა  
და ცხოვრობდა, თითქოს უდარდელად.

იტაცებდა ალპიისკენ მზერა,  
მთებს ეტრულდა, თოვლით გადანაბუქს,

მაგრამ უფრო (გაღმოცემის გვაჯერა)  
ვენეციის მზე უყვარდა ჭაბუკს.

ლამ-ლამობით გაურბოდა ტაძარს,  
მოსძებნიდა მყუდრო ადგილს გარედ,

აზღავებულ გრძნობის ძლიერ ხანდარს  
უგზავნიდა ვარსკლავებს და მთვარეს.

ატმოსფერა სდევდა საშინელი,  
თანამგზავრად რაცხდა მარტო წიგნებს:

„პლატონი“ და „თომა აქვინელი“  
მისი კარგი მეგობრები იყვნენ.

წიგნებმა და იშვიათმა ნიჭმა  
ტრადიციულ უძეურებას სძლია,  
ახალგაზრდა, მეოცნებე ბიჭმა  
შეარყია მთელი იტალია.

მონასტერში მითქმა-მოთქმა დადის —  
ერეთიკოს ჯორდანოზე ბჭობენ:

ო, ლვთაებავ, უწმინდესო ცამდის,  
გაჩნდა ხალხი — შენს არსობას ჰგმობენ!

დაიღუპოს დაბადება შენი,  
უდღეურო, პირშიშველა ბავშო;

ცეცხლმა გიზლოს მწვავე განაჩენი,  
ცეცხლისგანვე უკანონოდ ნაშობს.

წადით, ყველამ უთვალთვალეთ ლამით:  
თუ გადიძროს ანაფორა გელით,  
თუ დატოვოს სამლოცველო წამით,  
არ გაუშვათ, შეიპყარით, გესმით?!

წავიდენ და... შემობრუნდენ მალე,  
ბერთაგანი „წმინდა მამას“ უმხელს:

ო, მამაო, ძებნით დავიღალე —  
ჯადოქარი გაბარულა წუხელ.

ახსოეს, ახსოეს ყოველივე, ტუსალს...

ბნელ საკანში ზის ორმოცი დღეა,  
გასქელ გულო, ნებისყოფის თუ ხარ —  
გარედ ზღვა და ვენეციის მზე!

მას ტულუზის ინსტიტუტიც ახსოვს,  
კათედრა და პროფესორთა კრება,  
მის იდეას, ულრმეს რწმენით ნაქსოვს,  
მგლებსავით რომ გარდეკიდენ მტრებად.  
აქ პირველად გაისროლა მეხი:  
„ნუ ენდობით მატყუარა ბერებს“!..  
სქოლასტიკის წელში გადამტეხი —  
მეხი გრგვინვით ატალლებდა ბგერებს.  
მღელვარება ედებოდა დარბაზს:  
— შეაჩერეთ, როგორ ბედავს ბრიყვი?!..  
მაცდურია ჯოჯოხეფის ალბალ,  
ლვთისშმოსავთა გუნდში შენარიყი.  
ერთ ხანს იდგა ბრუნო, როგორც კლდე და  
შემდეგ ირგვლივ მიმოავლო თვალი:  
ჰყავდა მომხრეც — უჯერებდა ხელვას,  
მაგრამ მცირე, თითზე დასათვალი.

— რად შეშფოთდა ეს პლეადა ნეტავ,  
რა ალელვებს განსწავლულთა დასებს?!.  
არატორი ერთხანს მდუმარებდა,  
და შემდეგ კი დაასრულა ასე:  
— ყველაფერი, წინ რომ ილტეის მარად,  
ნაყოფია აზროვნების ზღვათა,  
ვინც გახადოს გრძნობა, სანუკვარად,  
ასცდეს წყევა შემდგომ თაობათა.  
დღეს მე ვთქვი და ხეალ ეკითხოს სხვა დგმას,  
მწამს, ლრმა რწმენას ვერუინ გადალუნავს:  
დედამიწა ვეშაპებზე არ დგას,  
დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.  
ეს იყო და დაასრულა ამით,  
თქვა და თითქოს გადაიქცა ქვადა.  
და დარბაზიც რამდენიმე წამით  
გასაოცარ ქანდაკებას ჰგავდა.

შეი, გზებო, გარბენილო გზებო,  
მოგიგონებთ მუდამ გულმხურვალედ.  
უძლეველო გრძნობის იალქნებო,  
მოგნატვრიათ ნავარდობა გარედ.

გულო კლდეო, სალო—ტინის კლდეო;  
 მაცდურთ ხელში ჩავარდნილხარ ტყვედა!  
 სიცოცხლის მზევ, მხეო-სიცოცხლეო,  
 ფითრდები და იბინდები, გხედავ.  
 ასე ფიქრობს მიყრდნობილი კედელს,  
 გული-ორბი მოგონებამ დახრა.  
 სიცოცხლეზე ფიქრი მოიმედე  
 წუხანდელი სიზმარივით გაქრა.  
 წუხელ, როცა ბინდდებოდა გარედ  
 და მოჰვავდა დუმილს ყველაფერი,  
 მის საკანში შემოლებულ ჭარებს,  
 თან შემოჰყვა ანაფორა ბერის.  
 გაიძვერას მოაგავდა იგი,  
 თვალთა ხელვა მოუჩანდა შხამად.  
 და მაცდურის გესლი თადარიგი,  
 თანვე ახლდა ფარისეველ მამას.  
 ტანის რხევით წინ წამოდგა უმალ,  
 თეთრ პერგამენტს ჩასცეროდა ხარბად  
 და ბრალდებულს, სმენად ქცეულს—მდუმარს,  
 განაჩენს თუ უკითხავდა, ალბად.  
 — მომისმინე, დაწყევლილო გველო,  
 შენ კოცონზე მოგესაჭა დაწვა.  
 შენ, წმინდათა აზრის შემბლალველო,  
 ეს განგებამ მოგივლინა ნაცვლად.  
 და თუ არ გსურს ჯოჯოხეთში შესვლა,  
 თუ გსურს ლმერთთან ტკირთ-მსუბუქი წარსდგე,  
 მონანების ლოცვა ოწყე ახლავ  
 და ეგ ბრიყვი სისულელე დაპგმე.  
 უარყავი ეგ კვიმატი რწმენა,  
 შენ ღვთისა და ქვეყნის ვალი გადევს,  
 შენ, ეშმაკმა დაგიგესლა ენა,  
 ძე ხორციელს მაცდურად რომ დასდევს.  
 — შესდექ, ბერო, სისულელეს როშავ!—  
 წამოცრა ბრალდებული ზეზე;  
 ჩემს მაგიერ, რელიგიის მმოსავთ,  
 გადაეცი გასატანად მხეზე:  
 ცეცხლზე დაწვა არ მაშინებს ბერო,  
 მჯერა დღესაც, რაც ოდესმე მითქვამს;  
 უგუნურო, ყოვლად კაღნიერო,  
 რაც გინდ მიყოთ არ გადავალ სიტყვას.  
 გატრიალდა სულიერი მამა,  
 განცვიფრებით გაიხურა კარი

და ჯორდანოს მოეჩვენა წამაღ,  
თითქოს გარედ ზუშუნებდა ქარი.  
არა, შეცდა — ცხადი იყო სწორედ,  
მოჩვენება არ ყრფილა ბერი,  
ხვალ ჯალათით მოვა ხელმეორედ,  
დასრულდება ამით ყველაფერი.  
ახლა გარედ ალიონი დგება,  
ფერი მისდის ღამენათევ მთვარეს,  
ზეცას შედის ვარსკვლავები წყდება,  
გათენდება სადაც არის მალე.  
ასე ფიქრობს მიყრდნობილი კედელს:  
გული-ორბი, მოგონებამ დახრა,  
სიცოცხლეზე ფიქრი მოიმედე,  
წუხანდელი სიზმარივით გაჰქრა.

ნასამხრალი მზე დასავლეთს ჩადის,  
ქალაქს გარედ ეშურება ხალხი;  
ცაში ქვამლის ბორიალი ადის —  
იტალიას გადაპკერია თალხი.  
დღესასწაულს არ მოაგავს ეს დღე,  
თუმც ცდილობენ მიამსგავსონ ძალად.  
კაცის დაწეა, არამარტო ერთხელ;  
„წმინდა მამებს“ მიეჩინათ ჩალად.  
ახლაც, იგრ, პროცესია მოდის:  
დღეს დასწავენ სახელგანთქმულ ბრუნოს,  
მაგრამ ამით დადუმდება როდი  
მისი რწმენა; ქვეყნად საუკუნოდ!  
იგი ხელებგარკინული მოჰყავთ,  
შუბლი ჯმუხა, ნაწამები სახე;  
ო, შეხედეთ, ოდნავად თუ ოხრავს,  
თვალთა ნაკვთებს ოდნავად თუ არხევს?!.  
კოცონის ხალხი შემოერტყა გარე,  
სადღაც მლვდელმა წაიკითხა ლოცვა,  
ხალხში გმინეა გამოისმა მწარე  
და დადუმდა შავი გარემოცვა.  
დაპკერეს ზარი... წუთი საშინელი...  
თითქოს ხალხი ფიქრმა გადარუჯა!  
აქ ჯალათმაც გამოიღო ხელი —  
და მოჩანდა ცეცხლის ალი ლურჯად...

### შითელარმის 16 ველი

როცა გმირული ბრძოლები ქუხდენ,  
კვამლი ველებზე ნისლებად იწვა,  
ყუმბარა გლეჯდა მებრძოლთა მუხლებს,  
ტყვია ზუზუნით სერავდა მიწას.  
როცა მასების დაღვრილი სისხლი  
რწყავდა რუსეთის უსაზღვრო ველებს—  
ბარიკადები... ცეცხლი და ნისლი...  
დროშა მებრძოლთა დაკოურილ ხელებს!..  
და ჩვენ ვიბრძოდით გმირულად მაშინ  
ოქრომბრის ცეცხლში ანთებულ გულით,  
თავგანწირული ბრძოლების რკალში  
სიცოცხლე ქუხდა მკერდგარუჯული!..  
თექვსმეტი წელი მოვზიდეთ მხრებით,  
ყველა ფრონტებზე ჩვენ გვიბრძოლია;  
გვახსოვს დიადი შეტევის წლები,  
რომ სისხლით ვწერდით ჩვენ ისტორიას.  
გულს მოეფინა მზე—განთიადი,  
ბოლშევიკური ტემპით მავალი  
და კვლავ ახალი ენტუზიაზმით  
გამარჯვებები გველის მრავალი!

## მოგონებები თებერვალზე

სოფელში იდგა შიში და გლოვა,  
შეწყდა თოფების გრიალი ჩქარი,  
მთებს ეხვეოდა ღრუბლების გროვა  
და მაღალ ხეებს არხევდა ქარი.  
წაყიდა, გაქრა ქვეყანა ძველი,  
აბლა დიდია ჩვენი მიზანი,  
შრომის ქვეყანა სიხარულს ელის,  
მეც განახლებით მხარე კიცანი.  
საბჭოთა სამშობლო ჩვენი,  
ქვეყანა მტკიცე, ქვეყანა წინსვლის...  
ჩვენ მკერძოს წითელი ვარსკვლავი შეენის,  
გულსაც გვიძერებს მუშარი სისხლი...

თოვდა და თოვდა შეუსვენებლოვ,  
თოვლიან ქიხებს ურთყამდა ქარი...  
უკვე დაბრუნდენ „სოფელის მცხველი“:  
— ამაღმ მაგრად საკუტთო ჯრი,  
მაგრავის სატაცე ჩრდილი აღვემა,  
ნეტავი ხვალ თუ უოუხალ ვაქები...  
საკა გული ამოგარდება,  
საკა მოვლენ ბოლწევიები!..

სოფელში იდგა ჰიში და მწერი,  
ნისლი სამოწვა და ისევ თოვდა...  
კოლაგამ თვალწინ ცეცხლ გაჟირა ქული,  
გულზე ლენინის სურათი ქონდა...

ახლა, როგორც, ჩემი სოფელი,  
დალიარებულია შეია ველები,  
ძელი დარიგდის ურთყოფელი  
შეიძლება და იძრები შეუსვენებლოვ.  
წივეჭის ღლები განაბლებული  
ზენი ხა შევითა და შევბორე...  
ახლ ცეცვების დაწავებული  
შორეულ განდე და მოვისარო...  
ახლ, როგორც უქუმშინის ქრის  
ჭლავ ამაღურებს შერს და მურობას,

გაჩაღებულა შრომა მედგარი:  
კოლექტიური მეურნეობა,  
კრძალვით იგონებ თებერვლის დღეებს;  
წითლებს ველოდით ხალისით, თრთოლვით,  
როცა გრიგალი ამსხვრევდა ხეებს  
და პეპლებივით ცვივოდა თოვლი...

## კაპარზინას მიგადურნი

პირველი თავი

როცა მებადური გიორგი ბზიავა, თავის პატარა და გაჭვარტლულ ქოხი ში კარს ჩაიკეტავდა, შიგ სიბნელე დგებოდა.. გიორგი მაშინ ჭრაქს აანთებდა და ცეცხლს გააჩალებდა. ზღვიდან ამოყრილი შეშის ნამტვრევები ცეცხლზე მაღიანად იწვეოდა.

კუთხეში, კედელზე, გიორგის ახალგაზრდობის სურათი და კვამლისაგან შერუჯული ქალის ჩითის კაბა ეკიდა. ამ კაბას გიორგი მაშინ შეხედავდა, როცა მჭადის გამოსაცხობად, ან თვეზის მოსახარშად მოემზადებოდა. მოგონება გულს დაუთუთქავდა და თვალებზე ცრემლები მოადგებოდა.

გიორგის წუხილს მისი პატარა და მოუსევნარი შვილი გუჯა არ გრძნობდა.

— ჩემო ეფროსინე, ერთი კარგი დღე არ გინახავს. დაბადებიდან თვალზე ცრემლი არ შეგშრობია,— წაიბუტბუტებდა გიორგი და ამოიხვევებდა. ცოლის სიკედილის შემდეგ იგი წელში მოილუნა და ჭალარა თმაც სულ გაუთეთრდა.

— მოხუცდი, ჩემო გიორგი, მოხუცდი. რა დროს შენი თევზის ჭრაა! — ეტყოდენ მეზობლები, როცა მკლავებდა კაპარზინაში ნიჩბები ეჭირა ხელთ და თავის სათევზაო ნავს „იმედს“ ნელა კაპარზინაში შეაცურებდა.

გიორგის ქოხი იდგა მდინარე კაპარზინას ნაპირზე. მის ქოხს ზემოდან აგურის ორსართულიანი სახლი დაჰყურებდა. ამ სახლის უზარმაზარი ჩრდილი გიორგის ქოხს მუდამ თავს. ადგა. ამ ქოხში, როგორც ჭრაქი, ისე ქრ ებოდა გაჭირვებული ადამიანის ჩუმი ცხოვრება. გიორგის ერთადერთი იმედი იყო 15 წლის გუჯა, რომელსაც დღეში ორჯერ აციებდა. ეს გარემოება ყველაზე უფრო აციქრებდა გიორგის. ცოლი ხანგრძლივი ციებით მოუკვდა. ახლა ბავშვებიც აციებს.

— ბედია, ბედი.— ჩიოდა საწყალი გიორგი.

\* \* \*

აუტანელ სიცხეების შემდეგ ცაზე შავი ლრუბლები ჩამოწვა. სალამოობით ჩამოთბებოდა. მეორე დღეს კი აუცილებლად წვიმა მოვიდოდა. ასეთ ამინდში ანკესი უჭიოთ რომ გადააგდო წყალში, თევზი იმასაც წამოეგება. იცის ეს გიორგიმ, მაგრამ ციებისგან მოკუნტულ და ტაჩიავებულ გუჯას ხელში კონსერვის ძველი კოლოფი მაინც მისცა და მაკარი თოდუას ბოსელში გააგზავნა ჭიების მოსატანად. გუჯამ ძლიერ ასწია დასუსტებული ტანი. კოლოფი ხელში დაიჭირა და მაკარის ბოსლისაკენ გასწია.

გუჯა ხელებით ჩიჩქნიდა ნაკელს, ხვანხვალა ჭიებს იჭერდა და კოლოფები ჰყორიდა.

გუჯა შორიდანვე შეამჩნია მაკარის ქალიშვილმა, ხანგადასულმა ლიამ და მიღეული ხმით დაუძახა. გუჯას შერცხვა. მას ეკონა ჭიების ქურდობაში დამიკირესო. შერცხვა და სახეზე ნაკელით დასვრილი ხელისგული აითარა.

— მოდი აქ, ბიჭო, მოდი. — დაუძახა ქალმა. ხელიც კი დაუქნია. შიშისა-გან გაბრუებულ გუჯას გული მაგრად უძერდა, უყრები უწიკოდა. გაქცევა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა, ქალი თვალს არ აშორებდა. რა ექნა. გუჯა აცახცახებული მიუახლოვდა.

— რა გნებავს, ბატონი? — ძლიერ წაილულლულა მან.

— ჴა, ეს წერილი მღვდელ ჭანტურიას მიუტანე. — ქალმა გაუხსნა ლილები და ბარათთ ჭუჭყიან უბეში ჩაუდავა, საიდანაც დამპალი ოფლის სუნი ამოდიოდა.

— გაიქეცი, — დასძინა ქალმა. მერე შიბრუნდა და ლილინით სახლში შევიდა.

გუჯას გაუხარდა. მას არაერთხელ მიუტანია მღვდელ ჭანტურიასათვის ლიას ბარათი. ჭანტურია ვითომ კეთილი კაცია: იგი გუჯას ფულს აჩუქებს ან პურის ნაჭერს უთავაზებს.

გუჯას ისიც უხაროდა, რომ ჭიების ქურდობაზე არაფერი უთხრეს.

ნაითსაღვურში იდგა ამერიკის გემი „კანადა“, რომლის კედელს მუზლვაურები შავად ლებავდენ. კაპიტანის თანაშემწე დინჯი თვალებით გაპყურებდა ჩამავალ მზეზე მოჯირითე ტალღებს. რძისფერი მედუზები გამჭვირვალე წყალში კოლოფებივით დაცურავდენ. შავი, სულ შავი, ტანძმიმე დელფინები წყლიდან ამოხტებოდენ და ისევ თავდაყირა ეშვებოდენ ზღვაში. მღვდელი ჭანტურია გემის ბანზე იდგა და კაპიტანის თანაშემწეს ესაუბრებოდა.

გუჯამ მიირბინა ჭანტურიასთან და ბარათი გადასცა. ჭანტურიამ ბარათი ფრთხილად გახსნა, წაიკითხა, შემდეგ დაჭმუჭნა, წყალში გადააგდო, ჩაიცინა და სტვენა დაიწყო. გუჯას თეთრი პური ელანდებოდა. დიდხანს უყურა. მერე მოთმენა არ ეყო და იქვე გემის კიბეზე ჩამოჯდა, მაგრამ წითელ-კანიანმა გუშაგმა საჩქაროდ დაატოვებინა იქაურობა. გუჯა შინისკენ მოდიოდა შეურაცხყოფილი. უიმედო თვალებში წითელკანიანი გუშაგი და თეთრწვერიანი ჭანტურია ელანდებოდა.

შინ გიორგი არ დაუხვდა, სათევზაოდ წასულიყო. მშერმა კალათიდან მჭადის ნატეხი ამოილო და მაღიანი ჭამა დაუწყო.

შორიდან მოისმოდა ბავშვების სიცილ-ყვირილი. გუჯას გულმა ვერ მოუთმინა, გარედ გამოვიდა და კაპარჭინას პირად ჩამწკრივებულ ნავებში მოთამაშე ბავშვებში გაერია.

\* \* \*

გიორგი ბზიავა ახლა 58 წლისაა. ბავშობაში იგი მამას შველოდა. მამაც მეთევზე იყო. მებალურობაში საკმაოდ დახელოვნდა. კარგად შეისწავლა წყლის ბრუნვა და მიმდინარეობა. ახლა თვალებდაბუჭულიც იტყვის მდინარის რომელ ადგილში რამდენი და რა ჯიშის თევზია. იგი ხელცალიერი არასოდეს

არ დაბრუნებულია შინ. ყოველთვის მოპქონდა თევზებით სავსე კალათი. დიდი, შავი და ულვაშებიანი ლოქო, გრძელი, წვრილი და გველივით მოძრავი სარ-ლალა, ან გემრიელი ლლავი. მის პატარა ოჯახში გამოულეველი იყო ნედლი თუ დამარილებული თევზი.

მაგრამ დღეს მის ბადეს იმდენი თევზი მოპყოლოდა, რომ მისი ანგარიში-არ იყო. გახარებული მოაცურებდა თავის „იმედს“ და ლილინებდა:

— „მაკარ გაქო, როგორ გაქო, თეთრი სპილოს ქვალი გაქო,  
ინით ნალები ქოჩორი შუბლზე აკეცილი გაქო.

ყოველ თევზსა კალმახა სჯობს, კალმახასა თხის ნახარში“.

მაგრამ გიორგის ლილინი უკებ წამოსულმა წვიმამ შეაწყვეტინა. ისეთი-წვიმა წამოვიდა, რომ ადამიანს ეგონებოდა შავი-ზლვა ლრუბლად ცაშიავარდ-ნილა და იქიდან ძირს უზომოდ ილვრებაო.

ნაშუალამევია. ისე ბენელა, რომ წყალი გატკეპნილ გზასავით თეთრი ჩანს, და ზედ წვიმის წვეთები კალმახებიგით ეცემა. ლაქაშები არ შრიალებენ, არც კისერწაგრძელებულ ყანჩის მოსაბეზრებელი ყავილი ისმის. სიბნელეს ჩაუნთქავს ლანდები და სიჩუმეში ნიჩბების მოსმა ყრუდ ისმის.

ზეულილით მიცურავს „იმედი“

რამდენიმე წელიწადია მას შემდეგ, რაც გიორგიმ თხმელის ფიცრებისა-გან თავისი ნავი შეჰკრა, ზედ შავი სალებავით „იმედი“ მიაწერა და კაპარჭინა-ში შეაცურა. ეს წარწერა მას აქეთ არ გამოცვლილა. თვითონ გიორგი კი გა-მორცვალა, მოხუცდა, წელში მოიხარა. იგი საკუთარ შვილივით უვლის და უფრთხოება „იმედს“. თითქმის ყოველდღე ამშრალებს ნავის ძირს, გამოხ-რულ აღგილებს ფისს წაუსობს, მაგრამ წყალი მაინც უონავს, ნავში წყალი ყოველთვის დგას.

გიორგი ახალგაზრდობაში იტყოდა:

— ის რა მებადურია, რომელსაც ნავში წყალი უდგასო. და ახლა კი... არა, გიორგი მოხუცდა, სად შეუძლია ამდენი, თორემ „იმედში“ წყალი არ ჩადგებოდა, ბნელა. ასანთი მარნც მისცა გიორგის, ჩიბუს გააჩალებდა და გზას გაი-კვლევდა. ოპ, რა შავი და აუტანელი ღამეა. წეტავი მუდამ შრიალა-ლაქაში მაინც ხმაურობდეს. ყველაფერი გარინდებულა, მხოლოდ ნიჩბების მოსმა და წყლის შეუილი გაისმის.

მიცურავს თევზებით სავსე „იმედი“. ნავში წყალი უონავს. იმდენი წყა-ლი დაგროვდა, რომ შიგ პატარა თევზებმა ცურვა დაიწყეს. გიორგი შიშა-შეიძყრო: ნავი სულ არ აიგოს და არ ჩავიძიროო.

შიშისაგან შეზფოთებული გიორგის თვალები ფართოდ ჰქონდა გალებული და ამ ფართო თვალებში ტრიალებდა ათასი მოჩენება.

მოხუცი აშეარად ხედავდა უბედურების მოახლოვებას. ნავში ჩამდგარ-წყალში ფათური დაიწყო; მაგრამ... ხედავს, რომ ცოცხალი თევზები ლაქაშებ-ში შეცურდენ, მევდრები კიდევ მდინარის ზედაპირზე დაუარფატდენ.

— გუჯაა...! — დაიღრიალა გიორგიმ და წყალში ტყაპანი გაადინა. უღო-ნო მელავებს დიდხანს აფართხალებდა, შაგრამ ამაოდ, წყალი ვეღარ გაჭრა და ტყვიასავით ჩაიძირა.

კოკისპირულად წვიმდა. მდინარეში კიდევ დიდხანს ყრუთ მოისმოდა უცნაური ხმაურობა. ერთ ადგილზე წყლის წრე გაკეთდა. შეიგ ბუშტები დატრიალდენ, მის ქვეშ, კაპარტიინას სიღრმეში, გიორგი გზიავა სიკვდილის უკანასა-კნელ წუთებს ებრძოდა.

\* \* \*

მუორე დღეს დიღი წვეულება ჰქონდა მაკარი თოდუას. აქ იყვნენ: მეთევზების „ატამანი“ პავლე, სახერხი ქარხნის პატრონი იულო დიდია, მლვდელი ჭანტურია, ვაჭარი სეროპოვი და ყასაბი ოდიშარია.

ეზოში ბავშვები ირეოდენ, ძალლს აღმზიანებდენ. აქ იყო გუჯა და მუდამ მოუსვენარი მამედიც, გუჯას გულითადი მეგობარი. ისინი ყოველთვის ერთად თამაშობდენ და ერთად დაჭქონდათ ჯოხზე აცმული ლორჯოები ბაზარში გასა-ყიდათ.

გუჯა ახლა არ თამაშობდა. იგი ნაძვის ქვეშ იჯდა და მამის მოლოდინში თვალები კაპარტიინასაკენ ეჭირა.

წვიმების შემდეგ მზიანი დღეები დაიჭირა. ჭაობებიდან, ამოდიოდა შმორის სუნი და ჰაერს ამძიმებდა. ძნელი იყო სუნთქვა, შხამიანი კოლოები უმოწყალოდ იყბინებოდენ, თანაც ზურილით ყურთა სმენა მიჰქონდათ. შემთბარ ჰაერში უდარდელი მერცხლები დასრიალებდენ და ჭიკიკით ერთმანეთს მისდევდენ:

კაპარტიინას იქითა მხრიდან გარკვევით მოისმოდა ლაქაშების შრიალი და ადიდებული რიონის ხმაურობა.

უცებ მოისმა კივილი. ბავშვები წამოიშალენ. გუჯა გაშეშდა. მოიკუნტა, იცნო: მაძიდა პელაგო იყო რომ მოთქვამდა და ჭიოდა.

გუჯა გაიქცა.

მებადურეებს მოჭქონდათ გიორგის გაცივებული გვამი.

გუჯა მოჭრილივით ძირს დაეცა და აზლუქუნდა.

\* \* \*

შამის სიკვდილის შემდეგ უპატრონო გუჯა მაკარი თოდუას მოჯამაგირედ დაუდგა. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა მუშაობა, შემდეგ მიეჩვია და ერთი წლის განმავლობაში. გამოცდილი მებადურას სახელი მოიხვეჭა. ამიტომ მაკარი მას ერთი საათითაც არ აჩერებდა სახლში, ყრველდღე სათევზაოდ გზავნიდა. სალამოთი დალლილი გუჯა რომ შინ მოვიდოდა, მაკარი ანგარიშს მოთხოვდა.

— რამდენი ფუთი თევზი დაიჭირე, აბა გადმოიტანე ნავიდან და ასწონე.

და გუჯაც სწონიდა თავჩალუნული; სწონიდა უსიტყვოდ.

### თავი 80 ხე

გუჯას ბნელ ოთახში ალიონის სიტყვე მთელი სიმკაცრით დატრიალდა. ნიამა შეარხია ქედელზე მიკრული ნახევრად ჩამოხეცლი გაზეთი. გამოელვის გუჯას. გაიხედა, ფანჯრიდან ულრუბლო ცა მოჩანდა.

— დამაგვიანდა. დღეს კარგი ამინდი იქნება.—გაითიქრი გუჯამ. წამოხტა ლოგინიდან და საჩაროდ ჩაიცვა.

კედელზე ისევ გახეთი შრიალებდა... გუჯამ კარებთან გაიზმორა და იქვე მიყუდებული ნიჩები მხარზე გაიდო. ვინაიდან აივნის კიბე ჩანგრეული იყო, ჩამოხტომის დროს ვერ შეიმაგრა თავი და ნიჩები ხელიდან გაუვარდა, ნიჩებმა ქვებზე გაიგრუხუნეს. იქვე ჩაძინებული ნაგაზი წამოხტა, უცემ ვერ გამოიცნო გუჯა და მთელი სიანჩხლით შეუტია.

— როგორ პატრიონივით იღრინება ეს რხერი. — ჩაილაპარაკა გუჯამ და განზე გადახტა.

გათენდა, გუჯა უკვე კაპარჭინას ნაპირზე იყო. იგი ჩაფიქრებულიყო და წელა მიაბიჯებდა

მეორე ნაპირზე ტყე შრიალებდა და ყველი მოსაბეზრებლად ჩხაოდა.

ლაქაშებიდან აფრინდა ყანჩა, ჰაერში შეტრიალდა და წყალზე დაეშვა. გრძელი ფეხებით ჩადგა ვდინარეში და ცალი თვალით დაუწყო ლორჯოებს ნიშანში ამოლება.

ჯერ კიდევ ალიონი იყო და ლაქაშებს ტივი ზღვაური არხევდა. გუჯამ ნაბიჯს მოუმატა. ცოტა მანძილი-ლა დარჩა თეთრ იალენიან ნავებამდე, რომლებიც შორიდან გარკვევით მოჩანდენ. თან მოისმოდა სტვენა, სიმღერა. ერთ ადგილიდან ნაცრისფერი კვამლი ადიოდა.

ტანპატარა და კუნთებ-ჩასკვნილი მამედი ბაზებს ნავში აწყობდა. მას მზისაგან შერუჯული ჭილობის ქუდი ეხურა და სისხლივით წითელი პერანგი ეცვა. ის ჩვიდმეტი წლის იყო, მარდი და ლონიერი ბიჭი, რომელსაც ხშირად ნავში აღამდებოდა. და ნავშივე ათენდებოდა.

ძლიერ მოუსწრო გუჯამ პატარა ნაეს, რომლის კედელზე ისე იყო წარწერა წეიმისაგან ჩამორეცხილი, რომ ძლიერ აქოიკითხებოდა „იმღერე, მერცხალო, იმღერე“. ეს ნავი და სხვებიც, მეთევზები, ბადები მაკარი თოდუას საკუთრებას შეადგენდა.

გუჯას ლონიერი ხელებით მოსობილი ნიჩები შხუილით სჭრიდენ წყალს და „იმღერე, მერცხალო, იმღერეს“ წინ მიაცურებდენ. ახლოს, სულ ახლოს მოჩანდენ გურიის ამწვანებული მთები და შორს, რძისფერ სივრცეში, კავკა-სიონის დათოვლილი მწვერვალები. თვალწინ. ტყეები, ჭაობებში ლაქაშები და ლაქაშებიდან ბაყაყების განუწყვეტელი ყიუინი მოისმოდა.

მეთევზებს პალიასტომში ბადები ჩაეყარათ. პალიასტომი არ ლელავდა, ტალღებს არ ატლაშუნებდა. იყო სიჩუმე. ხანდახან ზღვაური გაიქროლებდა და ლაქაშებში შრიალი ატყდებოდა.

მეთევზები ნაპირზე გამოსულიყვენ და გაჩალებულ ცეცხლზე მჭადს აფიცებდენ, ხმაურობდენ და მახორებს ქაჩავდენ.

გრძელ და უზარმაზარ ნავიდან ხელმარჯვე პავლემ პატარა ბადე სასწრა-ფოდ გადაისროლა და ცალი თვალის დახუჭვით წარმოსთქვა:

— ასი, ასი.

ცოტა ხნის შემდეგ ბადე ამოსლო, შიგ პატარა ლორჯო თავგანწირულად ფართხალებდა, პავლემ ერთი მაგრად შეუკურთხა ლორჯოს და მეორედ ბადე მოხერხებულ ადგილას ჩააგდო.

— ათასი, ათასი.—წითურ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ნაპირისაკენ გადაიხედა, საიდანაც მოისმოლა გულაჭიკიებულ შაშვების ჭახ-ჭახი. თხემლი, ქვეშ ცეცხლი ენთო, ფიცხდებოდა მჭადები, იხრაკებოდა თევ-ზები, რომლის სუნი მეთევზებს ჭამის მაღას ულიზიანებდა.

სამი მეთევზე იჯდა თხემლის ქვეშ. ერთ მათგანს პირში: ინგლისური ჩი-ბუხი ედო, ხანგამოშვებით წრუპავდა და ხშირად იმეორებდა:

— მსუქანი ლორი უნდა დაიკლას.

— მალადეც, კირილ პეტროვიჩ! მისცხე მაგ გაუმაძლარს.—ეუბნებოდენ ამ-ხანაგები.

წათამამებული კირილე პირიდან ახლა მეტ ბოლს უშვებდა და განაგრძოდა:

— საკითხი მთლიანად უკვე გადაწყვეტილია:—პარტკომში ეს წინადადება მე შევიტანე, რაც ერთბაშად იქნა მოწონებული. ზემდგომ ორგანოების წინაშეც დაისვა საკითხი და ამ მოქლე დროში ცენტრიდან კაცი ჩამოვა და საქ-მესაც შევუდგებათ.

— რას იზამს ნეტავი მაკარი.—გულუბრყვილოდ იკითხა ერთმა.

— ის არ არის ჩვენი საქმე, რაც უნდა ისა ქნას, ჩვენ ჩვენი ბადეები, ნა-ვები და კარვები გვექნება. ვნახოთ ვინ-ვის.

გუჯაც მოვიდა: მაღიანად მოსაუბრე მეთევზებს მიესალმა და ბიძია კი-რილეს გვერდით დაჯდა.

ისინი კიდევ დიდხანს საუბრობდენ...

\* \* \*

აგურის ორსართულიანი სახლი პირდაპირ კაპარჭინას დაჰყურებს. ფიჭ-ვის, ნაძვის და ვერხვის ჩრდილი მუდამ დგას ეზოში და ჩრდილქვეშ ტახტზე ხშირად წევს მაკარი თოლეა. აბოლებს ჩიბუქს, გაჰყურებს სივრცეს და გული ფიქრებით დამძიმებული აქვს.

„გამოიცვალა ყველაფერი, ყველაფერი გამოიცვალა... ოჰ, როგორ ვერდნობ მოახლოვებულ უბედურებას. მაგრამ მე მაგარი ხერხებალი მაქვს...“

ფიქრობს მაკარი და ჩიბუქს აბოლებს. ამ ბოლო დროს აეკვიატა განუწყვეტელი ფიქრი მოუსვენრობა დაეტყო.

ოცი წელიწადია მას „თევზის მრეწველს“ ეძახიან. ახლა 55 წლისაა. თვალები ჭროლა და ოდნავ მოთეთრო აქვს, რომლებიც ანკესზე წამოგებულ თევზის უნუგეშო თვალებს მიუგავს. მაღალია ბეჭებში გაშლილი. მხრებზე უზომოდ გრძელი ხელები ჰქილია.

მაკარის ქალიშვილი, რომელიც იქვე ხეებს შუა გაბმულ გამაკში ნებრეობდა, მამასთან მივიდა და უთხრა:

— მამა, იცი რა ტკბილი სიზმარი ვნახე,—თბილი, თეთრი და ფუნთუშა თითებით შეულიტინა კისერში. მაკარმა მძიმეთ ამოიხვნეშა და თვალები გაუგანიერდა.

— შვილო, მოეშვი მაგ სიზმრებს. ცხოვრებაზე იფიქრე. ხედავ... როგორ ინგრევა ჩვენი ცხოვრება, მეთევზებს ჩვენთან მუშაობა არ უნდათ, რაღაც კო-ლექტივს, აწყობენ.

— ჰო, ვიცი მამა, ვიცა ასეთი კოლექტივი ვოლგაზე აქვთ სამარიელ მე-  
თევეებს.

იყო დრო, როცა ლია უდარდელ პეპელის ჰგავდა. ახალგაზრდა, სრულიად  
ახალგაზრდა, ცხრამეტი წლის გოგონა, რომელსაც შავი კულულები უმშვენებ-  
და სახეს, წვრილი და მაღალი ტანი ჰქონდა და გიმნაზიელი ქალის ფორმა-  
ძალიან უხდებოდა.

ახლა ის ოცდათი წლის ქალია.. ჩამქრალი თეალები აქვს და სახე ფერ-  
შეკრთალი. არავის ატყვევებს სილამაზით, მღვდელ ბაგრატ ჭანტურიას მეტს, რომე-  
ლიც უხეირო კაცია. იგი ერთ ტებილ სიტყვას არ ეტყვის, არ ეალერსება,  
როცა შინ დაიბარებს, ლია მიღის მასთან. ჭანტურია არც კი მიესალმება, ისე  
უკანა ოთახში შეიყვანს, აკოცებს, მოეხვევა და... ასი ათასი კოცნა აფრენი-  
ლა ლიას ტუჩებზე, მაგრამ რად უნდა: დღეს არც ერთს არ გრძნობს. დავკ-  
ნა, დაბერდა, თმას კი იღებავს, მაგრამ გულს ხმ ვერ შეიღებავს.

მის სისხლს ისევ, ბაგრატ ჭანტურია ანელებს. ეს აფორიაქებული მღვდე-  
ლი ისე გაწუწუკებულა, რომ ქალის კაბა ჯოხზე გადაცმული ნახოს, იმასაც:  
გაელლაბუცება.

მაკარმა მებადურეთა სიმღერა რომ გაიგონა, ჩამქრალი ჩიბუხი გააჩადა-  
და ალაგზე გადმოვიდა.

„ატამანი“ პავლე „იმღერე, მეტუხალო, იმღერე“. შიიჯდა, რომელსაც გუჯა  
მხაცურებდა. უკან თევზით დატვირთული ათიოდე ნავი მოყვებოდა. სიმღერას  
იშუებდა მამედი, რომლის წკრიალა ხმა ნავთსადგურამდეც კი აღწევდა.

სიმღერა შეწყდა. ნავები დადგენ: მებადურები ნაპირზე გადმოვიდენ.  
ჯერ კიდევ ცოცხალი ოკუნები ზევით ხტებოდენ და ქერცლშემხმარ და ლაყუ-  
ჩებ გამობერილ კობრებს ეცემოდენ.

დიდი შემოსავალი ჰქონდა მაკარი თოლეას. ის ვაჭრობდა გარდა ფოთისა,  
ბათომსა, სამტრედიასა და ქუთაისში. დად ფულს იგებდა. ჭკვიანი ვაჭრის სახე-  
ლი ჰქონდა.

— მოდი, მომეხმარე უჯრედში გვაგიანდება.— უოხრა მამედს გუჯამ,  
რომელიც ნავიდან კალათით თევზს ეზიდებოდა. დაუზარელმა მამედმა მაშინვე  
მიირბინა მისაშველებლად. ნავში რომ ჩაიხედა, გაუკვირდა: გუჯას ნავი თით-  
ქმის დაეცალა

— გიჭო, რას იქლავ თავს. არ გრძნობ თვლად რომ გაღვრილხარ, ხალათი  
კანზე მიგწევებია. დანებე თავი, უჯრედში გავიქცეთ, ნავს მამაჩემი დაცლის.

— მე უჯრედში მეჩქარებოდა და იმიტომ მოვიწყვიტე წელი.

ამის შემდეგ გუჯას არასდროს არ დაუცლია მაკარი თოლეას ნავი და  
არც მის დაძახილზე ამდგარა ბლიონზე.

მამედი და გუჯა უჯრედისაკენ გზას გაუდგენ.

მიდის რიონის პირად ორი მეგობარი. ზანტი რიონი ამღვრეულ ტალებს  
ნელა მოათამაშებს და შავზღვას ხმაურით უერთდება. ზღვა ყვირის, გრუხუნებს.  
და მოლურჯო ტალებს ატლაშუნებს. რიონის მეორე მხრედან ნათლად მოჩანს  
ნავთდგური.

— მაკარი ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირად ჩამაცივდა. მიყვირის, მაგინებს. ალბად გაიგო, რომ უბედურება მოელის.

— მერე შენც დაანებე თავი. სადაც არას კოლექტივიც ჩამოყალიბდება გემთშემკეთებელ ქარხნის პარტიულ და კომკავშირელთა უჯრედების საერთო კრებაზე იდგა მეთევზეთა კოლმეორნეობის მოწყობის საკითხი. ქარხნის უჯრედები აერთიანებდნენ პარტიის 10 წევრს და 16 კომკავშირელ მეთევზებს.

კრება არ იყო დაწყებული. ქარხნის კედელზე მიშენებულ ოთახიდან მოისმოდა ხმაური, სიმღერა და სიცილი. ეს იყო უჯრედი, სადაც კრება ჰქონდათ მოწევული. კარგი პირველმა გუჯამ შეაღო. მოიხადა ჭილოფის ქუდი და ამბანაგებს საერთო სალაში ძისცა. აქ იყვნენ სხვა მეთევზეებიც, რომლებსაც, გუჯა შორიდან იცნობდა.

გუჯა ამბის გასაგებად კომუჯრედის მდრევანთან მივიღა, რომელიც ილლაში პორთფელ ამოჩილ კაცს გულმოდგინეთ ესაუბრებოდა. გუჯამ კომუჯრედის მდივანს ხელი ჩამოართვა, მდივანმა ლიმილით შეხედა მას, შემდეგ ზურგზე წაუთაცუნა ხელი და პორთფელიანს უთხრა:

— აი, ეს ჩინებული კომკავშირელი დადგება, მარჯვეა და შეგნებული.

— ჰო, კარგი ახალგაზრდა ჩანს.—სთქვა პორთფელიანმა და გუჯას ხელი ჩამოართვა.

გუჯა მოუთმენლად ელოდა კრების დაწყებას.

მალე ზარის ხმაც გაისმა. გუჯას ეგონა, რომ კრება იწყებოდა. მიმოიხედა, ჩახა. რომ მოუსვენარი მამედი ზარს აწყარუნებდა და ცელქი ბავშვივით იცინოდა.

— რა გაცინებს, ბიჭო, როდის იწყება კრება?—ჰკითხა გუჯამ და დაცერდა მის სიხარულით საესე სახეს.

— რა გეჩარება, ჯერ კირილე და ზორბეგი არ მოსულან.

— ზორბეგი რად უნდა მოვიდეს.

— იგია წამოყენებული გამგეობის თავმჯდომარედ.

— ჰო, კარგია, ძალიან კარგი.

\* \* \*

მაკარი თოდუა მელასავით მილასალასებდა. რიონის პირად. თითქოს რელაციას ეპარებაო, ისე ფეხაკრეფით მიღიოდა. გემთშემკეთებელ ქარხნის ალაყაფის კარებს მიუახლოედა, ამოეფარა ტელეგრაფის ბოძს, ასე დიდხანს სუნთქვა შეგუბებული თავისივე გულისცემას უგდებდა ყურს, როცა დაჩქმუნდა, რომ მისი აქ მოსვლა არ შეუმჩნევიათ, ჩუმად, შემპარავი ძალლივით შევიდა ეზოში და შენობის კედელს, ფანჯრის ქვეშ გაეკრა. აქედან კარგად შეეძლო მოესმინა კრების თითოეულ მონაწილის ჩურჩულიც კი.

კრება დიდიხნის დაწყებული იყო და მაკარი თოდუამ სიტყვა-სიტყვით მოისმინა, რაც კრებაზე გადაწყდა: — მეთევზეთა არტელი ჩამოყალიბდა, არტელის გამგეობის თავმჯდომარედ მისი ნამოჯამაგირალი მეთევზე ზორბეგი, ხოლო მის თანაშემწედ გუჯა ბზიავა აირჩიეს.

## თავი შესახვა

დილით მაკარი თოლუამ პირდაპირ შეხედა კავკასიონის დაცოვლილ მწვერ-  
ვალებიდან ამომავალ მზეს. იყო ღრო, როცა მაკარის ახარებდა მზე და პალია-  
სტომის დანისლული მიღამოები, მაგრამ დღეს მას არ ეტყობოდა სიხარული.

ჭიშქრიდან ჭანტურია მიესალმა, მაკარმა იგი შინ შეიძატიუა. ეტყობოდა,  
ჭანტურია გუნებაზე არ იყო და სიტყვის ამოლებას ვერ ახერხებდა. იგი კისერნ  
ზე ჩამოკიდებულ ოქროს ჯვარს ხელში ატრიალებდა.

— რა იყო კაცო, ადამიანის ფერი არ გადევს? — ჰერია თოლუამ, როცა  
სტუმარი ოთახში შემოვიდა.

— მე კი არა ქვეყანამ იცვალა ფერი.

— ჰა, სწორია. ქვეყანამ იცვალა ფერი, მაგრამ შენ რა მოგივიდა მაინც?  
— განგებ ეკითხებოდა მაკარი.

— საკვირველია, პირდაპირ, ხალხიც რომ არაფერს ამბობს და ამ კომსო-  
მოლებმა მთლად იმშეს თავი. დღეს სამრეკლოდან ზარები ძირს ჩამოაგდეს  
და გუმბათზე ჯვარი გადატეხეს. შემდეგ წითელი ბაირალი აღმართეს და  
ყიჯინით სულ აიკლეს იქაურობა.

— თუ ხელებს არ განძრევ, ეკლესის ჭი არა, სახლსაც დაგინგრევენ. —  
შენიშნა მაცდურად ვაჭარმა მღვდელს.

— ხელის განძრევა არ დამზარებია. ბევრი ვიწრიალე, მაგრამ ათი დედა-  
ბერი-ღა შემრჩა მომხრე.

— ეს ვერაფერი ჯარი გყოლია მაინცდამაინც.

— რა უნდა ვქნა, მაკარი რა? — მღვდელმა დაისაწყლა თავი, მოიკატუნა  
და აჩიტებითდა.

მაკარმა ჩიბუზი თამბაქოთი გატენა, ცეცხლი მოუკიდა, გააბოლა და შემ-  
დეგ ჰერია.

— კოლექტივი მოგწონს.

— არა. — უცებ უპასუხა ჭანტურიამ.

— მაშინ მისი არსებობაც არ უნდა ვინდოდეს.

— მე არ მინდა ყველა მათი არსებობაც, მაგრამ უჩვენოთ რომ არსე-  
ბობენ.

— ჰო და მამაო, სწორედ ეს არის უბედურება, რომ ისინი არსებობენ. —  
წამიიხრიალა მაკარმა და საშინლად დააბრიალა ჭროლა თვალები. დანაოჭე-  
ბულ სახის თითოეული ხაზი აენთო. ძარღვები გაეტერა და სიბრაზისაგან მოუ-  
ლი ტანი აუკანკალდა, — ეს არის უბედურება, დიდი უბედურება. — ბორგავდა  
და შფოთავდა მაკარი.

ამ ლრიალზე ლია შემოვიდა და მამას დამშეიდება დაუწყო, მაგრამ  
მაკარს ცეცხლი ეკიდებოდა და მისი ჩაქრობა შეუძლებელი შეიქნა.

— მამაო ბაგრატი! — მიმართა მან ჭანტურიას და თვალებში ჩაბშტერ-  
და, — დაილუბება ჩვენი ცოლშეილი. ჩვენც დავილუპებით თუ კოლექტივი არ  
დაიშალა. თუ ჩვენი ცხოვრება ისევ ჭველ კალაპოტში არ ჩადგა. ამიტომ უნდა  
იბრძოლო ცეცხლითა და მახვილით. დიახ, ცეცხლითა და მახვილით,

— რას ამბობ მაკარი, როგორ, ან რით უნდა ვიბრძოლო,—ძლივს დაიჩვენება მაკარის სიტყვებით გაოცებულმა მღვდელმა.

ისინი კიდევ დიდხანს საუბრობდენ. ბოლოს გადაწყვიტეს კოლექტივს შეცრძოლებოდენ. ჭანტურიამ მაკარის დახმარება ძლიერება.

ულამაზო ადამიანის სახეც ზოგჯერ მოულოდნელ სიხარულის გამო ლამაზდება, ვარდისფრად იღებება. აი, სწორედ ასე გალამაზდა მაკარი თოდუს დანაოცებული სახეც, როცა ჭანტურიამ მას თანხმობის ნიშნად ხელი გაუწოდა.

იმ ღამეს ჭანტურიას არ დაუბინია. ელანდებოდა ექლესია და ყურში ზარების რეკვა ესმოდა.

\* \* \*

დღეს ლიამ შორიდან დაათვალიერა მეთევზეთა ახალი უბნის მშენებლობა და მამას გულგასახეთქი ამბავი მოუტანა.

— ახალი კარვები აუშენებიათ. ბადების გადასაკიდი ხლართები მინდორზე დაუდგამთ და პალიასტომის მოუსვენარ ტალღებში ჯერ კიდევ შეუღებავი ნავები ცურაობენ. ზორბეგი და გუჯა თავს დასტრიალებენ მუშებს და ისეთი მუშაობაა გაჩაღებული, როგორიც არასოდეს არ ყოფილა. გუჯა სულ გადასხვაფერებულა, რომ შეგვხდეს ვერც კი იცნობ.—მაკარის არ ეჭაშნიკა ლიას ნაამბობი.

— ზორბეგი პორტის უბრალო მუშა იყო და სად აქვს იმის თავი, რომ ჭრტელს უხელმძღვანელოს.

ეს სიტყვები იმიტომ თქვა მაკარიმ, რომ მას მოაგონდა აუ ოცი. წლის წინ მომხდარი ერთი ამბავი:

„ერთხელ, ალიონისას, უზარმაზარი გემი მოადგა ნავთსადგურს. მემანქანემ გადმოუშვა ლუზა, მეზღვაურებმა. ნაპირზე გადმოისროლეს თოკი და ზორბეგმა ბოძე მიაკრა იგი.

გემიდან ჰველაზე უწინ გადმოვიდა უზომოთ მსუქანი მაკარი თოდუა, აკორილ ულვაშებშე გადაისვა ხელი. გაიხედა, არავინ ჩანდა. მაკარი გაოცდა. უცებ დაიღრიალა.

— ზორბეგ!

— ჰაიტ, გელდის კუპეცს ვახლავარ.—დაიძახა ზორბეგმა და მისკენ გამიიქცა.

— სად არიან, ბიჭო, ბოლაზის მუშები?:

— ბუნტი გააქეთეს, ბატონო, დღეს პირველი მასიაო და ვერ ვიმუშავებთო.

— პირველი მასიაო.—მაკარი შეჩერდა, სიბრაზისაგან ხველება აუგარდა და ისევ ავიდა გემზე.

— მუშები არ არიან, ბატონო, ვის გადმოვაცლევინო. ტვირტი.—შერბილებული ხმით უთხრა მან გემის უფროსს.

— არ ვიცი. ნახევარ საათში უნდა გადმოცალოთ, თორემ შემდეგ ჯარი-მას გადაიხდით.—ჯარიმას გაგონებაზე მაკარიმ ყურები ჩამოყარა და ფართ-ლეულით სავსე ყუთებს შესაბრალისად შეხედა (იგი მაშინ ფართლეულებითაც).

ვაჭრობდა). ამ დროს ნაპირზე ბოლაზის მორიგე ზედამხედველი შეამჩნია. მას მივარდა:

— ეს რა ამბავი გავიგე, ბატონო, მუშები სამუშაოდ არ გამოდიან.

— რა უყოთ მერე.—დამშვიდებით მიუგო ზედამხედველმა და გზა განაგრძნო.

მრავალთა შორის გემის კიბიდან ჩამოვიდა ერთი. შესამჩნევი კაცი, რომელსაც შეკრული ქალალდები ჰქონდა ილლიაში გაჩრილი და თავისუფლად მოაბიჯებდა:

— ქირილე!—დაუძახა ვიღაცამ ამ კაცს და შეაჩერა.

— ჩამოიტანე. — მიუხლოვდა მკლავებ დაკარწახებული ზორბეგი და ერთი შეკვრა გამოართვა—ამას აქვე ნავთსადგურში გავაკრავ.

— ფრთხილად, მხოლოდ ფრთხილად ზორბეგ, არ ჩავარდე. — ამ სიტყვებით კირილე გასცილდა ზორბეგს და გაჰყევა ზღვის ნაპირს.

ზორბეგქა რამოტენიმე ბოძზე მიაკრა საპირველმაისო პროკლამაცია. ნავთსადგურშიაც დაყარა: და შემდგ საჩქაროდ მოცილდა იქაურობას.

დილის ცხრა საათი იყო, თერთმეტზე დემონსტრაცია იწყებოდა.

მებაღურთა უნის ერთ ჭუჭყიან შესახევევში იდგა ისლით დახურული სახლი, არც იუიქრებდით შიგ თუ ვინმე ცხოვრობსო, ისე იყო ჩაჩუმებული. ნამდვილად კი აქ მოეყარათ მოწინავე მუშებს თავი და დღევანდელ დემონსტრაციის გეგმას ადგენდენ. რომელიც 12 საათზე უნდა დაწყებულიყო.

ქალაქში არ ისევინგდა ბოქაული ფილიმონოვი. ენა ამოგდებული დარბოდა და „წესრიგს“ ამყარებდა.

დემონსტრანტები დინჯი ნაბიჯებით და რევოლუციონური სიმღერით შემოვიდენ ქალაქში. მათ პოლიციამ არ გაუწია წინააღმდეგობა, ხოლო აქა-იქ, პოლიციის მოხელეები იდგენ და ეშმაკური თვალებით ნიშანში იღებდენ მოწინავებს.

დემონსტრანტებს წინ მოუძლოდა ზორბეგი, რომელსაც წითელი დროშის გრძელ ტარზე მაგრად ჩაეჭიდა ხელი. იგი ხმამალა მლეროდა. მალე ბოლაზის და რკინისგზის მუშებს შეუერთდენ მეზღვაურებიც და მრავალრიცხოვანი. დემონსტრაცია, ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით აშენებულ ეკლესის წინ მდებარე მინდობრზე შეჩერდა.

გუგუნებდა რევოლუციონური სიმღერები. ელვარებდა წითელი დროშა, რომელიც ზორბეგს ამყად ეკავა ხელში.

უცებ ჰაერში მათრახებმა გაიშეუილეს.

— დაიშალენით, დაიშალენით. — ყვიროდა ფილიმონოვი და პრიალა ხმალს ხელში ათამაშაშებდა. მან ზორბეგი ნიშანში ამოილო, ცხენი პირდაპირ. მისკენ გამოქანა, მაგრამ მუშებმა არ გაუშვეს. წინ გადაუდგენ. გამხეცებული ფილი-მონოვი ხმლით იყავავდა გზას.

პოლიციელები მუშებს ირგვლივ რეალივით შემოერტყენ.

ფილიმონოვი ზორბეგთან მიიჭრა. შეუყვირა, მოუქნია. ხმალი და ოთხივე თითი, რომლითაც დროშა ეკავა, ძირში მოჭრა. ზორბეგმა დაიღრიალა. დროშა

ტელიდან გაუვარდა, შემდეგ პოლიციელები შემოესიენ და სისხლით გასვრილი ცემით წინ წაიგდეს.

იმ დღეს უდანაშაულოთა სისხლი „წმინდა ეკლესიის“ წინ ბლომად დაიღვარა.

ნესტიანი და ჭუჭყიანი ციხე გაივსო მუშებით. ზორბეგი სისხლში ამოსვრილი ცოცხალ-მკვდარი ეგდო ციხის იატაკზე.“

ეს ძველი ამბავია, რომელიც მაკარი თოდუას შეხსიერებაში ჩაჟღდილია ლურსმანივით. ამ დღეს დიდალი ფული წააგო მან და მის შემდეგ ძალიან იჯავრება მუშები.

### თავი გვითხვი

ლაქაშებიდან მოისმის თევზების ფართხალი და კიდევ ბაყაყების გამული ყიყინი.

თეთრად ჩაუმული ლია ნიჩბების ნელი მოსმით „იმლერე, მერცხალო, იმ-ლერეს“ მიაცურებს. ჩამავალი მზე ეოთოვება მიდამოს და მოშარიშური ლაქა-შებს ულონო სხივებით ეალერსება.

ლია მიაცურებს ნავს და თან მლერის წკრიალა ხმით.

გუშინ მამამ დაავალა—გუჯა მოწამლეო. გუშინ სალამოსვე მას კიდევაც შეხვდა ბალში. მიესალმა, ხელიც ჩამოართვა. უნდოდა გასაუბრება, მაგრამ გუჯას არ სტალოდა და უმალვე მოსცილდა. გული დაწყდა. ჩუმად თქვა:

— ახლა მოჯამაგირეც არ მკადრულობს. გიჩენებ სეირს, დაგიდუმებ მაგანალგაზრდა გულს.—და უფრო აენთო, უფრო ალელდა.

ლია დღეს მოწყენილი იყო, გაროობა უნდოდა, გადაწყვეტა პალიასტომში ნავით გასეირნება. სადაც არის ჭანტურიაც მოვა და ღროს გაატარებენ. ამიტომ უდარდელია და ხან მლერის ბბამალლა, ხან კიდევ ლილინებს რალიც ჭანტიმეტალურ რომანსს.

მიუახლოვდა კოლექტივის კარვებს, კარვების გვერდით ხლართებზე გაფენილ ბადეებს ოხშივარი ასდიოდა. ლიამ მოიხედა, უნდოდა გუჯასთვის მოეკრა თვალი. გუჯა არ ჩანდა. ლიამ ნიჩბები უფრო ლონივრად მოუსვა.

უცნაურია პალიასტომის ტალლები. ისინი ბორცვებივით აგორებულან და შრიალ-ლრიალით ეხეოქებიან, ქვიშრან ნაპირებს. მათი ღრტვილნა და შეუილი რალაც გაურკვეველ ლრდანცულად ედება რიონისა და შევი ზლვის მიღამოებს:

კოლოები აქ არ იცის, ვინაიდან აქ ყოველთვის ქარია და პაერი ცვალებადია.

ლიას შეკრეპილი ხუჭუჭა თმები აბურძეგნია და სახეზე ჩამოფანტვია. მან ლაქაშინებში ნახევრად შეაცურა ნავი და ჩეროს მიაბა.

— მეტი არ არის ჩეში მტერი, იგი არ მოვა.—დიდი ხნის ლოდინის შემდეგ თქვა მან, ფითქოს ლაქაშინებს ეუბნებალ და თმები შეისწორა. წუმწუმა გააჩალა, პაპიროსს მოუკიდა და ცხვირის ნესტოებიდან კვამლი გამოუშვა. შემდეგ ისმოდა მხოლოდ ტალლების თქარუნი და ლაქაშების შრიალი.

მზე ჩადის. სალამოვდება და პალიასტომზე რძის ფერი ნისლი თანდათან სქელდება. ლია მოილალა ლოდინით, არავინ მოდის, მაგრამ, პა... უკანასჭა-

ნელი იმედი გულშივე ჩაიმსხვრა და წამსხვრევები თვალებიდან წამოვიდა, — ეს იყო თბილი ცრემლები, რომლებიც ნიკაპზე ისკვნებოდნენ.

ერთი ზნე სჭირდა ლიას. იგი უბრალო რამეზე ატირდებოდა და მანამდე იზლუქუნებდა, სანამ ვინმე არ მოეალერსებოდა, მაგრამ ახლა ვინ უნდა მოეალერსოს. ტალღები ტალღებს ეალერსება, თევზები კიდევ თევზებს და ლია კი...

ამიტომ უფრო დაწყდა გული. მაგრამ მაინც შეიმაგრა თავი. ცრემლები მოიწმინდა და ნავი ახსნა. მყლავებში ლონე დაკვარგოდა, ნიჩების მოსმა ვერ შესძლო, შეტერდა, მაგრამ ნავი ტალღებმა შეატრიალეს, ლიას შეეშინდა.

სწორედ ამ დროს ფიჩორიდან გადმოაცურა ნავი გუჯამ და ნიჩების მაგარი მოსმით „კოლექტივის იმედმა“ გასჭრა პალიასტომის მოდუდუნე ტალღები.

გუჯამ შორიდანვე იცნო მაკარი თოდუას ნავი „იმღერე, მერკებალო, იმღერე“, რომელსაც, ტალღები არხევდენ და საკუთარ თავს შეეკითხა: ნუ თუ შიგ მარტო ლია ზის... გუჯას არ უნდა ლიას შეხვდეს, მაგრამ ლიამ შორიდანვე შეამჩნია იგი და დაუძახა. გუჯამ ძახილი წაიყრუა და სხვა მხარეს წავიდა.

— გუჯა, მომიცადე, რას გარბიხარ. — დაუძახა ლიამ და უკან ნავით გაედევნა. გუჯამ უხერხულობა იგრძნო, მაგრამ რა ექნა, მაინც შეაჩერა ნავი.

— ამ საღამოს აქ რად მოსულხარ, ლია? — გაუბედავად შეეკითხა და ნიჩები წყალში დაატყლაპუნა.

— შენ მოგელოდებოდი, რა ხანია შენ დაგეხებ. — სიტყვა გადაუგდო ლიამ და ნამდვილად კი ჭანტურიას ელოდებოდა.

— მე რად მელოდები, ჩემთან რა საქმე გაქვს. ახლა თქვენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ.

— რა სისულელეა, მე შენ ისე კი არ დაგიძახე, როგორც შოჯამაგირეს.

— აბა რა გინდა ჩემგან. — გაკვირვებულად იყითხა.

— საქმე მაქმს გუჯა, საქმე. — ეს სიტყვები ლიამ ცახცახით წარმოსთვევა და ხელი შეუმჩნევლად წაილო ჯიბისკენ საწამლავშერეულ შოკოლადის ამოსალებად.

გუჯას ვერ მოეფიქრა თუ რა საქმე ჰქონდა მასთან ლიას და ამიტომ გაოცებული შეყურებდა ქალს.

— გუჯა, ღვინოს დალევ? — ჰკითხა ლიამ და ეშმაკურად დაახამხამა თვალები.

— არა, რა დროს ღვინოა. — გაოცებულად შიუგო გუჯამ და უფრო დააკვირდა.

— გადმოდი ნავში, მოდი ჩემთან, არ გინდა. შოკოლადსაც გაკმევ — და ლიამ ისე მაგრად ამოსუნთქა, რომ მყერდი ზევით ამოებერა და ძუძუები შეერხა. ტუჩებს მაგრად დააჭირა კბილები, შემდეგ ღიმილით გახსნა მოლურჯო ბაგეები და ხელმეორედ სთხოვა ნავში გადმოსულიყო.

— დამეხსნი ლია, არც შოკოლადი მინდა და არც ღვინო, — ამ სიტყვებით გუჯამ ნავი. შეატრიალა და მძლავრად მოუსეა ნიჩებს,

უქვე საღამო იყო და მათ შორის სიბნელე ჩამოწვა.

\* \* \*

მაკარმა მბეჭუტავ თვალებით შეხედა ყოფილ ვაჭარ პაჭკორიას და უთხრა: — ჩემს გაწყობილ ბადებს ისინი დაეპატრონენ. შენც გამოგაცალეს სა-შირკველი, ჭანტურიას კი მრევლი ჩამოაცილეს, ეკლესია დაუხურეს. ახლა რო-გორ უნდა მოვიქცეთ. ბატონები ხართ და გვიბრძანეთ...

— პალიასტომში რომ იხრჩობა კაცი, ისიც აფათურებს ხელებს, იმასაც გადარჩენის იმედი აქვს. ჩვენ კი ქვის საძირკველის მაგივრად წყალი ჩაგვიდგა და ზედ ნაფოტიერ ვფარფატებთ. თუ არ გავანძრიეთ ხელები ჩავიძირებით. უნდა შევინარჩუნოთ სიცოცხლე. გუშინ სამასი თუმნის საგადასახადო ფურცე-ლი მომივიდა. დღეს კიდევ ოცი თუმანი საშემოსავლო და ასე ყოველდღე გა-დასახადი და გადასახადი. გავწყდი წელში, გავწყდი... მაკარი თოლუას ტკივილი ჩვენი ტკივილია, მაკარის უბედურება ჩვენი უბედურებაა. — ხმას აუმაღლა პაჭ-კორიამ. მელოტი თავი და წმინდათ მოპარსული პირისახე სულ გაუწიოთლდა.

იყაყანეს, იფუსფუსეს და ოთახში თამბაქოს ბოლი წისლივით დადგა. ბო-ლოს მაკარის აზრს დაეთანხმენ.

— მე და შენ ამაღლამ უნდა გავაკეთოთ ეს საქმე, — უთხრა მაკარიმ მლვდელ-ბაგრატ ჭანტურიას. გადაწყდა... მერე მაკარმა გასძახა:

— დედაკაცი, დატრიალდი...

მალე გაიშალა სუფრა და აწკარუნდა ღვინით სავსე ჭიქები. ლია როიალ-უჯდა და სევლიან მელოდიას აუღერებდა. თან ახორხოცებულ ბაგრატ ჭანტურიას თვალებით ხერეტდა. „რატომ არ მოდი, პალიასტომშე, რათ მომატყუეო“.

მაკარის ცოლს, ამ დაფეხვილ დედაკაცს, ნიკრისის ქარისაგან შერყეული სახსრები ახლა რატომდაც გამაგრებოდა და გულმოდგინეთ სუფრას დასტრია-ლებდა.

ნაშუალამეეს, როცა ცისკარი მეორედ დაიხურა და პალიასტომიტან ამო-სულ მთეარეს ლრუბელი ამოეფარა. აი, მაშინ მიატოვა სუფრა პაჭკორიამ, გა-მოეშვიდობა მაკარი თოლუას და ჭანტურიას. უსურვა გამარჯვება და თანაც-დაარიგა, რათა ამაღლა ძალიან ფრთხილად ემოქმედნათ.

პაჭკორიას წასვლის შემდეგ, როცა მაკარმა, დააპირა მეთევზეთა უბანში წასვლა, შემინებული ჭანტურია ჩაუვარდა მუხლებში და შეევედრა:

— ნუ, ქრისტიანო... სულც ვერ წავიწყმენდ... და არ იჭერენ.

— ნუ გეშინია. მე დაწვრილებით გავიგე — ამაღლამ არავინ არ დარაჯობს ნავებს. ბადეები გაფენილია ხლართებშე და მაშინ დაინახავენ, როცა ცეცხლის აუი არარდება.

— არა, არა, — ბლუყუნებდა ჭანტურია.

— თუ სამუდამოდ გვიხსნის, იქისრე მამაო. — წამოაყრანტალა მაკარის-ცოლშა, რომელიც საწოლზე ფეხმორთხმული იჯდა და ჭანტურიას. ცრემლმო-რეულ თვალებით შეპყურებდა.

— ნუ ცახცახებ, გაბედე იმისათვის, რომ წმინდა ჯვარი ისევ გუმბათზე აიძრაოს და შის გადამტეხს ხელი მოტყდეს. — დაუმატა მაკარმა.

— ჭვარი ისევ აიზართება, წელშიც გავიმართები, გავბედავ. როგორ არა. — ამ სიტყვებით წამოდგა, ანაფორა შეისწორა და რატომლაც შეტრიალ-შემოტრიალდა, წელში გასწორდა.

მაკარი მზად იყო... ორივენი გარედ გამოვიდენ და შემპარავი ნაბიჯებით ეზო გაიარეს..

ლია და დედამისი ფანჯარასთან იღენ.

— სად არის, შვილო?

— აი იქ.—თითით უჩენა ლიამ ის ადგილი, სადაც კოლექტივის ბადეები იყო გაფენილი.

გულის ფართხალით მოელოდა დედა-შვილი ცეცხლის პირველი ალის ავარდნას. ცეცხლი მოედება ბადეებს, ალი დაიკლაკნება სივრცეში და შავ გრუზა ლრუბლებს გალოკავს, გაანათებს, ცისარტყელასავით გაეკვრება. მაგრამ ჯერ კადევ ისევ სიბრელეა.

გატურნული ლამეა. ზღვაური არ აშრიალებს ლაქაშებს, ლრუბლები ზანტად მიიწვენ აღმოსავლეთისკენ და ლრუბლების ნაფლეთებში მბჟუტავი ვარ-სკვლავები ჩნდებიან.

— არ ჩანს ალი.

დედას არ ეყო მოთმინება და იმედდაკარგულივით ჩამოჯდა საწოლზე.

ლიას ფართოდ ჰქონდა თვალები დალებული და ცახცახით მოელოდა ცეცხლის გაელვებას

— დედა, ცეცხლი!... — ისტერიულად წამოიძახა ლიამ და სიხარულისაგან სახე აელეწა, მაგრამ სანამ დედა ფანჯარამდე მივიდოდა; სინათლე დაიკარგა. ალვის ხეები ისევ სიბრელეში ჩაიძირენ და ლიამ გულის ტკივილით უთხრა. დე-დას: — ის ოხერი შეუქურა ყოფილა. — და უიმედოთ მოწყდა ფანჯარას.

\* \* \*

ორი ლანჯი კაპარჭინას პირად მიაბორტებდა — ისინი მაკარი თოდუა და მაგრატ ჭანტურია იყვნენ. მძიმეთ და მოფიქრებულად ადგამდა მაკარი ნაბიჯებს. მას ხელში სანავთე ჭურჭელი ეკავა. ჭანტურიას კი იღლიაში გამოჩრილი ჰქონდა რამდენიმე ბურლი და თავისაქინდრული, წვერების ცანცარით მიძუნდულებდა მაკარის უკან. ფართოდ გაშლილ ანაფორის ვეებერთელა ლანდი მის გვერდით მიბაჯგბაჯებდა.

— სსუუ, მოკედით, აქ გაქვავდი, არ დაინძრე. კარაგში მგონი არ სძინავთ. — უჩიურებულა მაკარიმ და სუნთქვა შეიგუბა, როგორც მაძებრმა ძალლმა ისე გააძლიერა ყნოსვა და გაშეშებული სხეული მოეკრუნჩხა, თითქო ლოკოკინაა და ნაჭუჭში შეძერაო.

დარწმუნდა, რომ კარაგში არ ეძინათ.

ნაეთის ჭურჭელი ხელიდან გააგდო და წელში შოხრილად უკანვე გამუნდა.

— წამოდი, — მიაძახა ჭანტურიას, მავრამ გაშეშებული მლედელი გაქვაგუბულივით არ ინძრეოდა. მაშინ მივიდა მასთან, მოავლო მკლავში ხელი და ძალით წამოაჩანჩალა.

— კაცო, ნაცთი რად გადალვარე, ბალეები არ უნდა დავწვათ?! — შეეკითხა მღვდელი და აუჩქარა ნაბიჯებს.

— შე სულელო, უნდა დავწვათ, მაგრამ არ ხედავ კარავში მეთევზებს არ სძინავთ.

— უი, მართლა, მართლა, — არ სძინავთ, საუბარი მესმოდა.

— და ახლა ნავები უნდა ჩაეძიროთ, წამოდი მალე, თორემ შემოგვათენდება.

მაკარიმ ჯებირიდან ძირს ჩაირბინა და მუხლებამდე წყალში შეტოვა. ჭანტურიაც მიჰყვა.

— გაბურლე, ხუთ-ექვს ადგილას გაბურლე, — ჩიფეჩიფებდა შაკარი და შელავებს ატრიალებდა, იჭინთებოდა და ხვნეშოდა ისე; თითქოს ათი ფუთი სიმძიმე აღევს ზურგზეო.

ნავის ძირი ერთ ადგილას გამობურლა, გაუხარდა ნახერეტიდან რომ თქრიალით ამოხეთქა წყალმა. შემდეგ ამოფორთხდა და მეორე ნავში გადახტომა-ძლივს მოასწრო.

— რა მოგივიდა! საცეცხლურის გაქნევის მეტი არაფერი გისწავლია?.. — შეუბლვირა მაკარიმ და გადაფურთხა, როცა შეხეტა ჭანტურიას, რომელ-მაც ნავიდან ამოხტომის დროს ვერ შეიმაგრა თავი და წყალში ტყაბანი გააძინა.

ძლივს ამოათრია ნაპირზე მაკარმა ცოცხალ-მკვდარი მღვდელი და ისევ-ნავებს დაუბრუნდა.

შვიდი ნავი გამობურდეს. შვიდი ნაფი გაიგო წყლით. შვიდრვე მალე ჩა-იძირა

სიხარულით შეანჯლრია ჭანტურია მაკარიმ და ხელით მიუთითა ნავები-საკენ.

— ხედავ...

და როგორც ნავებში წყალმა, სიხარულმა ისე ითქრიალა იმათ სახეზე.

### თავი შესუთხ

ჯერ კიდევ დილის მძიმე ნისლი არ გაფანტულა.

შემთენებული მთვარე ულრუბლო ცაზე ლაქასავით აჩნია.

აგერ დაფრინდა ერთი ტანძძიმე ყანჩა, რალაც ეშმაკურად ცალფეხზე შე-დგა და გრძელი ნისკარტით წყალი მოხერიპა. შემდეგ ორივე ფეხი მძიმეთ ჩა-ასო მიწას და გაუმაძლარი თვალების ხამხამით საოვეზაოდ მოემზადა.

ქვირითებიდან ახლად გამოჩეკილი ლიფსიტები დაფარფატებენ გამჭვალ-ვალე წყალში, და ეს ბედოვლათი ყანჩები ამ ლიფსიტებს უთვალთვალებენ. ეს თევზები მათი საყვარელი საჭმელია.

თევზებზე ნადირობენ ადამიანები, ფრინველები და თვით თევზებიც.

პალიასტომი დღეს არ ხმაურობს. იგი მოწყენილია ისე, როგორც ჭანტურიას ოჯახი, რომლებიც განსაცდელს მოელის.

ჭანტურია გულალმა ტკივით გდია თავის საწოლზე და გაშეშებული თვალებით ჭერს უაზროდ მიშტერებია. მის გულში ცეცხლი ტრიალებს.

— დამიჭერენ, დავილუპე. ციმბირის იქით გამგზავნიან:

ამ სიტყვებს ხშირად იმეორებს და შიშისაგან ფერწასულს დათენთილი სხეული უკანებებს.

— ბავშვი გაფრინე, მაგრამ ჯვარი ვერ უპოვნია.—უთხრა მას შეილმა.

— უუ... ჯვარი ვერ უპოვნია. უთუოდ ნავში ჩამიერდა. ვაიმე. — დაიზმურილა მლდელმა და ბარბაცით წამოდგა.

ჩამოუშვა ფანჯრებზე ფარდები, დაიწყო ოთახში წრიალი.

\* \* \*

ელნათურის შუქით მოფერმკრთალებულ ოთახში, საწოლზე წამოწოლილი არარი თოლუას გათენება არც კი უგრძენია, ვიდრე ლიამ ფანჯრების დარაბები არ გააღო და იქიდან მზემ არ ითქმიალა. ჩვეულებრივი დილაა, მაგრამ მის გულს არაჩვეულებრივი ტკივილი აწუხებს.

— გული მიწუხს, დარაბები დაკეტე, სიბნელე მირჩევნია.—უთხრა მან ლიას და ჩიბუხი მოქაჩა.

ლიამ მამის ბრძანება შეასრულა. ყველა დარაბები დაკეტა და მხოლოდ ერთი დასტოვა ტია, საიდანაც იგი წუხელ სივრცეში ცეცხლის გაელვებას ელოდა. გაიხედა, მაგრამ ცეცხლის მაგიერ ახლა მზე ელვარებდა. ზღვაური აშრიალებდა მაგნოლიის ხის ფოთლებს.

— რატომ გამაჩინე, მამაჩემო, თუ ცხოვრებაში ასეთი უბედური ვიქნებოდი.—ლიამ თავის სიცოცხლეში პირველად უსაყვედურა მამას. ამიტომ შერცხვა, თვალები მოარიდა მის მრისხანე სახეს და ამოიკვენესა.

მამას პასუხი არ გაუცია. მას ასეთი წერილმანი ამშებისთვის ამჟამად არ ეცალა.

ლიამ ერთხელ კიდევ შეხედა მამას, რომლის სახე კვამლში გახვეულიყო. მერე თავის ოთახში წავიდა.

ლიას თმაში ჭალარა საკმაოდ შერეული ჰქონდა და სახეზედაც მოტეხილი იყო. იგი მაინც თავის თავს ქალიშვილს ეძახდა. ამას იმით ამტკიცებდა, რომ მას ქმარი არ ჰყოლია.

მოგონებაში შეცურა.

ოდესლაც იგი ცქრიალა გოგონა იყო, მაგრამ გაჰქრა ის დრო. გაჰქრა სამუდამოდ.

\* \* \*

— ეს ჩემს შემოტანილ ნავში ეგდო.—უთხრა კირილემ გუჯას და ჯვარი ხელში დაატრიალა.

— მლვდელს ჩაუდენია.—წარმოთქვა გუჯამ ისე, რომ ბაგეები ძლივსლა გახსნა.—მარტო მლვდლის ხელი არ იქნება აქ.—დასძინა შემდეგ.

— დაუყოვნებლივ საჭიროა გამოძიება. მტრები წელში უნდა გავტეხოთ, თორემ უფრო შემოგვიტევენ.

— გამოძიება ამას სჭიროა, მაგრამ ჩეენ ასე უნდა მოვიკცეთ: რაჯი იმ მლვდელს ჯვარი ნავში ჩავარდნია, უთუოდ მოაკითხავს, საბუთი ხელთ არ ჩაუვარდეთო. დავუდარაჯოთ ამ ღამით და...

— ბიჭოს, მართლა ასე აჯობებს.

— ეკლესია ყოველთვის ებრძოდა იმას; ვინც საკუთარი შრომათ ცხოვრობდა და დღესაც ამ ოქროს ჯვარი ერთი ნაბიჯით უდანარ დაგვწია.—თქვა კირილემ და ჯვარი მიწაზე დაანარცახა.

— ჰე, როგორ ჩამოგიყრიათ ყურები. მაგ ჯვარის პატრონიც მაღლე ჩაგვივარდება ხელში მანამდე კი წავიდეთ სათევზაოდ. ყველა ნავი ხომ არ არის ჩაძრული. დღევანდელ დღეს ნუ დავკარგავთ.—უჭიყივლა ამხანაგებს მამედმა და ბადებს მოავლო ხელი.

მხეს უკვე საქმარდ გაეთბო წყალი.

წყალში ჩაყრილი ბადები ირხეოდენ და ნავებში ჩამსხდარი მეთევზები თევზს მოელოდენ.

წვიმის მოლოდინში თევზები ხარბად ეტანებოდენ საჭმელს.

ბადებს ბლომად მოჰყვა თევზი.

ფერფლებზაწითლებული ქორჭილები, პირდაღებული ღლავები, მუდამ მოუსვენარი და ხვანხვალა თევზისჭერები ფართქალებენ.

ძლივს მოსცურავენ მეთევზეთა დატვირთული ნავები. მათ წინ მიუძლვის „კოლმეურნეობის იმედი“, ჰალი ფარფატა ნავი, რომელზედაც წითელი დროშაა ამართული.

კოლმეურნეობის ნავებს მოელიან მებაღურთა უბანში. ქალებს, მამაკაცებს და ბავშვებს თავი მოუყრიათ კაპარჭინას პირად.

შეჯგუფულ ხალხში ვილაცამ დაიყვირა:

— მოდიას!—და ჩოჩქოლი ატყდა.

ახმაურდენ, აზრიალდენ და გუგუნით ნაპირისაკენ გაექანენ.

— უი, ბეჩა, დაბიდგეს თვალები, რამდენა თევზი დაუჭერიათ...

— აბა, შეხედე, ქალო, ოთხი ნავი პირამდეა გაზიზინებული.

ახმაურდენ მეთევზეთა ცოლები და სიხარულით თითისტარებივით დაჭრიალდენ.

შეუდგენ ნავების დაცლას.

\* \*

ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ კაპარჭინას ხმაური და ლაქაშების შრიალი ყრუ გუგუნათ იშლება. ლაქაშებში წყალმა გაიხუილა და თეთრად გაიშალა.

— აქ, ალბად თევზია.—გაიფიქრა მამედმა და წყალს დააკვირდა. მართლაც გაიფართხალა თევზმა, შეარხია ლაქაშები და ზედაპირს გრძელი კვალი დააჩნდა. მამედმა კინალაბ წყალში შეტრპა, მაგრამ უცებ თავი შეიმაგრა.

— ნუ გავიწყდება, ნავებს დარაჯობ.—გააფრთხილა თავის თავი, წყალში გასწორდა და თოფი მოიმარჯვა.

კოლხეთის ცაზე, თეთრი, დაწურული ღრუბლები დასავლეთისკენ მიიწვეიან და მთვარეს ხან აჩენენ და ხან არა. ერთ ადგილზე ჭაბჭახით მოწყდა ვარსკვლავი, გაავლო კვალი, დაეცა მეორეს და დააპერწელდა.

ტურების გაბმულ კივილმა და ღრიანკელმა იკულო კაპარჭინას მიღამოები. უკვე შუალამეა. მეთევზეთა უბანს სძინავს.

არ სძინავს მაკარი თოლდუას ოჯახს. უკანა ოთახის ფანჯრიდან სინათლის შუქი ლამის ნისლს ათეთრებს. სინათლეში ჭრელი პეპელები ირევიან, ფანჯარას ენერგიულად აწყდებიან და ფრთებდალეჭილი ატმის ყვავილებივით ძირს ცირვიან. შუქი წვდება და ანათებს გუჯას ეზოსაც, სადაც კილლებჩანგრეული ქოხი დგას. ქოხის გვერდით დიდალი ქვა, კირი და აგური ყრია.

ეზო გუჯაშ კოლმეურნეობაში შეიტანა, სადაც თევზების დასამარილებელი ქარხანა შენდება.

გახელებულ მღვდლის ლანდმა დააბნელა მაკარის ოთახის ფანჯარა.

— შენ დამლუპე, ოქროს ჯვარი შენ დამაკარგვინე. — უყვირის მაკარის ჭანტურია.

— ჯვარის საფასურს ერთი სამაც გადაგიხდა, ოლონდ იწამე ლმერთი და ნუ ყვირი.

— როგორ არ ვიყვირო, მე ჩემს ტყავს ვუფრთხილდები. ჯვარი დავკარგე, რომელიც ფული ღირს და ამავე ღროს საფრთხის წინაშე ვდგავარ. ნახავენ, იცნობენ და ნავების ჩაძირვისათვის მე დამადებენ ხელს, მაგრამ ვერ მოგართვი, ჩველაფერს ვიტყვი, გირჩევია წარმომყევი ახლა და ჯვარი მომაძებნიე.

ჯვარის დაკარგვაშ მაკარიც საგონებელში ჩაგდიო და ამიტომ ენის ამოდებას ვერ ახერხებდა, რომ ეს აფორიაქებული მღვდელი დაემშვიდებია.

შეალამე გადასული იყო, როცა მაკარი და ჭანტურია ჩაძირულ ნავებთან მოვიდენ.

მაკარიმ დროშა მოგლიჯა „კოლექტივის იმედს“ და ყავარჯენივით დაუყრდნო მას, ვიდრე ნაეში გადახტებლდა.

— სად დაკარგე?

— აი, აქედან გადავვარდი, ალბად ამაში იქნება, — და დაიწყეს ჩაძირულ ნაეში ხელების ფათური.

— ნეტავ ბურლები კიდევ წამომელო, ამ ნავებსაც მოულებდი ბოლოს. — უთხრა მაკარიმ ჭანტურიას.

ამ დროს იგრიალა მამედის მედგარმა ხმამ და მაკარი შიშისაგან ნაეში ჩავარდა. მამედმა ყიუინთან ერთად თოფი თრჯერ გაისროლა და ტყვიამ ცაში გაიქუხილა.

მამედმა მაკარი და ჭანტურია შეიაყრო. თოკით ერთმანეთს მიაბა და წინ გაიგდო..

## კომპავშირელი

1

რა ლამაზია ცა სვანეთისა,  
 სვანეთის მთებში გათენებისას,—  
 მიდამო ბზინავს ლურჯ ფირუზისფრად  
 მწვანე ნაძვნარის ანარეკლისგან.  
 მაღალი მთები შეკრულან მხრებით,  
 ხშირი ნაძვნარის ხავერდის ნაბლით  
 და აშოლტილან ვით ჯიხვთა რქები  
 გააღმასებულ წვეტებით ცამდი.  
 როცა რიერაჟზე განთიადისას  
 ამ მაღალ მთებში იღვიძებს მწყემსი,  
 მის სალგმურის საამო ხმისგან  
 მოჯადოებით ნაძვნარიც კვნესის.  
 ამ დროს ერთ წუთით, მზის ამოსვლის წინ,  
 ჩამწკრივებული ჯარები მთების—  
 იღვიძებიან ახალი სისხლის  
 თბილ ოშხივარის ვარდის ფერებით.  
 რიერაჟი მოდის გადაფერილი,  
 ოქროს ვარდებით აყვავებული,  
 კვარცხლბეკზე ჯიხვი ყელმოლერილი  
 გაქვავებულა დატყვევებული.  
 რა დიდებულად ოქროსფერ ხანძრით  
 მზეს თავს ევლება ბუნების ნიჭი—  
 მხოლოდ თუ ზოგჯერ შრიალებს ნაძვი,  
 მხოლოდ თუ ზოგჯერ ირხევა ფიჭვი.  
 მათ ხშირ ტოტებში ჩაბუდებული  
 ურიცხვ ფრინველთა ისმის გალობა,—  
 დიდებულ მზისთვის შეგებებული  
 დღეგრძელ სიცოცხლის მისასალმებლად—  
 მოვარაყებულ ზურმუხტის ფერად  
 ასე ელვარებს სვანეთის მთები,  
 როს ყინულოვან უმაღლეს მწვერვალთ  
 მზე თავს აღება შვაღლის ანთებით;

ხოლო როდესაც საღამოისას  
მწვერვალებს მიღმა შზე იღუპება,  
და უკანასკნელ ფერებით მოსავს  
ცას მოყვითალო მსუბუქ ღრუბლებად, —  
მაშინ ეს მთები შავმეწამული  
მოოქროვილი ბრინჯაოს აბჯრით, —  
ვით რაინდები რიგად რაზმულნი  
გვანან ხეთების შორეულ აჩრდილს.

## 2

როცა დაჭრილი ველური მტერი  
მომაკვდავი ხმით მთაში გმინავდა,  
პარტიზანელთა თოფების ცეცხლში  
შზე რევკომების მძლავრად ბრწყინავდა...  
და იდგენ მთები საუკუნეთა  
ყრუ, გაქვავებულ კლდების შორის,  
სად წარსულ დღეთა მოუბრუნებთა  
უქმი დალები კლდეს ისე აჩნდა,  
ვით გვირაბილან ამონათხარი  
ქვანახშირის ზოდს ჩადუნას ფორჩხი,  
ვით ქვესკნელიდან ამონაყარი  
გარდაქეშანის ქვადგმინილი ჩონჩხი.  
გამოფიტული ასწელთა რიგი —  
ხალხების ძარცვის და სისხლის ნთხევის,  
ვით ისტორიის მტერიანი წიგნი —  
კლდებზე მიმხმარ სისხლის ნაკვთებით, —  
ამბობდა წარსულ საუკუნეთა  
დახაქცებული მონობის ქვები,  
და ისტორიულ შემობრუნებას  
სეანეთის მთები ზიდავდენ მხრებით.  
მთებს არ ახსოვდა ასეთი, მძლავრი  
ხეთთა და ლაზთა ცხენთა ჰენება,  
მათი ველური ყელით ბლავილი.  
არასდროს იყო ასე ვეება, —  
როგორც რევკომის პარტიზანების  
ერთი უბრალო ტყვიის ქუჩილი.  
მათი შეტევა და გაქანება  
ვით დედამიწის გულის წუხილი,  
უზარმაზარ მთებს აზანზარებდა  
მომავლის დღეთა ზარის სარეკად, —  
როცა მდინარე ამოვარდება  
ქალაპოტილან და ლამეს შეკრავს.

3

ჰუალამეა, მიდამოს სძინავს,  
 ტანმალალ მთებში დუმილი მეფობს,  
 ცაზე აქა-იქ ვარსკვლავი ბრწყინავს  
 და ოლარ ისმის მთებიდან ეხო.  
 მხოლოდ ხანდახან პირგაბადრული,  
 მთვარე ლრუბლებს ხევს, როგორც შეშლილი.  
 მხოლოდ ხანდახან სადღაც აფთრული  
 რყვია იქუხებს გულდაგეშილი.  
 რევკომის დაბას დარაჯობს რაზმი,  
 მხოლოდ ფრთხილ გუშავს არ სძინავს ახლა,  
 საგუშაგოზე სასტიკი, მკაცრი—  
 გამჭრიახ თვალთა მახვილი ახლავს.

4

თავად ემუხვარს ღიდი ეზოთი  
 ღიდი სახლი და კოშკი დაუდგამს,—  
 მის ასაგებად მრავალი ლოდის  
 მოტანა მონებს სისხლად დაუჯდათ.  
 თავად ემუხვარს უწინდელ დროში  
 ბევრჯერ მოუხდა მის ასაგებად—  
 თავისი ოქროსტარიან დაშნის  
 „მეტყველ პირუტყვთა“ გვამში ჩაგება.  
 უწინდელ დროში, შორს ჩრდილოეთში,  
 როცა არწივი ორთავიანად—  
 ოქროს ტაბტს აჯდა, და მონა—ლეში  
 არ ითვლებოდა აღამიანად,—  
 თავად ემუხვარს კლანჭებში ჰქონდა  
 ორთავიანი არწივის ძალა  
 და მონის ლეშის კორტნაც იცადა,—  
 როგორც არწივი ძიძგნიდა ნადავლი.  
 ახლა რომ ტყეში არ იმალვიან  
 რევკომის ურჩი პარტიზანები,  
 ამ ბეხრევ თავადს უნდა ძალიან  
 იმათი სისხლის აბაზანები.  
 თუ ამას „ლმერთი“ არ შეუსრულებს,  
 იგი გულდაჯულ თხოვს თავის შეილებს:  
 „თქვენ ვაჟკაცობა გამოიჩინეთ,  
 ნაქები გვარი არ შემირცხვინოთ.  
 ჩვენი უფლება, ტყენი, მიწები—  
 მათ ერთიანად გაინაწილეს...  
 ბოლშევიკებად იწოდებიან...“

თავს დაესხით იმ გველის წიწილებს.  
 ხართ ვაუკაცები, ხართ მამაცები?  
 თქვენ გეუბნებით—გასწიეთ ჩქარა—  
 და მათი სისხლით ამივსეთ ჯიხვი,  
 და გამახარეთ მოხუცი მამა,  
 და წინაპრების აღიდეთ სისხლი.

## 5

ემუხვარები ახლა ლოთობენ,  
 სვანურ არაყში აღრჩობენ ბრლმას,  
 ხან რაინდული რიხით შტოთავენ,  
 ხან ძველი გვარის აქებენ მოდგმას.  
 აქვეა კიდევ რამოდენიმე  
 შავი აბრაგი სახელგანთქმული,  
 როცა რევკომებს მოიგონებენ—  
 კბილებს აღრჭენენ, ერევათ გულრ  
 და სხვათა შორის აქვე არიან.  
 მოპოლიტიკო ბანდების ხალხი,—  
 ზოგ მათგანს ახლაც გულზე აკრია  
 გიორგის ლერბი, შეკრული თალხით.  
 ემუხვარებს აქვთ თოფები კარგი,  
 ტყვიაწამალი გამოულევი.  
 უწინ, როდესაც ამ მხარისაკენ  
 თავის ბანდებით იყო ჯულელი—  
 თავალმა მას სუა პატივი რა კი,  
 მან დაუტოვა მეგობარ თავალს  
 ტყვიაწამალი და იარალი  
 წითელ ჭირისგან თავდასაცავად.

## 6

მხედარმა მოკლა ცხენი ჰენებით,  
 იგი არაფერსარ ეპუება,  
 მიქრის და მიქრის შეუჩერებლივ;  
 ვერ აქრთობს ლამის უდაბურება.  
 თვითონ უთუოდ სვანია იგი  
 და ცხენიც სვანურ ჯიშის ყოლრა,  
 მაგრამ ამ ლამით ასე სად მიქრის,  
 ნუთუ აქ დოლის ველი ჰერნია.  
 ვინ იცის, ისიც ბანდიტი იყოს,  
 ჩასაფრებული შეხვერპლს თუ უცდიდა,—  
 ალბად ნადავლი ბევრი აილო,  
 ემუხვარებთან დააგვიანდა...

ახლა ქეითზე თუ მიიჩქარის...  
 მაგრამ ეს რა? უკვე ჩამოხტა,  
 აგერ ძირს გაწვა ჩვენი მხედარი,  
 ამას რას შვრება—მუცლით გახოხდა..  
 აჰა, აღმოხდა პირგაბადრული  
 ყვითელი მთვარე შავ ღრუბლებიდან,  
 ემუხვრის კოშკის მაღალ სართულში  
 სქდებიან არყით და ღრიალითა.  
 კარგად შეამჩნევს ამ მთვარის შუქზე  
 დაქვირვებული მახვილი თვალი,—  
 კოშკის კედელზე, ზემოსართულზე  
 მიბობლავს რიალაც ლანდისმაგვარი.  
 და სათოფურთან დიდხანს უძრავად  
 კიდია იგი და მერე უცემ—  
 ეშვება ქვევით... აჰა, ნამდვილად  
 ჩვენი მხედარი იყო ის ლანდი,  
 ჰე, გააქროლა უკან მან ცხენი,  
 ალბად რევკომში მიაქვს მას ძლვენი.

## 7

ისევ ღამეა, მიდამოს სძინავს,  
 და მაღალ მთებში დუმილი მეფობს.  
 მაგრამ ეს ნეტა ვინ არის, ვინა?  
 ჰა, ნაპერწელებიც, ტორების ეხოც.  
 ჩანს ალბად, იგი ჯენოსანია...  
 გადააყუდა თოფი გუშაგმა:  
 — ჰეი, შეჩერდი!  
 — ვინ ხარ, რა გინდა?..  
 — ხელები ზევით, ბიჯი არ ჭასდგა!  
 — თქვენი ვარ, „შუბი“...  
 — შენ, კუტალია,  
 სად იყავ ან რა მოგიტანია?..

## 8

— ახალი რაა? ემუხვარებთან  
 მთელი ბანდაა შეყრილი ახლა,  
 სვამენ. ღრიალი კოშკის თაღს ხეთქავს  
 და აგინებენ რევკომებს ერთხმად...  
 თუ არ მოვასწრებთ ალბად, უთუოდ —  
 ხვალ დაგვესხმიან ისინი თვითონ,  
 რიალაც ამგვარის შსგავსი ჩურჩული  
 მე გავიგონე სათოფურიდან... .

— ძალიან კარგი, ჩვენც აქ ვეგულვით!  
 ამ კომქავშირელს პატივი ეცით,—  
 წელზე დაკიდეთ პარაბელუში,  
 მკერდზე სავაზნე ბაფთა სამკეცი.  
 თითქო თენდება, ემუხვრის კოშეთან  
 ჭანდრის და ალვის სილუეტები—  
 აყუდებულნი ბინდუნდში ჩანან,  
 როგორც ვეება შავი სვეტები.  
 აქა-იქ ქარი კლდეთა მახლობლად  
 ბალას და ბუჩქებს ოდნავ შეარხევს,  
 აქა-იქ ლულის ელვარე ფრლადს  
 და რაზმელების ალყას შეამჩნევ.  
 უკვე საცაა დამფრთხალი ჩიტი  
 რიერაჟს შეუსტვენს, გაინავარდებს,  
 და შუქმფინარე ცა კოშკის იქით  
 მთებს გადააფრქვევს იქროს ვარაყებს.  
 ჰა, აგერ, ლოთურ სვანურ ყიჯინით,  
 ემუხვრის ეზოს გამოეფინენ,—  
 შეხურებულნი სულ უინულილებით,  
 სტუმრები რიერაჟს ეგებებიან,  
 ატეხილები ლოთური უინით  
 სვანურ კოშკს ქებას ეუბნებიან:  
 — ეთერის ზღვაში მნათობთ ვარდები  
 დანანაობდენ ვიდრე დიადი,  
 კოშკო, შენ იყავ სულ უდარდელი,  
 როგორც რაინდი ლალი, ზეიადი.  
 შენ არც ნაღვლობდი, არც გიხაროდა  
 დროთა მარადი მოსელა და წასელა,—  
 შენ დაბადება სულ არ გახსოვდა,  
 არც სასაფლაო გელოდა არსად.  
 მაგრამ ეს ბედი, სასტიკი ბედი,  
 მიდის, დროება შენც შეგეცვლება,  
 ჰე, კოშკო, კოშკო, ერთია ხვედრი:  
 შენი ვარსკვლავიც გარდაგეცვლება...  
 ა, კოშკო, სანამ ჩვენ რაინდულად,  
 მამაპაპურად წელდაშნიანი—  
 აქა ვართ, — იყავ მედგრად, დიდგულად,  
 და სანამ ოქროს კონდახიანი—  
 ჩვენ, რაინდები, განახლებული  
 აქა ვართ, — იყავ ზეიადი გულით!..

9

ანაზდეულად იჭექა, თოფმა,  
 შეიქნა სროლა, ტყვიის ხმაური  
 და რაინდული ქებანის მოთქმა  
 ჩაიღრჩო მთების აურზაურით.  
 სროლა და სროლა განუწყვეტილი,  
 მკაცრმა შედლუხმა ეზო დაცხრილა,  
 და რამდენიმე ბანდიტი, — ცხელი  
 ტყვიის ჩაცემამ მსწრაფლ გააცივა.  
 რა გონს მოვიდენ შეეინელლებულნი  
 ეკვეთენ საფრებს როგორც არწივნი.  
 მაუზრები და პარაბელუმი —  
 დასცალეს, მაინც ტყვიით გაცივდენ.  
 მხოლოდ ნამდევილი რაინდულ მუხლით  
 და ვაჟკაცობის „მთელი მარაგით“ —  
 გაიქცა ორი შვილი ემუხვრის  
 და რამდენიმე ძველი აბრაგი.  
 ხოლო მათ შორის განთქმულ ბანტიტმა  
 ჭანტურიამ; — ამ ბარძლმა და დიდხმამ,  
 სამი სოფელი გადაირბინა  
 და სულ კივილით დედა იგინა.  
 და ყველაფერი შეწყდა, დადუმდა,  
 აჩც სროლა ისმის, ალარც ყრუ კვნესა,  
 და ამ საზარელ მკვდარ ხორცის გუნდას  
 ხალხი ნახულობს ვით ცოცხალ მტერსა.  
 თვითეულს ახსოვს მათგან მრავალჯერ,  
 თუ ხალხს ისინი როგორ არბევდენ; —  
 შუბლშეჭმუხვნილნი და გაჯავრებით  
 აფურთხებენ და თვალს არიდებენ.

10

ჩამქვდარ თავადის სულმა წაიღო  
 უკვდავი დარდი, — გულის წუხილი...  
 პარტიზანებმა კოშკი აიღო,  
 და ვერ მოიკლა ავი წყურვილი.  
 ჩმათი წისხლით ბეხრევ თავადმა.  
 თვითონ თავადი ხორცის ცომივით,  
 ეზოში გდია და მისი დაშნა.  
 და იარაღი ოქროთ მოსილი  
 პატრონის სისხლში ბანაობს ახლა.  
 სისხლში გასვრია, გაწითლებია  
 ემუხვარს ვერცხლის წვერი, ულვაშა...

რაზმი იარაღს და ტყვიაწამალს—  
ექებს მის კოშკის ყრუ გალავანში,

11

ახალ დროების ჭექაქუხილი:  
მიპქრის მიაპობს მთებს და მიღამოს,  
ინგური მხეცურ გულის წუხილით,  
კლდეს ეჯახება და სიკვდილს ლამობს.  
აქაფებული კლდეებზე ხტება  
მირბის, ლრიალებს თავგანწირული,  
ხან უფსკრულებში ჩაიღუპება,  
ხან შკერდ ჩანჩქერად წამოწეული—  
ვარდება კლდიდან როგორც ვეება  
უზარმაზარი მასა რძისფერი,  
როგორც კომეტის შუქი თავნება  
და მძლავრი დაკვრით სქდება კლდის ფსკერი.  
ახალ დროების ჭექაქუხილი,  
მიქრის, მთებსა და მიღამოს აპობს,  
რომ ამოვარდეს გულის წუხილით,  
ინგური მოსწყდეს თავის კალაპოტს.  
და მოეფინოს მთას ქალაქები,  
ხოლო მდინარე, როგორც მნათობი,—  
მხეტავ-მრეცხავი, ვით მოქალაქე—  
მზარეული და ბინის გამთბობი,—  
გახდეს მსახური ახალ დროების.  
თავისუფალი ადამიანის...  
აპა, მიანგრევს მთის უდაბნოებს  
რაზმელთ შედლუხი მაღალხმიანი.

12

ტყეში გავარდნილთ უთქვამთ ემუხვრებს:  
„კომუნარებმა მოგვიკლეს მამა,  
თორემ დროება როდი თხრის მუხებს,  
ძირს არ დასცემდა ჭალარა თავადს.  
სისხლი ავილოთ ჩვენი ვალია,  
ხე, ქვა და ხალხი ნათესავია,  
მართალი უთქვამს დარვინს ძალიან  
(უნივერსტეტში მათ უსწავლიათ)  
და მარქსიზმივით, თუმც ის მწარეა,—  
მაინც ნაწილი იქ მართალია,  
როცა პირველად იყო უჯრედი—  
მცენარეულიც და ცხოველები

ნათესავია. მაგრამ აქ ლერთიც,  
ჩოგორც მითები და ნოველები  
სულ უკვდავია. და არა ერთი  
სისხლის ალება ჩვენ გვევალება,  
მათ მართებთ სისხლი ჩვენი მამისა,  
მათ მართებთ სისხლი კლდისა და ქვისა,  
მთელი ბუნების, ხევების, ტყისა,  
ინგურისა და სვანეთის მთისა.  
ძველი მუხები ვართ ემუხვრები,  
ჩვენი საფარი ტყის ნაძვებია,  
ჩვენი ძმებია ტყეში მუხები,  
დიდი ფიჭვები ჩვენი ძმებია.  
ტყეში ნამდვილი მინისტრები ვართ,  
სჯობს ყაჩალობა ყველა სიახლეს,—  
კომუნარების მინისტრიან,  
მინისკედლიან სრასსახლეებს.  
სისხლი ავილოთ ჩვენ ძველებურავ,  
ამიერიდან შტერია ჩვენი—  
ყველა ჩეკისტი და კომუნარი,  
ყველა მეჯოგე; ყველა ტყის მჭრელი.

## 13.

სულ მალლა, მალლა არის საჯვარის  
კლდეები ცამდე აქანებული,  
ათასწლოვანი კლდეზე ნაძვნარი  
არის ღრუბლებზე თავგადებული.  
რა მშვენიერი სანახავია  
ტოტებგაშლილი ვეება ნაძვი,  
ცოცხალ ქოხების მსგავსი არიან  
გაღმოხურული ტოტების ქაცვით.  
რა მშვენიერი სანახავია—  
ეგ ზამთარ-ზაფხულ მწვანე ნაძვნარი;  
ველარ მიატანს ქარი და წვიმა,  
ვინც შეაფარა მის ძირში თავი.  
რა საუცხოვო სურნელებაა  
ნაძვნარის სუნი, ნაძვნარი, წყნარი,  
ჩიტების სტვენით მიღამო ტებება,  
ნაზად იოხევა მწვანე ნაძვნარი.  
თუმც ვგ ბუნება და იღილია  
შშვენიერი და საუცხოვო;  
ჩახლა რეგკომის სინამდვილეა,—  
ინგურზე სახერხ ქარხნის მოწყობა.

დღეგამულმებით ნაჯახებს ლესენ;  
 და ნაფოტები ცვივა ამსკდარი,  
 დღეგამულმებით ციცაბო კლდეზე  
 წამოქცეული შფოთავს ნაძერარი.  
 — მოსკერ, დახერხე და ჩაუზიდე  
 აღმშენებლობას ფიცარი ბევრი!  
 კლდის ძირში ქვევით ჩადის ყოველდღე  
 დაცურებული ნაძვის მორები.  
 რომ მშენებლობით ძველი ქვეყანა  
 ინდუსტრიალურ ცეცხლით გადიწვას,  
 ჩვენ გასაოცარ ქალაქებს დავდგამთ,  
 გადავაკეთებთ ძველ ლედამიწას.  
 დღეგამულმებით შრომა გუგუნებს,  
 აღმშენებლობის ჩნდება ხანძარი,  
 დღეგამულმებით ხერხები ბრუნავს,  
 ფიცრებად მიდის მთიდან ნაძვნარი.

## 14

ემუშვარები თავისი ბანდით  
 დასხმიან დაბის კონპერატივს,  
 გაძარცვის შემდეგ იქ დარაბაზე  
 დაუწერია ცარცით ერთ „არწივს“;  
 — ისე დავჭრივარ როგორც „რწივი—  
 რად მინდა დახლი (არ ვარ ურია),  
 ჩემი დუქანი რად შინდა აწი...  
 მე ვარ ცნობილი... ვარ ჭანტურია.  
 თი, მე თქვენი... თუ ვარ ნეპმანი  
 ტყევიებს არ გავსვრი მე თქვენი სისხლით,  
 მე თქვენ სისხლს დავლევ—ვფიცავ ლმერთმანი,  
 გზაზე არ შემხვდეთ, თვარა მე ვიცი...  
 იცრდეთ მე ხალხს უბრალოდ აქ ვკლავ  
 და უბრალო ხალხს არაფერს ვართმევ,—  
 კონპერატივებს და ფოსტებს ვძარცვავ,  
 კომუნისტებს და ჩეკისტებს დავსდევ,  
 მე, ჭანტურია, ვარ უშიშარი,  
 ჩეკისტის ტყვია ვერ ხერეტს ჩემს წვივებს,—  
 ამ და ამ ტყეში, ამ და ამ ხის ქვეშ...  
 ხვალლამ ვიქნები, თუ გსური მეწვიეთ!

## 15.

გლეხებმა ნახეს მთალად გაძ. რცული:  
 თავისი დაბის კონპერატივი,—

ბევრმა ტასწყევლა მწარედ მძარცველნი,  
მაგრამ გამოჩნდა აგერ აქტივი—  
კომპავშირელი და ხალხს მიმართა:  
— ჩენი, ყველასი, საერთო იყო  
კოოპერატივის სულ ყველაფერი!  
ყაჩალებშა კი იგი წაიღეს  
და აქ დატოვეს. მხოლოდ ნაწერი,  
რომ უბრალო ხალხს არას ართმევენ!..  
ყუთები იყო გაუხსნელი ჯერ  
და გაუჭრელი. იყო ფართალი,—  
ყაჩალები შორს ვერ წაიღებდენ,  
ალბად აქ ტყეში სადმე დაფარენ,  
შევიდეთ ტყეში, ვეძიოთ ერთად!..  
ზოგი ნაჯახით და ზოგიც ბარით,  
შეიარალდა ქალი და კაცი—  
და მთელი დაბა ბუკით, ნალარით—  
ტყეში შეიჭრა ყვირილით მკაცრით.  
ასე დასდევენ მონატირენი  
მგელს და აგლებენ დათვს ბუნაგიდან...  
მაგრამ აგერ, ეს კომპავშირელი—  
ბუჩქების შორის ყუთებს მიადგა.  
უცბად შეძყვირა, მაგრამ სასწრაფოდ  
შესცვალა აზრი და ხმაც სხვაგვარად:  
— მესამე ტყეში, არიქა, ხალხო,  
კვალი უნახავთ, გასწიეთ ჩეარა!

## 16

თითზე იქბინა კოკუტარიამ  
და რაზმს გასძახა:

— ემზადეთ, წავალთ!..  
— აბა, შემოდი აქ, კუტალია,  
ახალი რა? გვითხარი ჩეარა!  
— კოოპერატივი გაუძარ...  
— ვიცით!  
→ წერილი...  
— ვიცით, სხვა რაღა არი?  
— ტყეში ყუთები არის, ისინი  
ამაღამ მოვლენ და კიდევ აი...  
— ჰო, ეს კარგია, მოკლედ მოსჭერი!  
— სასადილოში ვიჯექ საღილად,  
ფოსტის გამყოლიც იყო იქავე,

ქალმა არაყზე მიგვიპატიუა  
(შევთმახუჭუჭა, თვალები შავი).  
დღეგრძელ საუბრის შემდეგ იმ ქალმა  
ვაზნები გვთხოვა (რისთვის უნდოდა?)  
მაგრამ გამყოლმა დაიყრანტალა:  
„— საჯვარეს მივალ, დღეს ნუ მთხოვ, დობამ!..“  
— ჰო, კარგად მოჩანს, შენ კუტალია,  
ნილაბოსანთან ნილაბით მიდი,  
კომქავშირულად, ფრთხილად ძალიან,  
ვაზნები მიეც,.. გადევი ხიდი,  
მაგრამ ხიდზე კი ფეხი არ შესდგა  
და მოამზადე ასაფეოქებლად.  
ეს შემდეგისთვის. ახლა კი სწრაფად—  
საჯვარის გზაზე წინდაწინ წახვალ,  
ჩვენ კი ყუთებთან გავუტევთ ახლავ,  
ორგან დავაგოთ უნდა ხაფანგი  
და გამარჯვებაც ხვალ ვნახოთ კარგი:

17

საჯვარისაკენ ბილიკი კლდეზე—  
გველივით ვიწრო და დაკლაკნილი,  
ძველი თოყივით უღრან ფლატებზე  
ფეხის დალებით არის ჯლაბნილი.  
ცალმხრივ, სულ ქვევით, შავლეგ უუსკრულში,  
ინგური სასტიკ ლმუილით ბორგავს,  
ცალმხრივ კლდეები ცამდე მისული—  
ყინულით ნალეს კედელს ჩამოგაას.  
ზოგან და ზოგან კლდეზე პირდაპირ  
საფეხურები გამოჭრილია,  
ზოგან და ზოგან დანის პირებად  
კლდის ნაპრალები ამოჩრილია.  
ბილიკი მაინც საჯვარისაკენ  
ზევით მიხოხავს როგორც ქვის ჭია,  
სადაც სახერხი მასალისათვის  
ურიცხვი ხელით ნაძენარებს სჭრიან.  
არა ერთგზობას აქეთ ყაჩალებს  
გაუტაციათ ხისმჭრებულთ ხელფასი,  
არა ერთგზობას მათ გააჩალეს  
სროლა და მგზავრი ჩაჩეხს ხრამში.  
ახლა კი არის ჩასაფრებული  
სულ მცირე რაზმით აქ კუტალია,  
იცდის. თოფები მომარჯვებული—  
ბანდიტებისთვის მზად არის ტყვია.

სალამო არის უზადო, სუფთა,  
 შორს მეწამულად ცა იღებება,  
 უფსკრულში ისმის მეხური სუნთქვა,  
 ინგურს მრისხანედ კლდე ეომება.  
 დახარბებული ოჩებები კნავა  
 და უფსკრულში ლეშს იკორტნებრან.  
 დასავლეთის ცის ბუნდოვან კანვას.  
 სამკვდრო ბრძოლები ეხატებიან...  
 აი, ამოჭრილ საფეხურებთან  
 ბანდის მოთავემ შემოდგა ფეხი,  
 წამოიმართენ სილუტებათ—  
 სამნი არიან... ვაჰმე, ვით მეხი  
 გავარდა თოფი... კვლავ სროლის აღი  
 კლდეზე სისტიკი კბილით დახტომა..  
 და ყველაფერი გათავდა მალე,  
 გვამები ხრამმა გულს ჩაიკონა.  
 ცოტა ხნის შემდეგ ფოსტის გამყოლმა  
 გამოიარა სიმღერით, სტენით...  
 „— ვიღაც მოუკლავს ყაჩალებს მგონი!..  
 თოფზე, კეფაზე მოისვა ხელი  
 და აჩქარებით ვაუყვა ზევით—  
 შეშინებული გულის ფანკეალით,  
 უკანკალებდა ცალ წარბის ნერვი,  
 პირზე ეყარა ფერი ნაცარის.

## 18.

ხმა დაირჩა და დაბაში ექრა  
 ენაზე ყველა მეტყველს ამბავი:  
 ტყეში უნახავს ყუთები ჩეკას  
 და იქ მოუკლავთ ორი აბრაგი  
 მათ შორის ერთი ემუხვარის ძმა;  
 ხოლო მეორე ვერავინ იცნო.  
 მერე ამბებმა, როგორც მიწის ძვრამ,  
 ნაპრალებივით სკდომა დაიწყო.  
 ხან აქ და ხან იქ, ვისაც მოასწრეს,  
 ყელს ლადრავდენ და გარბოდენ ფრთხილად,  
 გახელებული ბანდები წამსვე—  
 გამალებული იცვლიდენ ბინას.  
 და ყრუ სოფლებში სახლებს უწვავდენ  
 კომუნისტებს და კომკავშირელებს,

ქალს ნამუსს ხდიდენ, ბაჟშებს კუწავდენ,  
ჩეკას—მუქარით წერდენ წერილებს.

19

აღმშენებლობა მაინც არ დგება,  
მიქრის და მიქრის წინ გაქანებით;  
დრომ მოაწერა ხელი ბრძანებას:  
— უნდა გარდავქმნა მთელი სვანეთი!  
უნდა ვისროლო კალაპოტიდან  
გიუური ლტოლვა მთის მდინარეთა,  
უნდა გადავლრნა კლდეთა ტინობი  
და მანქანების ბაზისი შევქმნა.  
გეოლოგიურ გამოძიებით  
მაღნეულობა აღმოვაჩინო,  
მეცნიერული ცეცხლით ძლიერით.—  
ხალხი ადათებს გადავაჩვიო.  
და გავაშენო არ გაგონილი  
კომუნისტური მთის ქალაქები,  
ირგვლივ ჭუშებით ამოქოლილი.  
დარბაზები და სასახლეები.  
მაღალ მთებს შორის, სადაც ნაძვნარი  
მეურნალობისთვის მოსაწონია,—  
უნდა ავაგო ნაირნაირი  
კურორტები და სანატორია.  
და თვით უმაღლეს თოვლყინულოვან  
მწვერვალთა თავზე, სადაც გრაგალი  
დათარეშობდა ათასწლოვანი.  
ვარდის — იისფერ თოვლის ხოშრებით,  
მე დავამშვენო უნდა მწვერვალნი  
ობსერვატორულ შუშის კოშკებით,  
აქ მოისმენენ ეთერის ძალით  
მთელ დედამიწის უველა კუთხიდან,  
უველა ერების და უველა ხალხის,  
ძმურ ნათესაურ ხმას და მუსიკას.  
და ამლერდება თვით დიდებული  
საკაცობრიო მთლიან ენაზე,—  
ბრძოლით და შრომით გამდიდრებული,  
თავისუფლების მძლე სილამაზე!

20

შხოლოდ მშვიდ მშრომელ მოსახლეობას  
უხტება როგორც მშიერი მგლები,—

და აბრაგები ძარცვა-მკვლელობას  
ხელს არ უშვებენ თავისი ნებით.  
მრავალჯერ რაზმა შეუკრა ალყა  
და დააყარა მრავალი ტყვია;  
მაგრამ არ იქნა, ვერ ჩააძალლა  
ის ემუხვარი და ჭანტურია:  
ბევრჯერ ნაბაღით დაგორდენ ხრამში,  
ზეწრით და კაბით ბევრჯერ გაიქცენ;  
იმალებოდენ მალიმალ მთაში  
და მთლად სისხლისმსმელ მგლებად გადიქცენ.  
მათი სახელი ისე გავარდა—  
მით აშინებდენ ბავშვებს დედები,  
ურთერთს წყევლიდენ მათთან შეხვედრით  
წიჩეუბებული დედაბერები.  
მერე დღე დადგა და ემუხვარი  
ტყვიით დაჭრიოლი გათოკეს მაგრად,  
ჭანტურიას კი ცამ უყო პირი,  
თუ დედამიწამ—მთლად დაიკარგა.

## 21

მაგრამ ჩეკისტის თვალების ცეცხლი  
კონსპირაციის აზბესტსაც აღნობს,  
და კომკავშირელს მხურვალე ფიცით  
ფრიად იდუმლად ქალმა გაანდო,—  
რომ ჭანტურია, სტუმართმოყვარე  
შწყემსებთან მთაში თავს აფარებდა,  
რა ტყვია-ჭამალს იშოვის მალე  
თავისებურად დაჭროლებს მედგრად.

## 22

რა ლამაზია ეგ არემარე—  
შუა ზაფხულში, სულ ზევით მთებში,  
ნაძვნარზე თოვლი არის მდებარე—  
და ყინულები არ ღნება ხევში.  
ნაკადულები რძისფრად ჩხრიალებს,  
მწყემსი ნადირობს ჯიხვებზე ხშირად.  
ნაძვს ქვეშ, ორმოში, სულ ეგულება—  
ჯიხვის ხორცი, და თხის სულგუნები.  
შემოსილია მთის ფერდობები  
ალპიურ ჯიშის მაგარ ბალახით  
და დედამიწას ედება თხები  
დამფრთხალი ბელა ხტუნაობს ყალყით.

ამ მიღამოში შეხვდენ ერთმანეთს  
 ჭანტურია და კომკავშირელი,  
 გადაუარა აბრაგის სახეს  
 სასტიკი ბრაზით სიკვდილის ფერი.  
 აბრაგს უჭირავს ხელთ მაუზერი,  
 ზევიდან ლმუის როგორც ველური,  
 ინგურის მსგავსად კომკავშირელი—  
 ქვევიდან უბლვერს პარაბელუმით.  
 რა მოსწრებული დრო არის ახლა,  
 წამში სიკვდილით ილმუვლებს ტყვია;  
 ჰეი, ჩეკისტო, გამოჰქარ, ჩახმახს,  
 სანამდი აბრაგს არ მოუსწრია!  
 მაგრამ აბრაგი რამ შეატოკა,  
 ნუ ოუ მის ნაბადს ტყვიები ვერ ხვრეტს,—  
 ნუ ოუ ის ცდილობს ბრერი გათოკოს,  
 მის პარაბელუმს არ უხრის ის ქედს?  
 ჰეი, ჩეკისტო, დროს ნულარ კარგავ,  
 ბანდიტს ესროლე უნდობლად ტყვია!  
 მაგრამ რა ხდება, ნუთუ ამაბრაგს  
 ჰიპნოზი მოსავს, ჯადო არტყია!  
 აპა, იელვა ძერუინსკის ლანდმა,  
 რომელმაც ერთხელ უიარალომ—  
 შესძახა პაპოვს—მჩისხანე ბანდიტს:  
 „— შენ ლაჩარი ხარ, მოდი აქ ახლო,  
 გალმომეც ახლავ ეგ იარალი,  
 რომ გაგიხვრიტო მე შუბლის თალი!“  
 კომკავშირელმაც შესძახა აბრაგს:  
 „— რალას აპირებ ახლა, „არწივო“:  
 კვლავ შენებურად შემოჰქარ ფრთაფრთას,  
 თუ ვერ გაგეხრიტო შენი საწვივე.  
 დადე, ლაჩარო, ძირს იარალი,  
 ბავშვი გგონივარ თუ დედაბერი?  
 მელუქნე იყავ, გახდი აბრაგი,  
 წუწკი, მურდალი და საძაგელი...  
 დადე, ქოფაკო, ძირს იარალი,  
 ჰა, ცოფიანო, ქმარა. ჩაძალლდი!..“  
 აბრაგი ამბობს:— „რა გინდათ ჩემგან,  
 ჩემი მტერია მგელი და კაცი,  
 მე ვეფარები ხესა და კლდესა,  
 სიცოცხლე მინდა, რატომ არ მაცლით.  
 გავარღნილია ჩემი სახელი,  
 ამ მინდა მოვკედე ასე უბრალოდ,

ტყვია არა მაქვს ეგ საძაგელი,  
 თორემ მოგკლავდი მე შენ უწყალოდ.  
 ადათს არ მისდევ უიარალოს—  
 გხედავ, ულმერთოვ, არ შემიცოდებ,  
 წითელო, მთებმა სისხლი აიღონ,  
 მითხარი გვარი, მაინც ვიცოდე!“  
 — ჩენი გვარია კომქავშირელი,  
 ჩემი გამზრდელი კომქავშირია,  
 არა ვარ ერთი, არ ვარ პირველი—  
 ჩვენი საერთო გმირი ხშირია.  
 მთებს ნუ უბარებ სისხლის ალებას,  
 მას არც სჭირია, არც გაგიგონებს,—  
 რევოლუციის რკინის ბრძანება  
 თვითონ განაგებს ბუნების ლონეს.  
 ადათს არ ვიცავ და ნუ გვონია,  
 მომერეოდი, ლაჩარო, ტყვიით.—  
 ჩამოეთრიყ მაგ ბექობიდან  
 და ხელჩართული ლონე თვით იტყვის!

## 23

წამი, ნახტომი... შეტორტმანება...  
 და შავ უფსკრულის უძირო ნაპრალს—  
 ჩაეშვა ორი... მათი გვამები...  
 პირდალებულმა კლდეებმა ჩანთქა:  
 პარაბელუმის მაუზრის გმინებას,  
 არც ერთი აღარ დაუტირია.  
 ერთს საზიზლართა წიგნში აქვს ბინა,  
 მეორის ძეგლი კომქავშირია.

## უცნაური მთერი

ა.

— ეს იყო იმიერ-კასპიის მხარეს... — განაგრძო მხედარმა, რა მგზავრები არ ძოეშვენ:

— გთხოვთ.

— განაგრძეთ.

— ა!?

მხედარი კინო-ლენტისავით ავლებდა ეპიზოდებს სამოქალაქო ომის ეკრანზე... ხომალდი ალმასი შუბლით მიაპობდა გურგანის ზღვას, ნავთის ქალაქიდან. ლუზა რომ აუშვა კრასნიდარსკის მიმართ.

ქარი გააფთრებით ხევდა დროშას ანძაზე, მაგრამ ხალხი მაინც არ სტოვებდა ბაქანს მხედრის საუბარში...

მზე სადღაც წორს, ზღვის ჰორიზონტზე დაეშვა, თითქოს ცეცხლის ბურთი ჩავარდათ აუზში, რა ოქტომბრის თვის სალამო აიფაფრა...

— მერე?

— მერე, და..., იმ რაზმში, რომელიც გაიგზავნა თეთრების წინააღმდეგ და რომელსაც მეთაურობდა ძეველი ბოლშევიკი მუშა, ამს. ლიაძე, მეც ვიყავი; ეს ყყო თურქესტანში, გააფთრებულ სამოქალაქო ომის დროს, თეთრები შიდა გუბერნიებიდან რომ ვიფრინეთ და განაპირა შხარეებს შეაფარეს თვი.

ჩვენი რაზმი ჩვეულ გამარჯვებით მიიწევდა წინ, მიუხედავად იმისა, რომ მტერი მრავალრიცხვანიც იყო, კარგად გაწვრთნილი, უკეთ შეიარაღებული, ჩაცმული და მაძლარი, გამოცდილი სარდლებით, ინგლისელთა დახმარებით ინდოეთიდან...

ჩვენ ნაკლი ბევრი გვექნდა, მარა გვექნდა ისეთი უპირატესობა, რაიც მოწინააღმდეგებს აკლდა; ეს იყო ჩტენა გამარჯვებაში, იდეა, და ჩვენ გამარჯვებას-გამარჯვებაზე ვკეცლით...

ჩვენს მხარეზე იყო ამ მხრის მშრომელთა გული, შველა, და ამ ალფრით ვანებით არ ვიცოდით უკან დახევა...

ისინი ადგენდენ თეთრების ზურგში მოთარეშე პარტიზან რაზმებს და რა შეგვაჩერებდა?!

ბ.

— საშინელი პაპანაქება სიცხე იდგა...

გადატრუსულ, თვალუწვდენ ქვიშიან მიღამოებს ნატისუსალი ასდიოდა... ბუჩქნარი, ბალახიანი არე იშვიათად გვხვდებოდა...

იყო აქა-იქ იურტები, კარვები და მცხოვრები სართები ხანდახან- საღმე-  
გზად შემხვედრი ზლაზგნით მდენ დალლილ აქლემთა ქარავანებით, ოაზისის ძებ-  
ნად კისერი რომ გაუწვდიათ...

მივდივართ...

ხშირად ტიტველნი, ფეხშიშველნი, შიმშილით და ავადმყოფობით შეწუ-  
ხებულნი, მაინც თამამად ვლახავთ დაბრკოლებებს, მარა უწყლოობის თანამ-  
გზავრობა გვიჭირებს საქმეს.

მიუხედავად ამისა, არც ერთ წითელ ჯარისკაცს შუბლი არ შეუჭმუხვნია,  
თუ არ მივაღებთ მხედველობაში მათს უკმაყოფილებას მტერთან შებმის დაგვი-  
ანებით...

— ო, სად არიან?

— დაგვიდგენ წინ, თუ ბიჭები არიან!

— ჰო, კარგი, ნუ ხარ ტრაპახა, ალიოშა!

— ვინა? მექი! ჰმ!

სიცილია...

— ალბად მალე!

— ა?!?

და თითქოს საზეიმოდ მიდიანო, გაისმის ხუმრობა სიცილში, ხშირად სიმ-  
ლერაში რომ გადადის.

— განია, ეს შენი გარმოშეა არ უნდა მოიშორო? მე ეს თოჯი და ჩან-  
თაც ძლივს დამაქვს, და... შენ?!— ეხუმრება ნამატროსალი ალიოშა ასტრახანელ  
შებაღურს, რომელიც უკვე მესამე წელია ჩვენს რაზმშია, და დასვენების დროს  
ხომ ისაა თავისი გარმონით გაშროთობი.

— ჰო, არ ვიცი, შესვენების დროს ტლინკვა რომ მოგინდება ხოლმე; რაზე  
დაიწყებ, თუ არ დავუკარი ამაზე?

— ამხანაგებო! ფრთხილად! — ისმის უფროსის ხმა და რაზმი ფლატეს ამო-  
ფარებით გაუყენა...

— რაა?

— რა, და... შეუმჩნევლად... თვალი არ მოგვრან...

— ოჳ, საღაა ერთი ყლუპი წყალი!

— გამოილია?

— ჰმ!..

ახლაც ისეთ ადგილზე მოვხვდით, რომ ახლო არსაღაა წყალი და ოთხა-  
ამდე სახედარი მცხოვრებლებმა რომ გვათხოვეს წყლიან გუდუბით, უკვე დაც-  
ლნლი მოგვყებან ცოტა-ლაა მარაგი.

— სელიმ, არსაღაა აქ წყალი? — ვეკითხები ახალგაზრდა პარტიზან ხართს,  
რომელიც სართების პარტიზანთა უფროსმა გამოგვაყოლა მეგზურად, და რომ-  
ლის უცოდინარიც აქ არა იყო-რა.

— არსად... მარა, თუ ცოტაოდენ ხანს მოიცდით, ა? გავაჩენ!.. — ამ სიტ-  
კებით ის იყო ვირებისთვის უნდა დაევლო თავს, მარა რაზმის უფროსმა შეა-  
ჩერა:

— არა, დაგვიანდება... და, დაგვიანება კი ჩვენს განადგურებას თუ არა, დროებით დამარცხებას მაინც უდრის; ბრძოლაში სისწრაფეა საჭირო და დროს დაუკარგველობა. ვასაც წყალი უნდა, ის თეთრების ხელშია. ერთი ჩვენებური დარტყმა და, არამც თუ წყალი, არამედ...

აღარ დაუთავებია უფროსს; ის მარდად და მტკიცედ მიამიჯებს წინ, რწმენით სავსე გამომტკიცელებით...

ამაღამ უნდა შევებათ მტერს, რომელიც დაბანაკებულია ისეთ ადგრლას, რომელიც ამ მხარეში თაზისად, წალკოტად ითვლება...

იქ იყო ერთად-ერთი მღინარე, ბალები, ამწვანებული ტყე, მინდორი, ქედი, რომლებიც თავის რკალში მოუჭევევია თეთრგვარტიელთა ჯარს...

წითელმა ჯარმა უნდა აიღოს ის ადგილი, რაიც დიდ მსხვერპლს მოითხოვს, მარა მაინც უნდა აიღოს; არაა ისეთი სიმზგრე, წითლებმა რომ არ აიღონ, და ესეც უნდა აიღონ. ეს ადგილია უკანასკნელი საყრდენი მტრის, ამ ადგილის აღება მისი საბოლოო გახადგურებაა ამ მხარეში...

და, ვინ იქნებოდა ამაში მთავარი როლის შემსრულებელი, თუ არა ჩვენი, მრავალჯერ ამაზე უარეს პირობებში გამარჯვებული რაზმი?!

მცირე ძალა სხვა მხრით მიდის შეტევად, შუბლზე, რათა მტრის ყურადღება თავისენ მიაჯაჭვოს; ჩვენ კი, ჩვენ... მერე გაიგებთ საიდან ვუტევთ...

წაართვი მოწინააღმდეგეს ეს თაზისი და მოისვენებ... ამ მხარეს მოუტან შევებას, სიხარულს...

და, უშიშარ ლიაძეს მიჰყავს ერთგული რაზმი...

### 8.

— მტერს, როგორც გითხარით, საუკეთესო ადგილი ეჭირა, როგორც ბუნებრივ სილამაზით, სიუხვით, ისე სიმაგრითაც...

უველა უპირატესობანი მის მხარეზე იყო.

ისეთ მაღლობზეა გამაგრებული, რომელსაც მხოლოდ ერთის მხრით სჭირია დაცვა; და მასაც მხოლოდ აქ დაუგროვებია ძალა.

აქედან გველის ის.

მეორე მხარე ისეთი მიუვალია, რომ მართლაც არ საჭიროებდა დაცვას, მარა გამოცდილ სამხედრო პირთ არ უნდა გამოჰქმარეოდათ ეს; უსათუოდ შეცდომა იყო, ან, შეიძლება, უფრო სითამამით მოუვიზათ, ალბად არაფრად ჩაგვაგდეს, იქიდან არ გველოდენ; იქ მისვლამდე კარგა მოზრდილი უწყლო უდაბნო უნდა გავეველო და, თუ დავძლევედით, ვერ მოისაზრება...

ასე თუ ისე, ეს მხარე ბედისანაბარა იყო მიტოვებული; ეს ჩვენ შევიტყეთ...

ისეთი იყო ჩვენი ძიების ცნობა...

აქეთ წაგვიყვანა უფროსმა.

სელიძა გვერდზე მისდევს.

ჩვენთვის უცნობი აქაურობა, სულიშასათვის არაა ძნელი გაძუშვლევი,

განდევნე მტერი იმ ადგილიდან და მერე იწყება საუცხოო მოსაფლიანი ადგილები, სადაც ბამბა პირველ რიგზეა:...

მათი ბანაკი კარგა შორი მანძილის შემოვლას ითხოვდა, და ჩვენ ისე უნდა გვევლო, რომ დაბინდებამდე მიგველწია, ამის გამო, ჩვენი რაზმია რათა გზა მოკლედ მოვგვიწრა, სხვა მხრით წავიდა...

— არ გაბედოთ ამ წყლის დალევა! — გაგვაფრთხილა უკუროსმა, რა სათუა ბებს წავაწყდით ალაგ-ალაგ ჭაობებით და ზოგმა დააპირა ყელის გასველება. თუმცა ძალზე დაქანცულები ვიყავით, მაგრამ მაინც დაყოვენება არ შეიძლებოდა. მტკიცე ნაბიჯი, აღფრთვანება, გაურკვევი მომავალი დარტყმა და, ერთბაშად ავანგარდი შეჩერდა, შევჩერდით ჩვენც...

— რა?

— ა?!?

პასუხი არაა ამ ჩუმ შეკითხვით გაკვირვებებზე.

გვეგონა: ჩასაფრებულ მტერს წავაწყდით და ბრძანებას ვუცდიდით უფრო-სისაგან, მაგრამ ის, ჩვეულებრივის სიღინჯით ათვალიერებდა არეს, რა ასწია ხელი ჩვენს შესაჩერებლად და ჭოგრით იწყო ყურება.

მიუწედავად იმისა, რომ წინ გაგზავნილ და იწ უკვე დაბრუნებულ მძრებ-ლებისაგან ვიცოდით გზის თავისუფლობა, მაინც ვფრთხილობდით... ასეთია სამხედრო მოთხოვნა, და...

ასეა თუ ისე, მტერი მაინც შეგვეჩეა...

— მტერი? — იყო შეკითხვა.

— დიალ, მაინც მტერი, რადგან, ალბად, ნახევარი საათით მაინც შეაჩერა ჩვენი წინსვლა...

შეჩერდა მხედარი, რა ლიმილი მოსწყდა.

მგზავრთა სმენა დაიძაგრა...

— დიალ, წავაწყდით მტერს და ისეთ უცნაურ მტერს, რომელზედაც ბოლოს ბევრი ვიცინეთ, და რა თქვენც გაიგებთ, ალბად მოგწყდებათ პირზე ლიმილი...

— მაინც?

— გეტყვით... რადგანაც მტერს ჩუმად უნდა მიეპარეოდით, მისთვის მოულოდნელ მხრით, ნაბრძანები გვექნდა უფროსისაგან, ვიდრე მათ არ შევეჩებებოდით, მისი ბრძანების გარეშე თოფი არ გვესროლა და, ახლა რაზმი ხიშტებით ებრძოდა ასეთს არაჩვეულებრივ მტერს და უამრავ მტერს, რომელსაც დედამიწის ფერიდან მხოლოდ იმით გაარჩევდი, რომ იძროდა...

— სელიმ?! — ლიმილით გადახედა უფროსმა მეგზურ სართს, თითქოს კითა ხვით.

— ეს ვერნები, თავისდღეში არა ყოფილან ამდენი აქ, და საიდან გაჩნდენ! — თითქოს შეჩრცევით და ბოლიშით წარმოსთქვა სართმა, თითქოს თავის-თავს აბრალებდა ამ დროებით შეჩერებას, რადგან მეგზური იყო და ყველაფერი უნდა სცოდნოდა; ასე სწამდა მას; თან ჩვენი დაეჭვების ეშინოდა, მარა, მის გულწრფელობაში ეჭვი არავის შეგვსელია; მართლაც ისეთ მტერს წავაწყდით, რომელმაც ერთ ადგილას არ იცის დგომა, მოძრავია, ადგილს იცვლის, და... თქვენ ალბად დაგაინტერესათ ამ მტერმა არა?

— რასაკვირველია.

იყო დათანხმება აქეთ-იქიდან და ლოდინი გაგების...

დ.

— ისტორიიდან ვიცით, რომ...— განაგრძო მხედარმა—ქველად, თუ ლე-  
გენდა არა ეს, რომაელთა მხედართმთავარი პომპეუსი პონტის ზღვას რომ გად-  
მოვიდა, საქართველოშე გავლით აზიაში შესასევად, დაჰყვა თურმე მტკვრის  
ხეობას, და თითქოს თქვა, აქაურ მაღალი მთებით და ბუნებრივ სილამაზით  
დატყვევებულმა:

— „თითქოს განვებ აზიდულან, ღმერთების მიერ, ეს ტიტანი მთები, რათა  
თავის წიაღში დაიფაროს ეს ლამაზი და კეთილშობილი ხალხი“—ო... თურმე  
ხელი არ ახლო და განაგრძო გზა, გადავიდა კახეთის სანახავებში, ალბად ში-  
რაქში, და აქ კი ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი მის წინსვლის, უამრავ გვე-  
ლების ხროვას წააწყდა, რომელნიც მის ტიტველკანწიან ლეგიონერებს სამა-  
ჯურებად შემოეხვინ და, ამიტომ ყველგან გამარჯვებული რომაელები უკან  
გააბრუნეს, თუმცა უმახვილო იყვნენ, მაგრამ საზარელ სისინდო, ორთითა ენის  
წინ გამოგდებით, ბევრ ლეგიონერს აღარ დააცალეს. გამარჯვების დაფნა, გა-  
გუდეს...

ამ ოხუნჯობაზე გემზე სიცილი ატყდა...

— ასეთივე აბბავი მესოპოტამიაში და სპარსეთშიც ხომ მოხდა...—ჩაე-  
რია მოხუცი ბოკმანი, რა ჩიბუქს მოუკიდა და მოაჯირს მიეყრდნო.

— სად?—ეკითხება ქალი:

— მდინარე დიალას მიდამოებში, მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსე-  
თის შორს შეჭრილი ჯარი მიღიოდა ბალდადისაკენ, ინგლისელ ლაშქართან  
შესართებლად, ისმალთა წინააღმდეგ, და დიალას სინაპიროზე წააწყდა უამ-  
რავ გველების ქარავანს, შვიდი ვერსის გაჭიმებით რომ შოედინებოდა, და ჯარი:  
მოუხდა გზის აქცევა... ბოლოს აღგილობრივ მცხოვრებ ქურთების დაკითხვი-  
დან გამოირჩეა, რომ ის უამრავი გველები ყოველ შუადღეზე საიდგანლაც მო-  
დიან ხოლმე, თურმე, წყლის დასალევად დიალაზე...

— დიალ, სწორეა... იქ მცხოვრები ქურთები, მათი გამოჩენის შიშით, რა  
გაზაფხული მოატანს, მარტშივე აიყრებიან ბარიდან და მთებში იხიზნებიან  
შემოდგომამდე...—დაატანა მხედარმა.

— ბევრი ყოფილა აგეთი მაგალითები. აი, თუნდაც ქველად, ჩემს ახალ-  
გაზრდობისას, მახსოვს, მაშინ ბალტიის ფლოტში ვმსახურობდი,—განაგრძო  
ბოკმანმა—პეტერბურგში, ნევის ნაპირზე, სადაც აუარებელი ფქვილის საწყო-  
ბები იყო, ყოველ საღამოს, ხუთ საათზე, გამოეფინებოდა. უამრავი ვირთები  
წყლის დასალევად და არავის ერიდებოდენ; რით არა სცადეს მათი გაულეტა.  
ერთხელ მთელი უნის აუთქებაც კი უნდოდა სულელ მეფის მთავრობას, მარა  
ვერაფერმა უშველა, პირიქით, ყოველ მათ საწინააღმდეგო იერიშის შემდეგ უკან-  
დაბრუნებულმა ვირთებმა ბევრი დაგლიჯეს ბავშვები და მათ საწინააღმდეგოდ  
გამოყვანილი ჯარისკაცები; ბევრჯერ გაღაატარეს გზის მტკეპნი მანქანები, მაგ-  
რამ ამაოდ...

— არაა გასაკვირი... შარშანწინ, მაგალითად, გროზნოს მთებში შეუარებულ  
ბანდიტების წინააღმდეგ გაგზავნილ პატარა რაზმს უამრავი გველები რომ დაე-

სია და ზარალით უკან დაახევინა?! — ჩაერია ვინმე, დერბენტელი ლეკი ლიმი-  
ლით.

— ალბად გველებიც ბანდიტებს ეხმარებოდენ, ა?! — არ იშლის მხიარული  
ბოცმანი.

ატყდა გულიანი სიცილი.

— თუნდაც ის აძბავი, ამერიკის, ვგონებ ოგაიოს შტატში, რომელილაც პა-  
ტარა ქალაქის მახლობლად ტყეს ხანდარი რომ გაუჩნდა და იქიდან დაძრული უამ-  
რავი გველები ქალაქს შეესია, მცხოვრები გაიქცენ... ბევრი მაგალითები შეი-  
ძლება მოვიყვანოთ ასეთი, მაგრამ ვგონებ-თავი მოგაწყინეთ მაგალითებით და  
სჯობია ისევ ჩვენს ამბავს დაუბრუნდეთ... ჰო, სად შევჩერდი? ჰმ..

— უცნაურ მტერს რომ წააწყდით... — მოაგონა მგზავრმა მხედარს.

— ჰო, და...

— თქვენც გველებს?! — მოუთმენლობს ქალი.

— არა.

— მაშ?!  
9.

— როგორ ვთქვა, სახელი ვერ დავიხსომე, რალაცას ეძახიან სარტები... ეს  
არაა გველებივით, ან ვირთებივით მაგნე; თითქოს ხვლიკია, ან ნიანგი, ფორ-  
მით, მაგრამ პატარა, არც ხვლიკივით მარდია და არც ნიანგივით ნელი; ფერად,  
წლის სხვადასხვა დროს, მიწის ფერს ვერ ერჩევა, და ალბად ამიტომაც იყო,  
რომ ისე წავაწყდით, ვერ შეგიმჩნევია... საშინელი მყრალი სუნი ასდის, ზაფ-  
ხულში ხომ პირი სულ ბუზებით აქს გამოტენილი...

— ალბად ამფიბია, ტრიტონი, ქამელეონი? ა?! თქვენი ალწერილობიდან  
ჩანს, რომ ის უნდა იყოს! — ერევა ისევ ქალი.

— არ ვიცი, შეიძლება... იქნება კარგი მხედარი ვიუო, ვიცოდე ჩემი საქმე,  
მაგრამ ზოოლოგიაში რაღაც ვერ ვარ დახელოვნებული და... — გაიღიმა მხე-  
დარმა მხრების აწევით.

— მერქ?

— ვერ გავაბრუნეთ, პირდაპირ ხიშტებზე მოდიოდენ, გზის გაკვალვა ალარ  
შეიძლებოდა და მართლაც და ყველგან გამარჯვებულნი, ახლა ამათ დაგვა-  
ბრუნეს, სხვა გზით წავედით, რამაც მეოთხედი კილომეტრი ზაინც წაგვართვა.

რაზმელები თუმცა ბრაზონბდენ პირველად ამ შემთხვევაზე, უკვირდათ ეს  
ამბავი, მაგრამ შემდეგ დიდ ხუმრობად გადაექცათ; გჩაში ვინ იცის რას არ-  
ლაპარაკობდენ, როგორ არ ოხუნჯობდენ:

— მიშა, როგორ გიცვალეს ფერი?

— თორემ, შენ ნაკლებად, აი!

— ეს ჩვენი ტრამალის ტურა როგორ უქნევდა ხიშტს, თითქოს საბარა-  
ვად ყოფილიყოს.

— ჰო, კარგი, შე კონცხის ბუ!

— არა, პეტროვმა თოფი ფეხზე რომ შეაყენა?!

— ჰმ!

— კინალამ წამართვეს თოფი იმ ვერნებმა, და!..

— ხა! ხა! ხა!..

ამ ხუმრობაში გზა თანდათან იკეცება...

— რა სიცხეა! კვერცხი რომ დაღო ქვიშაზე, ორ წუთში შეიწვის.

— ჯერ კი თავი მეხრუკება და!..

— სულ ერთი არაა, შენი თავიც ხომ კვერცხსა ჰგავს?

— რა კვერცხის ნაჭუჭში ცოტაოდენი გული მაინც არის და ამის თავში ერთი ციცქა ჰქუაც რომ არაა?!

— რად იცი ხოლმე, ანდრი, ახირება?!

და, ისევ სიცილი...

— ჰმ! რა გოგო იყო წელან რომ გადაგვირბინა წინ, სართების იურტებში!

— ვაი თუ ყელზე დაგდგომოდა?!

— არა უშავს-რა, მოვინელებდი...

— შენ ხომ არა გწყინს, სელიმ?

— მე? რად?! ერთი ამ თეთრებს მოვუგრიხოთ კისერი, და შერე თითო გოგო ყველას ფეშვაშ!..

იცინის...

— ა?!

— რა?

— სუ!.. იქ ვიღაცეები მოძრაობენ!..— იძლევა გაფრთხილებას სელიმა, კი-სერი წაიგრძელა წინ, ისედაც პატარა თვალები უფრო დაჭუტა, ზემოდან იქ-ლის წამოჩრდილებით, პატარა ტყიან ქედს რომ მივუახლოვდით.

— ამხ. ლეო, შენი ასეულით იქიდან, შემოვლად!— მომართა რაზმის, უფ-როსმა და მიმართულება მიჩვენა;

— არის!

სელიმა ჩემთანაა... .

— ცოტა ხანს აქ მომიცადეთ— შეუბნება სელიმა.

ასეული დაბლობით მიმყავს.

ეს თქვა და ბალახებში შესრიალდა გველივით.

კარგა ხანს ველით, პოზიციებს ვიჭიროთ. ჩვენი რაზმის მთავარი ძალა ახლა ჰქილდაპირ მიჰყავს უფროსს.

— ამხ. უფროსო, ეს თვალებ მოპრუწული იმათი ჯაშუში არ იყოს, და... ა?— მეუბნება თანაშემწე.

— ო, არა მგონია, პავლო, ნუ ხარ ეჭვიანი.— მივუგე, მაგრამ თადარიგი შაინც დაჭერილი მაქვს.

დაძაგრული წუთები დამლალავ ლოდინში...

რაზმელების თვალები ვიღაცას ეძებენ თოფ-მომარჯვებით...

ბუჩქნარიდან თოფმა იჭექა.

სროლებში შეერეული სმენა ადვილად იგებს ტყვიის მიმართულებას; ეს სელიმას გზაზეა მონამართო...

ასეული შარაშია გაშლილი და ვინ იცის რამდენი თოფის. ლულა გაპუ-რებს ქედს...

ბალახებში გადაფოფხვით დავძარი წინ ბიჭები.

— სუ!..

თითქოს გველის სისინიაო, გაისმა ბალახებში და ჩემთან სელიმჩ მოძერა...

— კინ-არიან?

— რუსები...

— როგორ თუ რუსები?! რომელნი?

— ისინი, პაგონებიანი...

— ვის ესროლეს?

— მე, მაგრამ, თავში ვერ... აი ფაფაზი გამიხვრიტეს...  
იცინის.

ჩემს თანაშემწეს შერცხვა წელანდელ დაჭვებაზე; რა გადავხელე. ლიმი-  
ლით, სელიმზე...

— ბევრნი არიან?

— ასე, ოცამდე, ალბად...

— მძიებლები იქნებიან...

— არა, ვგონებ ბერაა.

ალყა...

გააფთრებული დაშენა.

თუმცა ორმა თუ სამმა ამხანაგმა დაიკვნესა. ჩემს ასეულში, მაგრამა ბერა  
მაინც მოვხსენ.

— გარბიან?

— ვერსაღ!

ვინც სცადა გაქცევა, ტყვია ეწევა...

ოლა კი, სიცხით სახე რომ ასწვია, უშიშროად გადადის ერთი დაჭრილი-  
დან მეორეზე.

— ოლა ვინ იყო? — იკითხა მგზავრმა ქალმა:

— ოლა?! ჰმ! ის ჩეენ რაზმის სათნოების და იყო... ის... — და მხედარმა  
თავი ჩალუნა, პაპიროსს უტშირა — ვინ იცის სადაა. ახლა...

ვგონებ ეს თქმა, მოსწყდა დაბლა.

პაუზა...

ქარი ქშუის, ალბად ქარიშხალს წინამორბედობს, და ტალღა ყირაზე  
დგება...

— ა?! — ქალს ლიმილო აუელვდა.

— უკანასკნელი ნახვა იყო აშხაბადის ლაზარეთში, დაჭრილი რომ ვი-  
წექი, და...

ალარ განაგრძო მხედარმა, ეტყობოდა გული ლლასთვის გაეყოლებინა, რა  
თეთრების კონტრ-შეტევაზე დაშორებოდენ ერთმანეთს; ბევრი ეძებნა, მაგრამ  
ველარ ენახა, ტაშკენტის ფრონტზე რომ ეკრათ თავი ამათი რაზმისთვის...

### 3.

— ისინი ვინ არიან? — ჭარმოსთქვა რაზმის უფროსმა, და ჭოგრი მიმართა  
შორს, რა უკვე შევუერთდი ისევ, — განაგრძო მხედარმა.

— ა?! — დავჭიმე ხედვა.

ჩვენსკენ შოურიდებლად მოქროდა ცხენოსანთა რაზმი.

— ეს ჩვენებია, აქაური მოთარეშენი თეთრების ზურგში.— მბობს სელიმა სიხარულით, და მართლაც, წითელი დროშის ფრიალზე ვინ არ იცნობდა მათს გუკაცობას. რა მოგვიახლოვდენ, შესდეგენ და შესძახეს:

— გაუმარჯოს წითლები!

ორმა მხედარმა, შუბებზე წამოგებული თავები გაღმოაგორეს რაზმის უფროსის წინ.

ცხენებიდან ჩამოხდენ.

— ვინ არიან?

— მათი ოფიცირების თავები!

იყო მოთარეშეთა მეთაურის ლიმილიანი პასუხი, რა ხელი გაუწოდა რაზმის უფროსს.

— მახმუდ საფუარა, თავისი ორმოცდაათი ცხენოსანით თქვენს განკარგულებაშია.

— გმადლობთ, ამხ. მახმუდ.

— ჩემი კაცი ხომ არ ძალუენს თქვენთან?— და ამ თქმაზე სელიმს გადახდა.

— ო, ყოჩალია!

სელიმა ილიმება, მასში მოჩანს დაფარული სიამაყე რაზმის უფროსის მიერ ამ შექებაზე.

— აბა, სელიმ!— მხარზე ხელის დადებით რაღაცა უთხრა მახმუდმა თავიანთ ენაზე ვგონებ დარიგება...

სელიმმა თავი დახარა ნიშნად თანხმობის...

— ეს ერთი კი ცოცხლად ფეშქაშ!— მახმუდმა ხელებ უკან გაკრული ოფიცერი წინ წამოაგდო.

ეტყობოდა ახალგაზრდა იყო, მაგრამ დილხანს გაუპარსავი. წვერი ისე გაბანჯველოდა, გეგონებოდათ ჯუნგლიდან გამოვარდნილი ველურიაო.

მახმუდი სცადა დაეწოქებინა უფროსის წინ, მაგრამ მან გაიბრძოლა, მხარი პკრა, ამაყად შეხედა, და მერე რაზმის უფროსს მიმართა:

— ჩვენ მტრები ვართ ერთმანეთის, შეგიძლიათ უბრძანოთ დახვრეტა!

— მაგას მოვესწრებით, მაგრამ...— რაზმის უფროსის ხმაში პირველად შევწიშნე კანკალი.

ის მიუახლოვდა, ხელები მხარზე დაწყო ტყვეს და თვალებში ჩააშტერდა.

— ჰმ!

— ა?! გოგი! შენ!?

— დიალ! მიცანი?!— შეხედა, შეკრთა, უკან დაიხია, თითქოს გალიმება: სცადა, კიდევ რაღაცის თქმა, მაგრამ თავი ჩალუნა — სოსო?!

საშინელი სულიერი ბრძოლა ორივეში...

— ამხანაგებო! ჩემი ლვიძლი ძმა, რომელიც მსოფლიო ომის დროს კარბატებში მეგონა მკვდარი, და...

რაზმის უფროსში თავი ჩალუნა.

რაზმელებში და მოთარეშეებში უცნაური გაკვირვება აღიშართა,

— ჰმ! დამცინის ეს საფუარა?! რაღა ჩემი ძმა წარმოადგინა კოცხალი? იცოდა თუ რაა?! მცდის?! — ალბად ამ აზრმა თუ გაუელვა უფროსს, რომ რა-ლაცა უცნაურად გადახედა მახმუდს, რომელიც თითქოს უხერხულობას გრძნობდა უნებურ ძმა-ძმას რომ შეაცვედრა თუ რა იყო, დამნაშავესავით ჩაჰკიდა თავი და ტყვეს თოკის შეხსნა უწყო.

— რაზმის უფროსი შედრკა? — წამოსცდა რომელილაცა რაზმელს, დაბლა, მაგრამ უფროსის უურმა არსად გაუშვა.

— რაო?! — თითქოს დაჭრილი ვეფხვივით დაიღრიალა და გასწორდა, მთქმელს ერთი მრისხანე შეხედვა ესროლა, და მომმართა, ძმაზე თავის გადა-ქნევით:

— ტყვია!!!

— ამხ. სოსო!.. ძმაა მაინც... გაიგე, გამოკითხე, ვინ იცის რა წირობებში მოხვდა მათთან, ა?

— ლეო, მე ვთქვი და მორჩა! მტერი მტერია, ძმაა თუ სხვაა!

ამ სიტყვებით გაბრუნდა, შორს დაიწყო თვალიერება... ეტყობოდა აღელ-ვებას ვერ ფარავდა... ვინ იცის რა სულიერ ბრძოლის ცეცხლში იწოდა, მაგ-რამ ესმოდა მოვალეობაც რევოლუციის ამაყ ჯარისკაცს ოქტომბრის საღა-რაჯობები...

სამეცნიერო-სასიცოცხლო ბრძოლაში ძმებშიც იშვიათია, თურმე, დანდობა... თრივე ძმაში იბრძოდა ახლო სისხლი და იდეა...

— იარ! — ჩემს ბრძანებაზე, მორჩილად, გაბედულად გადადგა ნაბიჯი გო-გიმ ხევისპირად...

— გეოთხოვა პატიება ძმისათვის. — მივმართე ტყვეს.

— არადროს! — იყო ამაყი პასუხი, ვერ მივხვდი რად.

#### 8.

— ა?! — სელიმა არასასიამოდ იყურება წინ, რა დავიძარით.

— რაა, სელიმ?

— რა, და... — ხელი პორიზონტზე გაიშვირა, საიდანც ღრუბელთა ქარა-ვანები წამოიშალა უდაბნოში დალლილ აქლემებივით, და ქარმა იალქნებო აუშვა.

— სამუში?

— არა, მარა... მაინც არაა სასიამო... წევიმა, ატალახება, ბრძოლაში ხელის შეშლა... ალბად ამაღლამ დავეტაკებით მათ, და...

სალამო აიფაფრა, რა მზემ პირი იბრუნა საითდაც...

დასიცხული ბიჭები ღონებზე მოდიან...

სიგრილე სამოდ უვლის ყველას და არაფრად აგლებენ ქარით აყენებულ კორიანტელს...

ეს კორიანტელი ხომ ფარდაცა მტრის თვალისაგან დასაფარად...

შორს ელვამ იალა მტრის კისერზე ქარქაშით მოწყვეტილ ხმალივით მზეზე...

— ამხ. მახმუდ! მტრის უკან დასახევი ხიდის უფეთქება!.. — დაარღვია-უფროსმა სიჩუმე ძმასთან შეხვედრის შემდეგ, პარველად.

— მახმუდ საფფარა მზადაა! — და ამ სიტყვებით გაპქუსლა სართმა, თავისი კაცებით, საითბრაც...

კოკისპირულ წევიძას ვჯლოდით, და ცამ კი რამდენიმე წვეთის გადმოგორება ძლიერს მოასწრო ცრემლივით, რადგან ქარის მაგარმა სილამ ღრუბლებს. საითბრაც მიულრიცა ყბა...

ცოტახნის შემდეგ ქარმაც უკლო ჭირვეულობას და ხადლაც გადიჩხა...

დაბინდტა, როცა უკვე მივედით მთის იქთა მხრით, საიდანაც მტერი არ გველოდა; მისი ყურადღება მიჯაჭვული იყო ჩვენი სამანევრო რაზმისკენ, შუბლზე რომ ურტყავდა...

დაემანაკდით მოხერხებულ ალაგს...

უველგან გუშაგები...

წავივახშეთ და ვირებს დავუარეთ, თუ სადმე საპალნეებში კიდევ იყო წყალი, თდოქმის წვეთ-წვეთად გავინაწილეთ და შივეყარენით აქა-იქ, თოფ-მერდში ჩაყუდებულებმა; მარა, ძილი ვის ეყარება თვალზე! ველით რალაცას; თუმცა ძნელია ლოდინი, მაგრამ, მაინც ველით... ველით მტერს, ველით დილით შეტევაზე გადასვლას...

— წყალი, აჲ, წყალი!..

აი, ნატვრა ყველას ტუჩებს რომ სწყდება.

კათხები, ყველას დაცლილი გვაქვს...

პაპიროსის მოწევაც არ შეიძლება, გაგვთქვამს. ლამეში...

სიჩუმეა... მხოლოდ მინდვრის მწერებს გაუბამთ დაუსრულებელი ბაიათი, და შორი მდინარის შეუილი გვეძახის, მტერს რომ უჭირავს.

მთვარემ დაიგვიანა ამოსვლა, ნაზუქივით რომ იცის ხოლმე ამოგორება და ეს ჩვენი სასარგებლოა; ლურჯ თალზე მხოლოდ ვარსკვლავები, ბრილიანტებად...

— დილას, რიერაუზე, რა ვარდის თითება ავრორა შავ ნაბადს მოაცლის ქვეყანას მხრებზე...

— შეტევა?!

— ჰმ!..

### თ.

— დადგა სანატრი გადამწყვეტი დროც და რა დილამ ნისკარტი ჰქონდინელეს, გაისმა ბრძანება, ჩუმად, შეტევაზე გადასვლის. სწრაფი ნაბიჯით გასწიეთ, ვიცოდით, რომ სისწრაფეში და მოულოდნელ დარტყმაშია ომის მოგება. ავფოფხდით ფლატებზე, ნაპრალებზე, ბუჩქ-ბუჩქ, ვისაც როგორ შეეძლო, რომ უცბად დაგვერტყა ზურგიდან; მტერი ისე იყო გათამამებული ინგლისელთა. წველით, რომ გუშაგის დაყენებაც არ ეფიქრა აქეთ; იმ ლამეს თურმე ქეიფში იყო სარდლობა, და სადლეგრძელოებში ჩვენ ბრძოდ გვნათლავდა; ეს ჩვენ შემდეგ გავიგეთ.

გამარჯვებას თათქმის ადრევე ვდღესასწაულობდით; ამისი იმედი გვქონდა, და რწმენას ხომ დიდი გავლენა აქვს ადამიანზე...

და, იმ დროს, როდესაც მიზანთან უკვე ახლოს ვიყავით, ამ სიჩუმეში ერთბაშად გაისმა საშინელი ლრიალი ჩვენს ზურგში, რამაც შესძრა არე, თითქოს ათასეული ქვემეხი იყეფება და ყუმბარები დედამიწას ბდლვნდანო.

სახტად დავრჩით.

— რა იყო? — იკითხა რომელილაც მგზავრმა.

— რა, და... თქვენ წარმოიდგინეთ, ოთხასმავირმა ყროფინი რომ მორთო, რა კონცერტი იქნებოდა!

— ვირების კონცერტი? — კისკისებს ქალი, მგზავრთა ხარხარში.

— დიალ, ვირებმა გაგვცეს. ამა მტრის ყურს მიესმა ალბად, რომ დიდი ძალა აქვთ მოგვაყარა.

საშინელი ბრძოლაა...

ვირების ყროფინს ბანი მისცა ზარბაზნებმა, თოფების დაშენაში ჰყვიპ-მფრქვევი კაჯანებს, დედამიწა იძვრის, ავარდნილი ბოლი ჰაერს ამლვრებს და დენთის სუნი ულენთავს ყნოსვას; იარაღთა ლულა ალის ენებს ჰყოფს, თითქოს ვილაცას ალიზიანებსო, და წითელი და სამფერა დროშები ერთმანეთს არ უთმობენ აჩენას...

არავინ იცის რომელი გადატყდება ტარში...

ძარღვები დაიჭიმა...

სუნთქვა დამძიმდა, ყუინაში და დაჭრილთა კვნესაში საშინელი სურა-თები ელავს ეკრანზე...

ჩვენს ზურგში კი ვირების დასტა უდარდელად განაგრძობს ამაზრზენ შიქასტას...

მგზავრთა სიცილი ცრემლის ლვრამდე მიდის...

ი.

— რა კარგა გათენდა და მზემ იქროს დალალები გადმოიშალა, სიწყნარე ჩამოვარდა, რასაც აქა-იქ თუკლა დაარღვევდა ბრძანების გაცემა საგუშაგოების დასაჭრად, ან კიდევ დაჭრილთა კვნესა.

— მღინარის წყალი არ დალით აქ, მოწამლული იქნება ამდენი მკვდრე-ბით და დამხრჩვლებით. ზევიდან მოიტანეთ! — იყო უფროსის ბრძანება, შაგრამ მოწყურებულ ხალხს ამ ბრძანებამდე უკვე შეგმა, და აკი რამდენიმე ამხანაგი გადაყვა კიდეც...

მტერი განადგურდა. გაისმა გამარჯვების ბუკი. ალიმართა წითელი დრო-შა და გახარებულ სოფლის ამორჩეულნი გამოჩნდენ საჩუქრებით და პურ-მა-რილით ჩვენდა შესახვედრად.

რაზმი დასუფთავდა, დანაყრდა.

— აი, ამხანაგებო, ვინ ეხმარება თეთრებს! — ამბობს ჩემი თანაშემწე და მიუთითებს დავლად, ალაფად დარჩენილ ინგლისურ იარაღზე, ამუნიციაზე, კონსერვებზე...

— ჰმ! რა გვიყვეს და, მაგ ვერნებმა! — აღმონდა უფროსს, რა ვირებს გა-ხულა; კინალამ დახოცა ყველა.

ისინი კი, არხეინად შეექცეოდენ მცვრიანზალახს, თითქოს აქ არაფერით და ხანდისხან შეეხმაურებოდენ ერთმანეთს „სირინოზის ხმით“, რა წაიგრძე-ლებდენ კისერს და აათამაშებდენ უურებს...

— მერე და რამდენი ზედმეტი შსხვერპლი გაგვალებინეს, ა! — ბრაზობს შტაბის უფროსი.

— დიალ, თქვენ დიდი მსხვერპლი გაიღეთ ჩვენი განთავისუფლებისათვის და მადლიერი სოფელი გხვდებათ თავისი ლია გულით და ძეირფასი საჩუქრით. რომ ყველაზე ძალიან გიყვართ ეს! — წარმოსთქვა დელეგაციის მეთაურიკით, რომ ყველაზე ძალიან გიყვართ ეს! — წარმოსთქვა დელეგაციის მეთაურიმა, მოხუცმა აზიზამ, გვერდზე მდგომ ახალგაზრდას ბოხია რომ ჩამოართვა, გახსნა და ამოილო ოქრომკედ ნაქარგი აბრეშუმის წითელი ღროშა და გადასცა.

— ჩვენ ამ დროშას ვატარებთ საბოლოო გამარჯვებამდე! — მიუგო უფროსმა და აქვე თერიალდა მზის სხივებზე.

— ო, რა ვაჟყაცები გაშოლტილან ვეფხვებივით?! — წარმოსთქვა დანანერ გით აზიზამ, რა დახოცილ რაზმელებს შეხედა, რომ მარხავდენ.

— ამ ვირების ლალატმა, თორემ არ გვექნებოდა ამდენი ზარალი.

— აგრე იციან მაგ ტიალებმა ყოველ განთიადისა... თითოეულ მათგა- რისათვის უდრევე კუდზე რომ დაგეკიდათ ხუთიოდ გირვანქისტოლა ქვა, ან სხვა რაიმე, აღარ იყროყინებდენ. ასე ვიცით ხოლმე, როცა გვსურს მაგათი, დაჩუქრება. — თქვა აზიზამ.

— და, განა თითო ფუთიანს კი არ დავიდებდი, რომ მცოდნოდა?! — მიუგო რაზმის უფროსმა, რაშაც გულიანი სიცილი გამოიწვია.

— აჲ!!! რა პირით-ლა შევხედო საფფარას?! — თავში წაიშინა სელიმშა.

— რად?

— რად, და... როგორ დამბვიწყდა ეგ გაფრთხილება?! არ მეტყვის: სელიმ, ვირის თავი რომ გბმოდა მაგ ცარიელ გოგრის მაგიერ, ის. არ გირჩევ- ნოდაო? ა!

ძლიერ დავამშვიდეთ, რომ ბანაკში შემოგრიალდა მახმუდ საფფარა, თავისი ცხენოსნებით და უფროსს მიმართა:

— მაპატიე ძმაო, ყარდაშ, ამხანაგო, რომ არ ავასრულე შენი ჭრანება, რადგან უკან დახეული მცირე გადარჩენილები ჩვენ და თქვენს მდევარს. რაღან გვეყოფოდა, და ხიდის აფეთქება ზედმეტად ვცანი, ვიცოდი, რომ ისევ ჩვენი ასაშენებელი იქნებოდა.

— არის ხშირად ისეთი ბრძანებები, რომლებიც დროს განშავლობაში კარგავენ თავისი მნიშვნელობას და გონიერი მოსაზრება იქვე სწყვეტს საკითხს. — ასე მოქცეულხარ და კარგადაც გიქნია! — მიუგო უფროსმა. ლიმილით და ხელი გაუწოდა.

— ა?

— მუსიკა, სიმღერა, ცეკვა ერთმანეთში აირია; ვანია გარმონის თვლებზე მარდად ათამაშებს თითებს და ნამატროსალი ალიოშა, მიუხედავად მკლავ- ში მსუბუქი ჭრილობისა, მაინც უვლის ბუქნას, ყველას მხიარულებით...

მარა, განზე, კარავთან ჩამომჯდარი რაზმის უფროსი რად დალონდა. წუთიერად მაინც? მის თვალებში თითქოს ცრემლიც შეგნიშნე, და იმ ფიქრმა გამიელვა:

— რად? ნუთუ ძმაზე? ა?

— ალბად!..

## ბალადა ღის შესახებ

დაბრუნებისას ასე ყოველთვის  
 ეს მოგონება მუდამ თან მახლავს...  
 გაცემი მინდვრებს, ეზოს, კოლექტივს,  
 თითქოს მეორედ ბავშვები მართლაც.  
 მე, თმახუჭუჭა და ფეხშიშველა,  
 ავდევნებივარ თემშარას სიგრძეს,  
 აქ შემიყვარდა გოგო პირველად  
 და სიჭაბუკეც პირველად ვიგრძენ!..  
 და... ვეგმობდით ლაჩარ უილაჯობას,  
 ჩვენ გმირობას კი ვინდა ითვლიდა.  
 გვიყვარდა როგორ, ვინ ვის აჯობა —  
 ჭიდაობაში ბებერ წისქვილთან.  
 ან ეის მოგერიდა ყინვა მეტ ტკიეილს,  
 თვით დეკემბრიდან თუგინდ მარტამდე...  
 ლამეები კი ცაზე ფეტვივით —  
 მუდამ ფარსკვლავებს უხევად ფანტავდენ.  
 შინ კი მოხუცებს ქაჯის სჯეროდათ,  
 სწამდათ უკლიდა ყოველლამ ბუქნას,  
 როს მთვარე დინჯად შეაჯდებოდა  
 ტანმორჩილ გორაკს ზეინების უკან.  
 — გჯეროდეს ბაბუ! წყდება დუდუნი,  
 და შვალამისას ლელეც იძინებს,  
 უნდა ჩაკეტო მაშინ ურდული  
 და კარს მიაღო რამე სიმძიმეც,  
 თორემ მაცლური გდარაჯობს გარედ  
 და რომ წამოვა თვალებზე ძილი...  
 გამოგჭამს გულს და ამოგთხრის თვალებს  
 და საკომილურში აძერება დილით!  
 მწამდა,  
 რომ გავტყდე და ვთქვა მართალი.  
 ან რა მესმოდა ჯერ კიდევ მაშინ,  
 გულს აწყალებდა კერა, ზამთარი —

თეთრ წვერა მოხუცს ვუსმენდი ბავშვი.  
 ვუსმენდი ასე, რა როგორ ნახეს,  
 ვუსმენდი სოფელს ღამით თუ დღისით...  
 და როგორც კარგი ვოგონას სახე,  
 ოქროს თავთავი დღეს გულში მიზის.  
 და აღარ ვიმჩნევ სიცივეს, დალლას,  
 თუნდ ცხენის ფაფარს ქარები წეწდეს..  
 მიყვარდა მუდამ — შევხარი ახლაც  
 შრიალა ვერხვებს, ტირიფებს, ძეწნებს.  
 ... რა მიხარია, მართალი გითხრათ!  
 ამ დილით ფიცრულ ოდის სარქმელთან,  
 ჩემი და ცოცხლად წიგნებში დიდხანს  
 კოლმეურნებს დინჯათ არკვევდა.  
 ფესვი ღრმა იყო და ჩვენც გვჯეროდა,  
 ახლა რიყრაუზე ჯერ კიდევ ღამით...  
 ტრაქტორი დინჯად გადის ჩეროდან —  
 და შუქურებზე აშავებს ყამირს.  
 და კი იცინის... იცინის, ლელავს,  
 აგრონომობას უმცროს ძმას უთმობს,  
 სიცოცხლესავით მიზანი სჯერა,  
 რომ ინუნერი გახდება უთუოდ.  
 — კარგია, ბიჭო, მითხარი ამაე,  
 ხომ მიმიღებენ, თუ იცი ნეტავ.  
 ავაგებ სახლებს,  
 გავიყვან შარებს,  
 და გახარდება ბავშვივით დრედაც.  
 და ვერ ვიკავებ მე მომსკდარ სიცილი;  
 თუმც საამაყო სურვილიც არის;  
 ვხედავ სხვა ყოფა დამდგარა მის წინ  
 რა ინუნერობას იჩემებს ქალი.  
 გარეთ ქარი ქრის, შშრალი და ციკი,  
 მინდვრათ ვერხვებმაც რომ შეიყვარეს...  
 სადღაც ძალლი ყეფს, მამალიც ყივის  
 და ხშელ ტოტებში გაჩრილა მთვარე.  
 ირხევა ტოტი, მთვარე კაშვაშებს,  
 იძინებს ხევი, ლორლი და ლრანტე,  
 ძალლი იყელებს გარიერაუამდე —  
 და ღამის ყამირს ჩნათობი გასტეხს.  
 გაივლის ასე დღეები ხშირი,  
 დადგება ოქროს ზეინების გროვაც...  
 და ჩვეულებრივ ერთ მზიან დილით  
 აქ ინუნერი გოგონაც მოვა.

ახლა აქ არის  
 და კატის კნუტთან  
 თამაშობს ცეცხლთან და თავსაც ირთობს.  
 და მოუთმენლად ხალისით უნდა —  
 რომ სახლის გეგმა დახაზოს თვითონ.  
 გარეთ ქარია, მშრალი და ცივი,  
 მინდვრად ვერხვებმაც რომ შეაყარეს...  
 სადღაც ძალლი ყეფს, მამალიც ყივის  
 და ხმელ ტოტებში გაჩრილა მოვარე...

---

## ახალი ოჩავრიდი

შერვაშიძეთათვის ტაბტად აღებული  
იყო აფხაზეთი გაპარტაზებული.

კვერცხის ყვითელ გულს ხაშმში ჩალხობილს.  
მოგააგონებდათ სახე აფხაზის;  
სული სძვრებოდა პირქვე დამხობილს,  
იდვა ცივ მოლზე, როგორც ნახაზი.  
ფლობდა ციება როგორც აბჯარი,  
მისგან ანთებით ბევრი დამწვარი,  
ბევრი ვაჟკაცი ხორცში ჩამჯდარი  
მოსპო და შავი მიწით დაფარა.  
ფოლადი უნდა სცმოდა წალებად,  
ვინც მიაღწევდა წლების სილმეში,  
სასაფლაოზე ცოცხლად წალებას  
გვემუქრებოდა მალხაზთ სიყრმეში,  
მასების ნება დიდი ყოფილა,  
პარტიის მიერ მოქნეულ ხმალმა  
გაანადგურა ძველი კოლხიდა.  
ბუნების მტრობა ისწავლა ხალხმა,  
ვაჟკაცებს წელში მარცდ რომ ხრიდა.  
გასჭრეს ეწერი, ყრუ და შავბნელი,  
ამით ტურების ყელიც ალაგმეს,  
თითქოს ტყის თავზე დასცეს შრაპნელი,  
მუხის მორები გადმოალაგეს!  
გასწვეს ეწერი, გასჭრეს ახო და  
მიწაც გამოჩნდა განაპოხები,  
ალარც გველი და არც კუ დახოხავს,  
ველი არ არის განაოხრები.  
ჭაობის შხამი ალაზ აწუხებს  
არტელში ჩაბმულ კადირს და სარას,  
ციება ველარ უკერს მარწუხებს,  
ერთად აგებენ სახლსა და შარას.  
მიწის დაპყრობას რამი აპირებს,  
ციტრუსოფეანი ხარობს ხეხილზ,

ჩაი დააწვა შავზღვის ნაპირებს,  
 როგორც ლერწმები ტანმოგრეხილი!  
 აქ მზესუმზირა ფართო თვალებით  
 პირბადრი მთვარის ფერად ბრიალებს,  
 მზე რომ გადმოვა მთაზე მთქნარებით,  
 დილის რიცრაუზე ცვარი კრიალებს!  
 მიწაც უხვია, როგორც ნაღები,  
 მთიდან დაჰყურებს ტევრი ბზებისა,  
 გულის სილრმიდან ამონალები  
 მესმის სიმღერა აფხაზებისა!  
 ღამით ბალები ცვარით ირწყვება,  
 ხედავენ ველს და მათ გული უხტით,  
 დილის სიოზე ნაზად ირწვევა  
 გადმოქოჩილი ხე გრეიფრუხტის!  
 უყვარს გოგონას შრომა არტელში,  
 გულით სიცოცხლე არის აფხაზი,  
 პალმით დაბურულ ბალში და ტევრში  
 გამოაშუქებს, როგორც მაღაზი!  
 რიცა სიცოცხლე სჩექეფს მუშისათვის,  
 ჩინარებს ხმები შეარხევს ბუკის,  
 მწვანე სხეულის შეშმუშვნისათვის  
 ლილებს შეიხსნის ველი ბამბუკის!  
 არტელის ძალა ტალღად გაშლალი  
 ამხედრებული ჩანჩქერებია,  
 მყინვარის წვერი ბროლის თვალივით  
 თამბაქოს ველებს ჩასჩერებია!  
 მცხუნვარე მზისქვეშ თუ ვიტრუსებით,  
 აღფროთვანებით წელში შევირხეთ,  
 ვკაფავთ ეწრებს და ვრთავთ ციტრუსებით,  
 ვაშენებთ ჩაის ბალებს, ხეივნებს!  
 დე, იალბუზი მეტის სიმკაცრით  
 უფრო გაფითრდეს, უფრო გამწვავდეს,  
 ვერ შეგვაშინებს მისი სიმძაფრე  
 ვამწვანებთ გზებს და უნდა გამწვანდეს!  
 ხედავთ ბუჩქებს და ძალზე ოცდებით,  
 მიწა მეტყველებს ნორჩი ძირებით,  
 მწვანე ეწრებო, აღარ მოცუდებით,  
 თამბაქოს ზღვაში ჩაიძირებით!  
 აგერ ორთქლმავლის გიგანტურ ბორბლებს  
 ფილადეს რელსზე გააქვს ზრიალი,  
 მოდის, მოაქცევს მაზუთის დორბლებს,  
 მოაქვს ტფილისის გული მზიანი!

ზეიმი არის! ხალხი მოგროვდა,  
 შატარებელი პირველად ნახეს,  
 თითქოს მთებიდან კლდე ჩამოგორდა.—  
 ხედავთ?! სამგზავრო სადგურიც გახსნეს!  
 დღეს ოჩამჩირე სხვა ქალაქია,  
 ალარ იხრჩობა ციცების ბურში,  
 მგზავრები ფეხით ძვირად დადიან,  
 მატარებელი უცდით სადგურში!  
 აქ ელსადგურიც ძაბვას ასქელებს,  
 ჩქერებს დაათვეს პირველ მაღაროს,  
 ნახშირის მთები მის გულს ახელებს,  
 სურს დედამიწას შუქი ალვაროს!—  
 ვხედავდით წინეთ ჭაობებს დამდგარს,  
 ნადირს ნადირი ჰყავდა კბილებში,—  
 აშ მანქანების მოვიმენთ დგანდგარს  
 ინდუსტრიალურ ოჩამჩირეში!

## ვიშჩები ვერხვის ქვეშ

შრიალებს ვერხვი... ჩამაჯალი მზის შუქი როკაცს,  
 ტანმაღალ მუხებს ღრმა სიბერის დალები აზით.  
 უქანასკნელად ვრცელ ტრამალებს აეწვათ ლოყა  
 და შეილ დაკარგულ მშობელივით აცრემლდა ვაზი.  
 ცივგომბორილან ტყვიისფერი ღრუბელი დგება,  
 ალაზნის მუხებს შეაშფოთებს რბენა ტახების,  
 პირბადრი მთვარი კავკასიონს გადმოუშვება  
 და აენთება კოცონივით ღრუბლის ნახვი.  
 შორს, გუშაგებად ჩამწკრივებულ წნორების შორის  
 გადაწოლილა ალაზანი ვერცხლისზოლება,  
 ზვირთებს აბგერებს ბორბალოდან გამონაუონი,  
 იაბოსავით მოირხევა და იზმორება.  
 ჰე, ალაზანო! ბებერ ამბებს ნულარ მოტირი,  
 ამოგრიგალდა განახლებულ ეპოქის სუნთქვა.  
 დალეწილი ხარ გამხმარი ხის გამხმარ ტოტივით  
 და არც გისმენენ ხავსიანი კლდეები გულქვა.  
 გოლიათებმა, — ბორბალოს ღვიძლს — მოგტაცეთ ტოტი...  
 გავაჯირითეთ გაშმაგებულ ვეუხვის მუხლებით,  
 გამოვაუხიზლეთ ტრამალები გულშენაშეოთი,  
 გაღმოვარხიეთ ბრძოლის ცეცხლი წარბშეურხევი.  
 შრიალა ვერხვო! შენთან ვარ და ფიქრები ქრიან, —  
 ფიქრები ქრიან ტანდარხეულ ალაზნის ველად,  
 ხარლვებში სისხლი გამძაფრებით გაიღებს თქრიალ  
 და მინდა გული გადაიქცეს ბრძოლის სიმღერად.  
 ალაზნის მიწავ! ალარა გაქვს მკერდზე იარა,  
 ალარ გაშფოთებს მზის სხივების მარდი ჭენება.  
 ინდუსტრია ქუხს, ინდუსტრიამ გადავიარა.  
 ოჰ, რა გიხდება გაშლილ მკერდის გადაჭრელება...  
 ... ქათქათებს მთვარე სილურჯეში კლანჭვაკიდული,  
 რაინდებივით ამართულან მთათა რიგები.  
 ფარფატებს ნისლი გაღმა ხევში მხრებდა კბილული  
 და გზია არე ლამის ნამით გულნაგრილევი.

მკერდ მობიძინე ტრამალებზე — ჭარმაგ - მუხლება —  
 ბერი მუხები გარს იხვევენ ყანების შრიალს  
 და დგანან ისე გულცივად და წარბშეუხრელად,  
 თითქოს ლაქვარდში საიმედო ოცნებას შლიან...  
 ... ქათქათებს მთვარე მობულრავე ხარის-თვალება,  
 დაშუბულ სივრცეს გადაჰქვრია დუმილის თასმა,  
 ლარი გაწყვიტეს ტრამალების მკენესარ თარებმა  
 და ძილჩს რული სარტყელივით მოედო მთასაც...  
 ... და თუ უეცრივ ცივ გომბორის ფერდობებიდან  
 დუმილს გაარღვევს ორთქლმავალი გულშლეგიანი,  
 შეირხევიან ველ-მინდვრები და ვრცელ მხრებიდან  
 კვლავ გასივრცებით აშლება ნელი შრიალი...  
 შრიალა-ჭურხეო! შენთან ვარ და ფიქრები ქრიან, —  
 ფიქრები ქრიან გადაშოლტილ ალაზნის ველად.  
 ძარლვებში სისხლი გამძაფრებით მოდენის თქრიალს —  
 და მინდა გული გადაიქცეს ბრძოლის სიმღერად.

1933 წ. სოფ. ბაკურციხე.

## ჩ 0 6 2 6 0

დგება სალამო თვალჩანამული,  
 ტყეთა ჩრდილები ვაჟკაცდებიან,  
 შენ მარტო დგეხარ ხევში ჩარგული,  
 ზეცას შეპყურებ ლაჟვარდებიანს.  
 მახსოვს, ვიბრძოდათ ველზე სანგრებში,  
 გვიჩრდილებია შენი მკლავები,  
 რამდენი თვალი აქ დაგეშილა;  
 როგორც ელვარე ცის ვარსკვლავები.  
 დაბლა დახრილა შავი ჩრდილები,  
 როს სხვა ლანდები შეუმჩნევია,  
 ტკივილები და ბრძოლის წუთები,  
 ამბოხებულთა ხსოვნას ჩვევია  
 დავმდგარვართ ერთად მტერთან ნალესი,  
 აჯანყებული გულით სწორები,  
 გვიღვრია სისხლი უმხურვალესი,  
 წარსულ ბრძოლების გამოსწორებით.  
 შენც ხომ, ჩინარო, ისევ, გატყვია  
 კომუნარივით გულზე ჭრილობა,  
 შენც ყაჩალებმა გესროლეს ტყვია,  
 ხევის გადალმა სანაპიროდან.  
 რამდენი გმირი გადაარჩინე,  
 რამდენს მიეცი ყოფნის უფლება,  
 რომ შავ ეპოქით მხარეს ნაჩრდილევს  
 დღეს მისცემოდა თავისუფლება.  
 და განთიადზე, როცა გამოჩნდა  
 თავისუფლების სხივი კრიალა,  
 ამ ტოტების ქვეშ ხალხმა პირველად  
 წითელი დროშა ააფრიალა.  
 ჩემო ჩინარო, შენ არ მოგჭრიან,  
 შენ არ გაქცევენ ნაჭერ ფიცრებად,  
 ნაამაგარი ხენიც რჩებიან  
 რევოლუციის მებრძოლ გმირებად.  
 დე, იშრიალეთ, ტოტებო, ახლა,  
 ზეცას შესძახეთ ისევ მადლობა,  
 მოვა და წარსულ ჭრილობებს ნახავს  
 შემდეგი დროის ახალგაზრდობა...

## სიმღერა სვანეთის მთებიდან

ორთავა უშბა თაქმომწონედ დაპყურებს ბექის,  
შალალმა შხარამ გულმრისხანე შობა მდინარე.  
ენგური მირბის... კლდის კიდევრი სურს ჩამოხლიჩოს  
და შავი ნისლი გადაკვრია ტანთეთრ მყინვარებს.  
ტანთეთრ მყინვარებს გადაზნექილ ზურგებით მოხრილ  
უკან მისდევენ ტანდაყურსულ ნაძვნარით მთანი.  
შორს ჭიუხებზე ცქვიტი ხტომით ახტება ჯიხვი  
და ფულთა თოფით იგრიალებს უმალვე სვანი:  
მისი ხედვაც ხომ იმ ჯიხვივით კლდეზე იზარდა  
და მის გულმკერდში მუდამ ტოკავს ჯანსალი სისხლი.  
სვანელო გლეხო, შენ ეს მთები მუდამ გიყვარდა,—  
მთები ტიალი, შებურული მთვლემარე ნისლით:  
გიურ ენგურო, ლრიალებ და კლდეებზე ჰქუხარ...  
შენი განწირვით სვანი გლეხი ალარ იდარდებს.  
შხარას საშოდან ცელქი ჩქერით დაბადებულხარ;  
ტანმალალ მთებში დავაუკაცდი, გამოიზარდე.  
და შენც ოდიშო, ლვართქაფიან ენგურმა გითხრა,  
რომ დღეს სკანეთი ის არაა, რაც იყო გუშინ;  
რომ გოლიათი მძლავრი შეერდი დენთით გაიხრა  
და დინამიტი აგრაგანდა უშეულის გულში.  
უშეულის გულში ხმამ მერეხულ ერთობ იჭექა,  
გორმახო მთები, ჩამოგაჭრეს გაშლილი ფრთები.  
დაიგრიალეს გრიგალი იყით სვანელ ბიჭებმა  
და აზრიალდა, აბარბაცდა უშეულის მთები.  
ათასმა წლებმა თითქოს განგებ მიგაკრათ უშბას  
და ახლა ჰქუხარ კლდის ბორკილში ჩამჯდარი ვეფხევი:  
დღეს ინდუსტრიამ შრომის ცეცხლი ველზე მიუშვა  
და მწვანე კორდზე სტირის ნაძვი გულგანატეხი.  
მაშინ ნიადაგ ჩამონგრეულ ჩანდა მთები და  
იდგა ცაცხვის ხეც უშეულებელ ტოტების გაშლით.  
ლიმი გადეკრა სვანის სახეს, როცა ხევიდან  
ქშენით, ყვირილით, ავტომბუსი მოიჭრა მთაში.  
კვლავ გუგუნებენ მანქანებით დაჭრილი მთები,

შორს მუნახირემ აღტაცებით დაკრა ჭიანურს.  
 მზემ გადმოშალა მწველ სხივებად ვერცხლური თმები,  
 შეხვდა სვანეთი ახალყოფას—ინდუსტრიალურს.  
 სვანეთის მთებო, ფიჭვნაძენარით ტანდაყუდრულო,  
 ვხედავ დღითი-დღე ჩვენ ხელებში მოიკუნტები.  
 პოი, უშბაო, თეთრი მხრებით ზე აყუდულო,  
 თვალწარმტაცობით აღარ გზოგავს სვანის კუნთები.  
 გადაესვეტა სვანეთის მთებს სიბათლის შეერი,  
 კავკასზე მიკრულ სვანეთის მთებს, ხედვას რომ კეცავს.  
 ისმინეთ ძმებო, ხმა ქუბილის, სვანეთი მლერის,—  
 სვანეთი მლერის, მეც სიმღერა გამიორკეცდა.  
 სისხლიც ძარღვებში ენგურივით დაიწყებს ჩქრიალს,  
 რა შეგვაშინებს კლდეზე გაზრდილ ორბებს—ჯანსაღებს?!  
 წინათ სვანეთი ეკუთხნოდა დადგმელიანს,  
 დღეს კი სვანეთი კოლექტიურ ყოფას აჩაღებს.

## გარღვეული ზღუდე

წვიმა გადალებას არ აპირებდა.

უკუნეთ ლამეში ჩაფლულიყო მთელი მიდამო.

ჩაბნელებული ხევები შევად გამოიყურებოდენ და ხახა დაელოთ გაუფრთხო-ლებელ მეზავრის გადასაყლაპავად.

წიოდა ქარი, თითქოს ლამობდა დაეყრუებინა ხევად დაქვეითებულ ია-კალთა ერიამული.

მთის კალთაზე შეფანტული მებრძოლნი, ლოდებსა და ხეებში ოსტატუ-ტურად შეხამებულნი, ყურადღებას არ აქცევდენ, რომ მათ წვიმამ ძეალ-ჩბილ-ში გაუარი. მათი აზრი მხოლოდ განთიადის მოლოდინში იყო, როდესაც რაზმის უფროსი ამხ. ქუთათელაძე შეტევისათვის ნიშანს მისცემდა.

წითელარმიელთა გონება მოშავალი ბრძოლის იჩგვლივ ტრიალებდა. მა-თი ფიქრი ხვალინდებოდა ბრძოლით რყო გატაცებული.

— ვინ ითავხედა, ვინ?

— ვინ გატელი მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ მახვილის აღება, განა ისე იაფად დაჯდა ბორკილების გსხვრევა და მონობის ულლის დალეწვა, რომ ასე ადვილად დაანებონ ვისმეს მებრძოლებმა სისხლითა და წამებით მო-პოვებული თავისუფლება? განა დაავიწყდებათ მათ პოლიტელის ამხ. ტრი-ფონ ბოკუჩავას სიტყვები, რომლითაც გაიულინთა ყოველი მათგანი, რომელმაც ენტუზიაზმით ააგსო მათი გრძნობები?

თუნდაც ერთი მათგანი რომელი მისცემს ნებას, რომ მისი ოფლითა და სისხლით მორწყული კარმილამო მტრის სათარეშო მოედნად გადააჭიონ.

„ამხანაგებო, მტერი შეტევაზე გადმოიდა, მტერი არ ინდობს ჩვენს ნაოფლარს და ასეთ მტერს ჭკუა უნდა ვასწავლოთ, გაშლილი მაღა უნდა და-ვუმოკლოთ“... უთხრა მათ ტრიფონმა და ეს სიტყვები ყოველი მებრძოლის გონებაში ტყვიასავით ჩაიტედა. მებრძოლებმა იცოდენ ვინც იყვნენ ეს მტერები...

იცნობდენ მათ, ენახათ და გაეგონათ მათი გმირობის ამბები 1918—1920 წლებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხის რევოლუციონურად განწყობილ შშრომელთა წინააღმდეგ.

სასტიკი და ტლანქი იყო ეს მტერი... თუმცა ამავე დროს ფრთხალი და ლაჩარი...

მებრძოლებმა იცოდენ; რომ ასეთი მტერი უფრო საშიშია... მტერი, რო-მელსაც სიმტკიცე და გამბედაობა არ ახასიათებს, ის მუდამ ცბიქრია და მზა-

კვარი, ლონე და ძალა რომ არ გაუდი', ეშმაკურ ხერხებს მიმართავს ხოლმე, რადგანაც გამბედაობა და პირდაპირობა აკლია.

თუ მდგომარეობამ ხელი შეუწყო და საშუალება. მიეკა, უსასტიკეს ზომებს მიმართავს მოწინააღმდეგის მიმართ. სადაც კი ფეხს დაადგამს, ცეცხლითადა მახვილით ანადგურებს ცველაფერს. ლმობიერება მისთვის უცხოა და გაუგებარი, ეს მის ბუნებას არ ეგუება.

ეს იციან მებრძოლებმა.

ბევრმა მათგანმა საკუთარ კარმიდამოზე იხილა შათი თარეში, როდესაც „მხსნელების“ ნილაბქევეშ ევლინებოდენ „მტრისაგან“ გასანთავისუფლებლად და ამ მოვლენებს თან სდევდა „მხსნელთა“ მიერ მათი ოჯახების დარბევა და აწიოკება, უკანასკნელი ლუქმის პირიდან გამოცლა, ოჯახის მარჩენალთა განუკითხავად დახერეტა...

და ცველაფერი ეს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით. არა, ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ და მებრძოლნი ამას ასე ადვილად ვერც დაივიწყებენ.

განა თითოეული მათგანი ლარიბი და ბოგანო ხალხის ოჯახებიდან არ არის გამოსული?

განა მათი მაცები არ იყენენ, რომ სხვებისათვის შრომობდენ და თვითონ კი ლუქმა პურის ნატრულები იყვნენ? ისე პატარები არ არიან, რომ არ ახსოვდეთ ის საშინელი სილარიბე, სიმშილი და სიცივე, რომელსაც ისინი განიცდიდენ, მხოლოდ იძიტომ, რომ არ ჰქონდათ მიწა და დღეს, როდესაც მიწა და უფლებები მოიპოვეს, ვის დაანებებენ ცოცხალი თვეით, ვის?

ყოველმა მებრძოლმა კარგად იცოდა ერთი რამ: რომ მან მიიღო წითელამიერის საპატიო სახელი, რომ მან მიიღო შშრომელთაგან იარალი, საკუთარი კერის, საკუთარი ნაოფლარის დასაცავად, რომ მან საზეიმო აღთქმა დასდო, იყოს ფხიზელი დარაჯი შშრომელთა ხელისუფლებისა. „მე შშრომელი ხალხის შვილი, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ვლებულობ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრის სახელწოდებას“.

რა სიამაყით არის წარმოთქმული ეს სიტყვები ყოველი მათგანის შიერ, რა სიამაყეს ვანიცდიდა ყოველი მებრძოლი, როდესაც თავაწეული, შუბლ-გაშლილი, პირზე ლიმილმოდგარი, მთელი მსოფლიოს მუშათა და შშრომელთა გასაგონად გაიძახოდა ამ სიტყვებს:

ულიდეს ვალდებულებას ლებულობდა შშრომელთა მიმართ, ლებულობდა ხალისით, ძალდაუტანებლად, სიამაყით. რა გულის ჟანცქალით—ალტაცებით იმეორებდა: „ვალდებული ვარ მუშურ-გლეხური მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე წავიდე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დასაცავიდ ყოველგვარ საფრთხისა და თავდასხმისაგან, ყოველი მისი მტრის წინააღმდეგ და აგრეთვე სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ბრძოლაში, სოციალიზმისა და ხალხთა ძმიბის საქმისათვის არ დავიშურო არც ძალონება და არც სიცოცხლე“. და ეს სიტყვები ნათქვამი იყო მთელი გრძნობით, შშრომელი ადამიანის გულიდან ამოგლეჯილ გრძნობით.

ეს სიტყვები ჰქონდა გამჯდარი ყოველ მათგანს ბერლ-რბილში, რომ აზრა არც ერთი მათგანი ყურადღებას არ აქცევდა უამინდობას და მისი ფიქრი და

გრძნობა მხოლოდ მტერთან ხეალინდელი შეგმის ირგვლივ ტრიალებდა. განთიად მოუთმენლად ელოდა და განთიადთან ერთად მტერთან პირისპირ შეხვერრასაც, რომ იქ დაემტკიცებინა მიცემული აღთქმის ძალა, რომ იქ გამოემულანებინა თავისი სიმტკიცე და ძლიერება, უტეხი ნებისყოფა და სიმსრჯვე.

ტრიალონმა მოიარა თავისი ასეულის უბანი, შეამოწმა მოთვალთვალეთა სიფხიზე.

ატალახებულ თიხნარში ფეხები ეფლებოდა. შავრამ ეს მაინც ვერ აბრჭოლებდა დაბეჯითებით დაეთვალიერებინა მიდამო. დაბრუნდა მუხის ძირში ნაბადში გაეხვია და ფიქრს მისცა თავი.

იგი უნებლივ იყო კაპიტან ჭყადუას მიერ აფხაზეთის მშრომელთა აწიოკებისა 1918 წელს.

მაშინ ტრიალონი დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარში სამხედრო ბეგარაში იხტიდა. და ასეულის მებუკის მოვალეობას ასრულებდა.

ექვსმა წელში განვლო. მას შემდეგ და ახლაც თვალწინ უდგას ტრიალონს ნერევისა და აწიოკების სურათი. იმ წელს ჯალათ კაპიტანის ბრძანებით აფხაზეთში დიდი კოლონი დაანოეს.

გვარდიილები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ძარცვა-გლეჯაში. იტაცებდენ მშრომელთა ავლადიდებას, ოჯახებიდან სიმინდის უკანასკნელი ტაროც კი გამოჰქონდათ. ყოველ გვარდიელს ოქროს ძეწკვებზე ასემული ძვირფასი ბეჭდები გულმკერდზე ეკიდათ და ვისაც მეტი ნაძარცვი ჰქონდა, ის მეტ გმირადაც ითვლებოდა.

ვინ იცის, რამდენ ქალს, რომელსაც თითოდან ბეჭედი რომ ვერ წააძრეს, თითები გადაჭრეს.

მათ ბეჭდები უნდოდათ და რაში ენანებოდათ ადამიანის თითები? თუ ბევრს ილაპარაკებდა ბეჭდებისა და თითების პატრონი, ტყვიასაც არ დაიშურებდენ მისთვის.

ტყვია რომ ოქროს ბეჭედზე იათად ლირდა, ამის ანგარიშს ახერხებდენ.

ტყვიებში ფული ხომ არ ეხარჯებოდათ! დემოკრატიული მთაერობა უფასოდ იძლეოდა მისი ინტერესების დასაცავად, მისი ხელისუფლებისა და გამაგრებისათვის საბრძოლად.

მოაგონდა ტრიალონს კონა წკეპლები...

მშრომელთა ყველი მეთე კაცი, გაშიშვლებული ნიწაზე რომ ვართხალებდა, გმინავდა და იყლაქებოდა წკეპლების ქვეშ.

როგორ ლურჯდებოდა ზოლებად შიშველი სხეული პირველივე დაკრისაგან, შემდეგ ზოლებადვე წითლად ისერებოდა და ბოლოს კი დახეთქილა კანი, სისხლის შალრევნები და წკეპლებზე აყოლილი დაკეპილი ხორცი.

გაგრაში და გუდაუთში დაესწრო ტრიალონი, როგორ აწამეს 70—80 წლის მოხუცებულები, აშამეს საშინლად და სიკვდილის პირად მიიყვანეს, მხოლოდ ამისათვის, რომ მათი შეიცემი ლაკობასა და ექბასთან იმყოფებოდებოდა და მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ.

და ყველაფერი ეს ხდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით...

კაპიტან ჭყადუას ბრძანებით...

ე! რამდენი უარესის დამსწრე და მოწმე ყოფილა ტრიფონი. რამდენჯერ საშინელი გულის ტკივილით გასცლია იგი ამისთანა სურათებს, წასულა შორს, მინდვრად, დაწოლილა პირქვე და თითებით დაუხშია საკუთარი სმენა, რომ არ დაენახა წამების საშინელი სურათები. არ მოესმინა კვნესა და გმინვა, რომელიც განწირულ მსხვერპლა უსიტყვილ ხდებოდათ.

გული. სტკიოდა ტრიფონს, მაგრამ არ ექნა?

ის ხომ მებუკე იყო, ასეულის მებუკე... ის ხომ ჯარისკაცი იყო, უცტლებო, მონა და არა ადამიანი, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ.

იცოდა ტრიფონმა, რომ არამკითხობით თავის თავსაც განსაცდელში ჩააგდებდა და მსხვერპლსაც მდგომარეობას ვერ შეუმსუბუქებდა.

მან მხოლოდ იცოდა ერთი არა, ყოველ ბრძანებაზე ეპასუხნა:

— მესმის, ბატონო კაპიტანო! — და სწრაფად აესრულებინა.

— მებუკე — ბოკუჩავა!

— მესმის, ბატონო კაპიტანო!

— დაპერ შეკრება...

— მესმის, ბატონო კაპიტანო!

და ტრიფონიც ბუქს ტუჩებზე მიიდებდა, ლოყებს დაიბერავდა და ბუკის ჭვეული ხმით ჰაერს შეარყევდა.

თუ წამებას დაესწრობოდა, შუბლის შეჭმუხვნის უფლებაც არ ჰქონდა. ეს ხომ იმის დამადასტურებელი იქნებოდა, რომ ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა. ბოლშევიკებთან კი ანგარიშის გასწორება სულ უბრალოდ და მარტივად ხდებოდა.

მოგონებათა ბურუსიდან გამოისულ ტრიფონს მწარედ ჩაეცინა იმ უბილო და უნიათო შურისძიებაზე, რომელსაც კლასიური ბრძოლის სახით აწარმოებდენ ხაესზე დაბლაუჭებული ხელისუფალნი.

იცოდენ, რომ რევოლუციის ჩანჩქერი ამ უკანასკნელ იმედს აღზე თუ გვიან მოუწყვეტდათ და აქაფებულ მშრომელთა შურისძიების მორევში ჩააგდებდათ, მანც აღსასრულის წინ ბედსა სცდიდენ შეენარჩუნებინათ, თუმცა კი მცირე იმედით:

გათვენებამ მოატანა.

აღმოსავლეთის კარი განთიადის სრბოლაში გადაპო და შეათეთრო. ტატონაბის უკუნეთი ხაზი.

მთელი ლამის განმავლობაში დამაყრუებელმა კოიისპირულმა წვიმამ იყლო და ღრებლებმაც დასავლეთის მიმართულებით მოაწყეს დოლი.

მწვერვალებს ბურუსი შემოეხვია, მაგრამ უგულო მიღებით აიკრიფა და შორ გზას გაუდგა.

შეტორტმანდა ბუნება...

შეტორტშანდენ მებრძოლნიც...

ბრძანება შეტევისათვის ჯერ კიდევ არ იყო.

— სარდალმა უკეთ იცის...

მებრძოლთ სჯერათ სარდლის, უყვართ, პატივსა სცემენ და იციან, რომ მეტაური ამხ. ქუთათელაძე დოოს უქმაც არ დაპერგავს, წამის არ გააცდენს.

— აღბათ ჯერ კიდევ აღრეა...

ასეულებმა შიიღეს საბრძოლო ამოცანა.

ბოკუჩავას ასეულს დაევალა მარტვილიდან სალხინოს - მარცხნიდან შეცუტიოს და ილოს მიმართულება იმ გაანგარიშებით, რომ მარტვილის წინა-მდებარე მთები მარჯვნივ დასტოვოს. ეს ასეულს აძლევს იმ უპირატესობას, რომ მოწინაალმდეგეს ზურგში შემოუვლის და იქიდან დაპკრავს.

ამოცანა წამსვე ყოველ შებრძოლამდე იქნა დაყვანილი. მოისმა სათვალ-თვალო პუნქტზე მდგომ ბატარეის მეთაურის ძახილი:

— ნორმალური ჯერით, ბატარეია.... ცეცხლი!..

და აბლავლდენ ქვემეხები.

ღამის მყუდროება დარღვეულ იქნა.

კლაკნილი ხევების გამოძახილზე მებრძოლნი შეტევისათვის მოემზადენ.

— ოთხდაზნა... ჩქარი ცეცხლი... — გაისმა ბატარეის მეთაურის ხმა და ასეულები შეტევისათვის დაიძრენ.

ტრიფონი მიუძღვის თავის ასეულს, გამრვიდა ხევით, მარცხნივ გაუხვია მალლობებს, ხედავს, როგორ მოედვნენ მეზობელ რაზმეულის მებრძოლნი — მარცხნივ მშვერევალს.

მარცხნივ არავინ არის: სარდლობამ ზომები მიძღო მარცხენა ფრთის უზრუნველსაყოფად.

მებრძოლთ გაშიშვლებული თოფები, ხიშტებ წაგრძელებული, მზად აქვთ ჭამოჩენილ მტრისადმი დასახევდრად...

მოისმა კანტი-კუნტი სროლაც.

მოწინაალმდეგის მხრიდან ჩამი-ჩუმი არ ისმის.

მებრძოლნი მაინც ფრთხილად არიან, რომ უცბად არ წააწყდენ მტერს.

იციან: შეტევის დროს მცტი სიფრთხილე, წინდახედულობა და სიმარჯვეა საჭირო, ვიდრე მოგერიებისას.

იციან ეს და ფრთხილობენ.

იციან და მაინც წინ მიიწევენ.

მათ მოძრაობას ვერ აბრკოლებს ვერც გუბებად ქცეული ტალახი; ვერც დაქვეითებულ ბილიკებზე ნიაღვრისაგან დანაგროვი ქვები დასხრეში.

მებრძოლებმა იციან კარგად, რომ გლეხობას დროით უნდა შველა. ყოველ ჭუთს ელიან მოწინაალმდეგის გამოჩენას.

დასეველებულ ტანისამოსისაგან და მოძრაობაში ახტრებულ ტანით გამოყოფილ სითბოსაგან ოშეივარი ასდით.

მაინც წინ ძიიწევენ,,

თვალებით დაექცენ მტრის მოწინავე რაზმებს.

საეჭვოდ მიაჩინათ მოწინაალმდეგის დუმილი და გაუჩინრება.

— სად ჯანდაბაში არიან ი, ვერნები... „უჩინ-მაჩინის“ ქუდები ხომ არა ხურავთ!... — ფიქრობს მებრძოლი ქიტა. ამ არე-მიდამოს უცნობი სტუმარი.

— ამხანაგო პოლიტექნიკ, ნეტავი-თუ მალე წავაწყდებით, რომ ენახო ერთი, რა გულის პატრონი ვაჟკაცებიც არიან... — ველარ ითმენს ქიტა.

— წყნარად ამხანაგო, ალბათ მივაგწებთ! — მოკლედ უპასუხებს პოლიტექნიკის ბოკუჩავა და განაგრძობს:

— ჩვენი ამოცანაა ზურგში შემოუაროთ მტერს და გასაჭურვი გზა მოვუკრათ... .

— მე კი სულ სხვა მგონია, ამხანაგო პოლიტელო..

— სხვა გვონია? — მხრები აიჩენა პოლიტელმა.

— მტერი არც ისეთი სულელია, როგორც ჩვენ გვგონია. — მიამიტად წარმოსთქვა ქიტამ.

— როგორ? — გაიკვირვა ტრიფონმა.

— როგორა და ძველებს უთქვამთ: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“...

მამაჩემმა კი ცის ხოლმე: „ქოფაკი ძალი მაშინ არის ყოჩალი და ამაყად იყე-  
ფება, როდესაც ჯოხს ვერსად ხედავს, თორემ თუ ჯოხს თვალი მოჰკრა, კუდ-  
ამოიძუებს და საბეჭდს მრაშურებსო“.

ტრიფონს ამ სატყვებზე ჩაეცინა.

— შენ გვონია, რომ მტერი გაიპარებოდა?

შეელიმილა ტრიფონი და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა:

— ცის რა, ადვილი შესაძლებელია, რომ იმ უიარალო გლეხებთან ცაუკა-  
ცებმა, მართლა, მამიშენის ნათქვამ ქოუაკივით ამოიძუეს კუდი.

ქიტა მართალი იყო.

მოწინაალმდეკენ უფრო „ჭკვიანები“ აღმოჩდენ, ვიდრე სარდლობას და  
მებრძოლთ ეგონათ.

როგორც კი შეიტყვეს, რომ მათი ავანტიურა ისეთივე უდლეო და უბადრუკი  
იყო, როგორც მათი ლანარჩენი თინები; როგორც კი გაიგეს, რომ რევოლუციონურ-  
მა ხელისუფლებამ მათ დასასჯელად წითელი არმას ნაწილი გამოგზავნა, აიკი-  
დეს გუდა-ნაბადი და უკან არც კი მოუხედიათ, ისე მიაშურეს სვანეთის მთებს.  
ხელახლად დაირაზმა ღრუბელთ ლაშქარი.

ხელახლა წამოუშინა წვიმამ.

მოძრაობა გაძნელდა. არმიელების მაზარები ხელახლად გაიულენთა წყლით  
და მხრებზე სიმძიმედ დააწვათ.

მებრძოლნი კი ყურადღებას არ აქცევდენ და მაინც წინ მიიწევდენ.

ისე ეწვიათ საღამო, რომ არც კი გაუგიათ.

ჩამობნელდა.

ლამის ათ საათზე რაზმი ისე შევიდა სალხინოში, რომ მოწინაალმდებე  
თვალით არ უნახავთ.

დაბანაკდენ მებრძოლნი. აიკვამლა საველე სამხარეულოები. მებრძოლებმა  
მონახეს. მიჩენილი ბინები. ეზოებში დაინთო ცეცხლი და მებრძოლნიც ტანისა-  
მოსის შრობას შეუდგენ ფარდულებში.

დატრიალდა რაზმის პოლიტაპარატი.

კლუბმა გახსნა თავისი აგიტორთვალა.

მებრძოლებმა მიიღეს გაზეთები და ცეცხლთან შემოხვეულები შეუდგენ  
ახალ ამბების ხმამალლა კითხვას. აღგილობრივი მოსახლეობა მებრძოლთ  
ჯგუფებს შეერია და ებაასება.

მებრძოლი ქიტაც გართულია მეგრელ გლეხთან საუბარში.

— დამია, დეილრლე ხომ? — ეკითხება ადგილობრივი, გლეხი ქიტას.

— რამ დამლალა, ყურთუების ბალიშებზე კი არა ვარ გაზრდილი. მე ქიტა  
ყელი მეცხვარის შეილივარ. მეც მეცხვარევარ. ორივენი მეცხვარები შართ, მაშა

— მეცხვარე? ალბათ ბევრი გეყოლებათ ცხვრები, — გაიკირვა ადგილობრივმა.

— გაგიგონია! აბა, ვინ მოგვაშავებდა, ჩოდესაც სხვათა მოჯამაგირობაში ამოგვდიოდა სული.

ადგილობრივ გლეხს ახალისებდა ქიტას ლაპარაკის კილო. და ეკითხებოდა მისთვის უცნობი კუთხის ამბებს.

— აბა, ბოგანო და ლარიბი გლეხი რომ არ ვდყო, აქ რა მინდა... ან წითელარმიას ვინ გამაჟარებდა, ან თავს რაზე გავიუხელებდი, რომ ტყვიისათვის გული მიმეშვირა, თუ გული არ შემტკიოდა შშრომელი ხალხისათვის?

ეს სიტყვები გასაგები იყო მეგრელი გლეხისათვის. ამ თრიოდე სიტყვით მეგრელმა გლეხმა გაუგო კახელ გლეხის შეიღლს. გულმა გული იცნო. განაის, მეგრელი გლეხი, იმავე ხალხისით არ წავა ქიზიყში, მშრომელთა მტრების საწინააღმდეგო ბრძოლაში, თუ კი ეს საჭირო შეიქნება?

წავა, თავს დასდებს და სახელს კი არ შეირცხვენს.

წავა, მტერს თავს შეაკლავს და მონობის ულელში კი არ გააყოფინებს. თავს ლარიბასა და წარსულ ცხოვრებისაგან ტანჯვა-ვაება გამონაცადს:

ადგილობრივი გლეხობისათვის ცხადი შეიქმნა „არა მკითხე ჭირისუფლების“ ავანტიურის შინაარსი.

ადგილობრივმა ლარიბმა მოსახლეობამ, ავანტიურისტების რამდენიმე დღის ბატონობის განმავლობაში საკმაო სუსხი განიცადეს და ახლა მებრძოლთა საუბარი მათთან აღარ იყო თხალი. ამაზე თვით ავანტიურისტების „საგმირო საჭმები“ მჭვერმეტყველურად ლალადებდა. ამიტომ იყო, რომ ყოველმა შათგანმა წითელ მებრძოლთა სოფელში შესვლისთანავე შესახეს:

„გოუშარძვას ჩეინი მარსხებელი ჭითა არმიას...“

ავანტიურისტებმა დასტოვეს სახელდახელოდ დაწერილი და სოფლის საჭმოს კარჩეს გამოკრული ბრძანება, რომ „ყველა მიწები დაუბრუნდეს რმ მეპატრონებს, რომელიც ფლობდენ საქართველოს გასაბჭოებამდე.“

გადახდეთ გლეხებს მიწების მესაკუთრეთა სასარგებლოდ გადასაზადები 1921 წლიდან 1924 წლამდე,

გადახდეს გლეხებს საეკლესიო გადასახადები სამლელელოების სასარგებლოდ 1921 წლიდან 1924 წლამდე.

მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი დაუბრუნდეთ ყოფილ შემამულშებებს და მესაკუთრეებს, რომელიც კი იქმნა ჩამორთმეული გასაბჭოების დღიდან...

და სხვა მრავალი ასეთი „მარგალიტები.“

მათ კიდევ დასტოვეს სახსოვარი: კედლებზე თავიანთი ბელადების სურათები და ლენინისა და სტალინის სურათების კუთხეში მიყრილი ნახევები.

ასე იძიეს შური ბოლშევიკებზე.

არა, კიდევ დარჩათ დანატოვარი.

ადგილობრივი საპატიმრო, დაპატიმრებულ კომუნისტებით საკსე.

— ამხ. ბოკუჩავე! — წაიყვანეთ არამდენიმე მებრძოლი და ციხიდან პატიმრები გაათავისუფლეთ. — მიიღო ტრიფონხმა რაზმის კომისრეს ამხ. გარამიძის ბრძანება.

— აბა, ჩემი ქიტა, წავიდეთ... — გადასძახა მან საუბარში გართულ ქიტას.

ქიტა იმ წუთსავე წამოდგა და შაშხანას ხელი წამოავლო.

საპატიმროში ტევა არ იყო.

ამხ. ბოკუჩავას განკარგულებით გაიღო საპატიმროს კარები.

ტრიფონ ბოკუჩავა კარებში იჯგა და მომლიმარე სახით სალამს აძლევდა პატიმრებს.

ტრიფონი უცბად შეკრთა.

პატიმართა შორის მან თვალი მოჰკრა საშუალო ტანის ჭარმაგ ჭალარს.

„ეს ხომ იასონ დოლბაია“ — გაუელვა თავში ტრიფონს.

დიალ, ეს მოხუცი, ძველი ბოლშევიკი, იასონ დოლბაია იყო, ფოთის ნაეთ-სადგურის მუშა — უჯრედის ორგანიზატორი, რომელმაც პირველმა მიალებინა ტრიფონს კომუნისტური ნათლობა, პირველმა შეიყვანა იგი პარტიის რიგებში.

— ამხ. იასონ! თქვენ, აქ... — ძლიერ მოხერხა ტრიფონმა. მოხუცს თვალები გაუბრწყინდა თავისი „ნათლულის“ დანახვაზე და გადაეხვია.

ოცდახუთი წლის განმავლობაში პირველად შივიდა იასონი სოჭლად და ახლაც ავანტურისტებს წააწყდა, რომელთაც საპატიმროს ბნელ საკანში უკრეს თავი.

მასწავლებლის და მოწაფის შეხვედრა იმდენად მოულოდნებლი იყო ამ უცნაურ პირობებში, რომ პირველ ხანებში ერთმანეთს ძლიერ გამოჰკითხეს ერთ-მანეთის ავკარგი.

მეორე დღე უფრო პირქუში აღმოჩნდა.

თითქოს აღარ აპირებდა წვიმის გადაღებას; მაგრამ ეს ჭარნუ უშლი-და მებრძოლთ და ადგილობრივ გლეხებს ურთიერთ შეხვედრას და საუბარს.

გლეხები მებრძოლებს გაბრწყინებული თვალებით წვდებოდენ, სიყვარუ-ლით სავსე გულით აცილებდენ.

— თქვა ქუგაღლიერ ბოშეფი. — არა ერთს წამოუძახნია მათ დანაშვაზე დილით აღრე რაზმის შტაბში მოხუცებული ქალი მოიყვანეს. ქალს ლოყები ჰქონდა დაკაწრული.

ტრიფონმა იცნო ადგილობრივი აზნაური კულაკის გუშუნაფას ცოლა.

ქალი გაფითხებული კარებთან იდგა და თვალებს აცეცებდა.

— რატომ გაქვთ ჩამოქაწრული სახე? — შეეკითხა ტრიფონი.

— რა ვენა, შეილო, სახლში მე და ჩემი რძალი-და ვართ. ქმარი და შეიძლ დაპატიმრებული მყავს. წუხელის წიიყვანეს. შემეშინდა თქვენს: „სალტათებს“ ჩემი რძალი არ გაეუპატიურებინათ და ლრიალსა და ხელისა მოყენე.

— მერე?.. — შეეკითხა ტრიფონი.

— თქვენი „სალტათების“ არ გვანებიერ ნიკოლოზის და მეწევვიკერის „სალტა-თებს“. მართალია, ბინა გაჩხრიეს, მაგრამ, როგორც კი მორჩენ საქმეს, ზრდი-ლობიანად გამოვემშეიღობენ და ხელიც არ უხლიათ არაფრისამვეს, ისე და-გვშორდენ.

ტრიფონს ლიმილი მოხუცი მოხუცი ქალის ლაპარაკზე;

საბჭოთა „სალტათების“ თავდაჭრილები აღმოჩნდენ.

— მოხუცი, ჩენ „სალდათები“ არა გვყავს. ჩენმა ბიჭებმა თუ არაფერი ჩაიღინეს უმართებულო, ეს იმისათვის, რომ ისინი წითელარმიელებია და არა „სალდათები“.

ეს ორიოდე სიტყვა წითელარმიელებისა და სალდათების განსხვავებაზე, ალბათ გასაგები შეიქნა მოხუცი ქალისათვის.

უფრო დამადასტურებელი კი თვით წითელარმიელთა მოქმედება იყო, რომელთაც ზეობის უმაღლესი გრძნობები გამოამჟღავნეს კლასიურ მტრის ოჯანის მიმართაც კი.

— ამს. ბოკუჩავა, პატიმრები გთხოვენ ერთ წამს... — მოესმა ტრიფონს.

ტრიფონი შემობრუნდა და წასვლა დააპირა, რომ ამ დროს მოხუცი გუგუნვა მკლავზე დაებლაუჭა.

ქალს თვალები უბრჩინავდა.

— შეილო, ბოკუჩავა ბრძანდებით... შეილი ხომ არ ხართ ფოთის მცხოვრებ ისიდორე ბოკუჩავასი... ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეკითხებოდა მოხუცი ტრიფონს.

— დიალ, ისიდორეს შვილი ვარ... — უპასუხა ტრიფონმა.

— ისიდორე ხომ ჩემი მოყვარეა!..

— რა გინდათ მაგითი მითხრათ?

ტრიფონის სმ ოფიციალურ კილოზე ქალი დაიბნა, თვალებზე ცრემლები მოადგა და ძლივს წაილულლულა:

— განა შენ დააპატიმრე შენი ძმა და ბიძა — ჩემი შვილი და ქმარი, განა შენ დასჯი მათ?

ტრიფონი შემოტრიალდა, ჩააცქერდა მოხუცს და დაბეჯითებით უთხრა:

— არა, ჩემო კეთილო, მე მათ არც ვაპატიმრებ და არც ვსჯი. მათ აპატიმრებს და სჯის რევოლუციონური კანონი, თავიანთი მოქმედებისათვის. მათ მშრომელი კლასი აპატიმრებს და სჯის ჩემი და ჩემისთანების საშუალებით, ბიძა კი არა, მამაც რომ იყოს, თუ კი იგი მტრადგადაექცევა რევოლუციას და მშრომელ ხალხს, ჩემგან დანდობას ვერ ნახავს... თვით მე არ ვიქნები დასანდობი, თუ რევოლუციის მტერი დავინდე. ჩენი მშობლები და ნათესავები ყველა ის მშრომელებია, რომელნიც ჩვენთან არიან ბრძოლისა და მშენებლობის დროს. და არა ჩენ მოწინააღმდეგი ბანაკში მოკალათებულნი. მათ, კი დევ ვიმეორებ, თავიანთი საქმე და საქციელი სჯის.

ქალი გულმოდგინეთ უსმენდა ტრიფონს, იგრძნო, რომ ტრიფონი მართალი იყო და ამოიოხრა.

— მართალი ხარ, შეილო! მათ თავიანთი საქმე სჯის, თავიანთი საქმე. მართალი რექ, სქუა, მართალი!

ცრემლები წასკდა და შტაბიდან გავიდა ტირიფით. ქარებთან გაჩერდა და ამოიოხრა:

— მაგრამ ჩენ რაღა გვეშველება?

ტრიფონმა კი პასუხად ეს მოახერხა:

— რევოლუცია მუდამ მართალი იყო და არის.

## თებერვლის ალიონი მინდვრად

სოფ. ისულას  
კოლმეურნებს.

გადაიძირა, სილრმეში მიწვა  
არიურაუებით ფერმერთალი ღამე  
და ტანგადაშლილ კოლხეთის მიწას  
გადაელვარა ღლის სითამამე.  
დაეტყო მინდვრებს — მზიდან ნუგეშის  
სითბო ზეციდან გამონათალი,  
და ძლივს ყვინთაობს მცურავ ლრუბლებში /  
ამხურვალებით მქვდარი ზამთარი.  
გაცემერი სივრცეს... და წლებით ნაჩარდ  
ხსოვნაში დგება ფიქრთა ღარებად,  
რომ ფერის შეცვლაც იცის ანაზღად  
კოლხეთში ადრე გამოდარებამ.  
...მინდვრად კი ისევ მზის დარს ელიან  
თვალდაგეშილნი ტემპის ალებით.  
დღეს მათოვის მეტად სანატრელია,  
მზით გალვივება აქ ტრამალების.  
გმირულ შრომაში ტემპიც ჩაეშვა  
და ცეცხლი ჩადგა ზეცის თვალებად.  
მქერდ გადაწოლილ მინდორს ფარეშად  
დაეცა მცურვარ მზის მხურვალება.  
და გაშლილ ველზე შრომის ღადარი  
ააციალეს ცეცხლის რგოლებად,  
უნდათ, რომ დღეთა წვის ნადალარი  
მოგავდეს წლების გადმოგორებას.

\* \* \*

რა კარგი არის — დათბა მიღამო,  
ჩადგა ყანებში ტემპის მარულა, —  
რომ სინოყივრემ გამოიდაროს,  
აქ შრომა ცეცხლად გადმოგორულა.

და მოკიაფე კუნთი გმირების  
 გარჯას აკვესებს შრომის ალებად,  
 სურთ აყვავილდეს ნაბოგირებიც,  
 ვით ახალი მზის აელვარება.  
 ბელტავენ ველებს ტემპის ანთებით,—  
 მინდვრებს ნაყოფის მზე ეხურება.  
 რჩება თებერვალს დრო, საათები  
 ალის გრიგალის ნაფეხურებად...  
 და რკინის გმირი კბილებ დახრილი;  
 მიწას მიარღვევს, სივრცეს აყრუებს,—  
 რომ გაზაფხულის ამოძახილის  
 ჩრდილი დაადგეს საუკუნეებს.

16 თებერვალი.

## შ ა ქ ი რ

მატარებელი შორდება ბათომს,  
 გვიხდება დილით გვირაბის გავლა!  
 მზე აელვარებს ბარცხანის მალლობს.  
 და ზლვის ნაპირზე ტუნგოს და პალმას:  
 აჭარისტანის ხალისი მომაქვს,  
 როგორც მეგობრის თბილი ამბორი,  
 რა კარგია და რა მშვენიერი  
 ეგ. ორიოდე წუთი მგზავრობის.  
 შაქირ, მიყვები მილწევის ამბებს,  
 თვალწინ რომ გიძევს უდიდეს განძად.  
 დაგაჯილდოვეს დეკემბრის დამლევს  
 და ბარაქიანს ატარებ ზამთარს.  
 ორთა-ბათომის ბიჭი ფუხარა,  
 გიწოდეს, მახსოვს იყავი ბაეშეი,  
 რამდენჯერ გულმაც გადიმქუხარა  
 გრძნობებისა და განცდების ზლვაში.  
 კომქავშირული მოგაქვს მხნეობა,  
 გაზაფხულივით თბილი და სავსე.  
 იქ, საღ კოლხიდის მეურნეობას  
 ციტრუსოვანი ბალები ავსებს.  
 გაგიხარია, ქედებს უმლერი,  
 შუბლს არ გიმოსაეს ფიქრთა ლარები.  
 მოვა ზაფხული და სასურველი.  
 გულს გაგიხარებს ლურჯი ყანები.  
 აი, შორს, გალმა, მოხაზა თვალმა  
 მწვანე კონცხი და ზლვიანი სიერცე,  
 შაქირ, შენ ახლა სადგურზე ჩახვალ  
 და შინ დედასაც სიხარულს მისცემ.  
 მშვენიერია მგზავრობა შენთან,  
 ქიდევ შეკხდავ ფშანებს და მალლობს,  
 აჭარისტანის ხალისი მომაქვს  
 და ახლა გული არაფერს ნალელობს...

ფ რ უ ნ ზ ე ლ ი

ქარი აკვნესებს ბნელ ღამეში სადღაც საზანდარს,  
 ვდგევარ შაშხანით. მაგონდება ბრძოლა განვლილი,  
 ახლა საბჭოთა მშენებლობას უდგას დარაჯად  
 აზეირთებული სტიქიონი გმირულ არმიის.  
 რომანტიულად გაესცერ მთებს და გული ხალისობს,  
 მშობელი ქვეყნის დარაჯად რომ გამოვიზარდე,  
 მშვიდობა მიყვარს ქვეყანაზე სამარადისო  
 და ქარტეხილში თავგანწირვა კომუნიზმამდე.  
 და თუ ჩვენს მიმართ, მიმართული ომი იქნება,  
 საბჭოთა შხარეს თუ ბნელ ზეწრად გადაეფარეს,  
 ჩვენი შაშხანაც მაშინ გმირად გარდაიქმნება,  
 რომ დაანთხიოს ყაჩალების სისხლი მჩქეფარე.  
 სუ... ეს რა ზმაა... საიდან მოდის ჰანგი წკრიალა,  
 ალბად ბანკად ბიჭები თუ გაიმლერიან,  
 აგერ ვარსკვლავმაც ჰორიზონტზე გაიბრიალა,  
 ალბად ჩვენებიც ჯკვი მალე აიშლებიან.  
 დუმს არე-მარე და ყურს ესმის ომის ჰანგები,  
 ღამე კანკალებს და შემიპყრო ძველმა ოცნებამ;  
 აგერ ფრონტებზე მოილტვიან ამხანაგები  
 და ჩემს ხსოვნაში ბრძოლის ფრონტი ისევ ცოცხლდება.  
 მახსოვს ეს წუთი და წარსული ჩემში ახლდება,  
 აგერ დაჭრილი ჩემქენ მოდის თვალებდათხრილი,  
 ტყვია ზუის და სასაკლაოს ნისლი აღგება,  
 მოაქვს საკაცე და მოსცურავს შავი მარხილი...  
 ისევ ღამეა... ამოგორდა მთვარე მთებიდან,  
 გასცერს მდუმარე ბრძოლის ერლზე დაჭრილ იარებს,  
 კიდევ რამდენი წარიშალა მოგონებიდან  
 დღენი, რომლებიც ბრძოლის ცეცხლში გამოვიარეთ-  
 თვალებს ვახელ და სიყვარულით ვუცერ ფარაჯას,  
 განვლილ ბრძოლებში გამოწროთობილ ძეირფას ამხანაგს,  
 და დიად ხუთწლედს შეკრდით ვიცავ სადარაჯოზე,  
 რომ სიხარულით მეტყველებდეს ჩემი შაშხანაც.

ვხედავ... თენდება. გარიურავმა ამოანათა,  
 ვისმენ ველიდან მხედრულ განგაშს, მებრძოლთა ხმაურს,  
 ბრძოლის უნარი ნამბოხარ გულმა გამართა,  
 ძმური სალამით, გამარჯვებას ვეტყვი მეთაურს.  
 ვამბობ ხალისით და ბანაკში მივეშურები,  
 თვალებს ანთებულს აღფრთოვნების განცდა ედება,  
 კვლავ ვწმენდ შაშხანას, ვაზნას ვაწყობ მკვეთრს და გაბასრულს,  
 რომ მანევრებზე შევასრულო მძლავრი შეტევა.  
 მიგალ ბანაკად, ენტუზიაზმს მიაქვს წუთები,  
 არმიელები პოლიტხელის სიტყვას ელიან,  
 ჩემს დანახვაზე აელვარდა გამძლე კუნთები,  
 ჩემი შაშხანაც ხომ პირველი არმიელია.  
 სჭექდა ყაზარმა და ხარობდა ასეულები,  
 მეც საბჭოეთის ხომ დამცველი გმირი გახლავარ,  
 კელავ ფეთქს დამკერელთა მოგუგუნე გამძლე გულები,  
 ზუსტი მიზანით, ბრძოლებისთვის მუდამ მზადა ვართ,  
 ვაშა, სალამი, ფოლადოვან წითელ გუშაგებს,  
 ერთხმად ედება სიხარული წითელ ყაზარმას,  
 არმიელები დაძაბული მუშტებს კუმშავენ  
 და ულიმიან ბრძოლის ცეცხლში ნაწრობ მაზარას.  
 უკვე დალამდა... სადარაჯოს თავზე დავსცერი,  
 ველზე ნისლები ეფინება მხარეს მთებიანს,  
 სოციალისტურ მშენებლობის ჯარისკაცები  
 ბრძოლის ახალი თვისებებით ვაჟკაცდებიან...

ქ. ტფილისი 1933 წ.

## ՏՅԱԲԵՐՈՂ ՑՔԸ

Ցէց դասավլետուտ գաճանեարա  
 Ըս սենցո սբյոռնըն նաքրալս օլյթիլս,  
 Մոյեթմա լրաշների գաճակարա .  
 Ըս տյտր կոմյեթմուտ մոհանս սցանետո!..  
 Գաճմությեթման, կլայեն հիճուլուզուտ,  
 Կայուժա Շյրաշյըս ցայզըս քածանո,  
 Օսմուս մշշատա Մրոմիւս պոյյոնո  
 Ըս օնքուսիրուս Ֆոմնո ածալո.  
 Կոմյավմուրելնո կլայեթմ Շեմմուն,  
 Օսմուս ցշացնո ածալո հումուտ,  
 Ցէց գաճմոյենճա նաքրալեթմուն  
 Ըս ցաճարեյյա մենահո նուլո!  
 Օյշնեթմա մոյեթմ մերեթշեթերելուն,  
 Ռոմ ցիա ցայեթլուս այժմոմծուլուս,  
 Շլոյս օմյարելուս տցուտոն „ծեթյուլո“—  
 Ըս սուշեչութրուս ցուշելուտ Շոծուլո.  
 Շլոյս ցիա կյտլեթմա, եմայրոմն ցուլո,  
 Ցիա.—Շեմմոմթանո մտաժո եռլութեթմուս,  
 Ցովիրո եյցուդան լմոյս ցնցուրո  
 Ըս կլայեթմ ասկլեթմա ցածորությեթմուտ!..  
 Կոմյունութմուս ցիուտ, ցիա Շյըա մոյեթմո,  
 Կուլություրուս սենցեթմ կոմյեթմ մոացրյեցուս,  
 Ցարյեթմ սոմնուլոյս կլայեթմ և լրաշո—  
 Ըս մտուս կեռցրյեթմաս մուսպամիս սոաթլուս!..  
 Ցարյությեթմ ըարո հլունցո եթալուսա,  
 Ահ այայբյութմ կոմյուտ քունուրուս,  
 „մտուդան պայուրուլո ցայտս եարուսա“  
 Ցիաս սութմութմ լոյթեթմ օնքուսիրուս,

## კრიმუნარები

დავდიგართ გარუჯულ კუნთოვან მკერდებით  
და დაგვაქვს ხალისი მხურვალე მზის,  
დღეს შრომა ბატონობს და ალარ პატონობს—  
ვინც უქმად ალამებს, ვინც უქმად ზის.

ვრცელ მინდვრებს ახარებს ტრაქტორის გრიალი,  
ბნელ ლანდებს აშინებს ტრაქტორის ხმა,  
დღეს უკვე მანქანით ლადრავენ მიწის გულს,  
ისპობა გუთნით და ხარებით ხვნა.

დავდიგართ გარუჯულ კუნთოვან მკერდებით  
და დაგვაქვს ხალისი მხურვალე მზის,  
და დავალთ დამკვრელი ტემპების ხმაურით,,  
ლენინის ღროშით და ლენინის გზით.

## მ ე მ ა ნ ძ ა ნ ე

შენს მატარებელს არ სჭირდება ლოკომოტივი,  
 და მიაქანებურიცხვ მგზავრებს ნიავქარივით,  
 დაჭიმულ ძარღვში მაზუთივით სისხლი მოტირის,  
 ბორბლის ხმაური—სიმღერაა მღელვარე ქნარის.  
 ეგ ვაგონებიც ჭრიალებენ, მიგაქანებენ,  
 და სადგურიდან სიმღერებით გადავლენ ისრებს,  
 დაუღალავად ეგ ბორბლებიც მიქაქანებენ,  
 აგრაგანებულ ფოლადის შძლავრ სიმღერას ისმენ.  
 სად ჭიათურის მიდამოა შებურვილივით,  
 გადმომზირალი ციცაბოდან ქვებიც გიცინის,  
 სად მარგანეცის გული გრგვინავს შძლავრ ქუხილივით  
 კლდენიც სკდებიან გულზეიადი ჰაუბიცივით.  
 შეხვალ მტევერში და გამხნევდება სიმაგრე მუხლის,  
 დაიტვირთება ელმავალი შავი ლოდებით,  
 უცქერ მანქანას, უსმენ მთების ატეხილ ქუხილს,  
 და მქუხარება გულში უწყვეტ ხალისს მოდენის.  
 შენ, ჭიათურავ, შეჭომართე მჟკრდი მაგარი  
 და ისევ მთები აგრიალე ჰაუბიცივით,  
 შენ, მემანქანევ, კვლავ მანქანა ააგრაგანე,  
 ეშხით დამთვრალი ელექტრონის მზე რომ გიცინის,

## ორი ხევსური

1.

იღგა ხევსური თმათეთრი თოთა  
 და შრიალებდენ ჩუმად ხეები,  
 მლვრიე მდინარის ტანივით შფოთდა,  
 როცა მანქანის ესმოდა ხმები.  
 ჩიბუხის ბოლი ნისლად ეხვია,  
 წიოდა ქარი ხის ორუ დეროდან,  
 ის ძველის გრძნობის ეშხს შეერხია  
 და ჩუმად რალაც სევდით მლეროდა!  
 და ერთხელ, როცა შესაღამოვდა,  
 როცა სიჩუმე გადაწვა მთაზე,  
 სოფლად უშიშა სიტყვას ამბობდა —  
 ახალ ყოფაზე და მანქანაზე:  
 — დროა გავწყვიტოთ ხავსებთან ძმობა  
 და მოვიცილოთ ეს შმორი ტყავის,  
 შემოვისახლოთ ახალის გრძნობა  
 და არ შევუშვათ სულში ხმა ავი.  
 ურჩევდა თოთას: — ნება გახედნე,  
 მიეც გონებას მისი სადავე,  
 ახალყოფის მზეს სწორად გახედე  
 და წარსულის ხმა ამოათავე.

2.

განვლო სამ წელმა. გონივრულ ნებას  
 დღეს მიყავს თოთა გზაზე უშიშრად,  
 ახალ ყოფის ხმით ისე იგზნება,  
 თითქოს თვითონვე იყოს უშიშა.  
 დაიწყო თემმა სხვა ფრთების შესხმა,  
 სადაც დროს მიმართ ვაშამ იქუხა;  
 თოთამაც ეს ხმა ლუდივით შესვა  
 და გაიშალა ტანმკვრივი მუხა.

## დაგპვრელი მაღაროელი

მიატოვე სოფელი,  
 მაღაროსკენ ასწიე,  
 და წარსული ჩააღრჩვე  
 ახალ საქმის ნდობაში,  
 შრომის დონე საგრძნობლად,  
 აამაღლე, ასწიე,  
 პარველობა აიღე  
 ზიღვის დამკერელობაში,  
 სოფელს გამოეჭეცი,  
 მაღაროში მუშაობ,  
 მკლავები გაქვს ფოლადის  
 და მყერდი კირვალისა,  
 ქვანახშირი გაცოცხლებს,  
 ცხოვრობ და გიხარია,  
 ქვანახშირი თავდები  
 ტკბილი მომავალისა.  
 მუშაობ და მუშაობ  
 ქვანახშირის გეგმებზე.  
 ეს გვირაბი გულია  
 ახალ გამარჯვებისა;  
 მთა-გორები ინგრევა  
 ხმაურია — ხმაური,  
 ასაფეთქი მასალის  
 ძლიერ დინამიტისა,  
 დაჟა კირქა, სატეხი,  
 მკლავი აამუშავე,  
 ბრიგადირი ვაგონებს  
 წითელ ფრთებზე მოები,  
 გაგვაგონე გუგუნი.  
 ალის ფერად შელებე  
 ქვანახშირის სამეფო,  
 ბნელი მაღაროები.

შორს აქედან, სოფელში  
 კოლექტივი შეიჭრა,  
 და ტრაქტორმა გადახნა  
 ველი, მდელო, ხეობა;  
 იბრძვის, იბრძვის, ბრიგადა  
 კოლექტიურ ყანებში  
 და გამდიდრდა, გალალდა  
 სოფლის მოსახლეობა.  
 შენ არ სტოვებ მაღაროს,  
 თუმცა გზები ხსნილია,  
 არის რუგორც ზეიში  
 ყვავილებით ნაგები;  
 შენ არ სტოვებ მაღაროს,  
 არ მიღინარ სოფელში,  
 სადაც ლალად იბრძვიან  
 ძველი ჩმხანაგები.  
 ხარ ბრძოლაში ძლიერი,  
 გეგმებს ასე ასრულებ,  
 და ყოველდღე მზესავით  
 გამარჯვებას მოელი;  
 მაღალ მთიდან მზირალი  
 ამაყი და უდრეკი...  
 მომავალი — სახეა  
 დამკურელ მაღაროელის.

## ზ ა მ თ ა რ ი

ლამეს ანათებს ზეცა კაშკაშა,  
ყინგას დაუწვავს ბალნარში მოლი  
და შენობები თითქო აღარ ჩანს,  
ქალაქებს ჰეროვანს ქარხნების ბოლი.

ქარი ზუზუნით აყრუებს ქუჩებს—  
და აჭრიალებს სვეტებს და-ფანჯრებს,  
მებრძოლი უძლებს სიცივეს უწევეს,  
სიმტკიცით აღგამს ნაბიჯებს მარჯველ.

დე, ქარიშხალმა დაბუროს ზეცა,  
ფანჯრის მინები სკდებოდენ ყინვით,  
— ალმშენებლობით ქვეყანას შევსძრავთ,  
რომ დავამყაროთ შვება და ლხინი.

დე, უღიმოდეს ვარსკვლავთა კრიალს  
ჩამწკრივებული ელექტრო-ქარვა,  
და ვერ გაუძლოს მანქანის გრიალს  
ზღვისავით მშფოთავ ძლიერმა ქარმა.

ზამთარია და მთვარე აღარ ჩანს,  
ქალაქს აშავებს ქარხნების ბოლი,  
ლამეს ანათებს ზეცა კაშკაშა,  
მთებს აქრიალებს ყინვა და თოვლი.

## კოლეგიურნი გლეხის ქალი თამრო.

(ნარკვევი)

ყაჩიანი კარგად ცხოვრობდენ, ვიდრე ოთხი ძმა, ოჯახის ბუჭჭები, გა-  
თავთავებოდენ.

მაგრამ ძმებში მაჟუ შულლი ჩამოვარდა, თითოეული ძმა ძირმომპალ ჭო-  
ძიებით განშე გადაიხარა და ზედ შედგმული შენობა დაირღვა. ოჯახი ოთხად განა-  
წილდა.

ქარუმა ყველაზე უფროსი იყო ძმებში, მაგრამ უჩუმარი და უწყინარი  
ადამიანი, ყველა ძმებზე უფრო ცუდი საწილობელი შეხვდა, თუმცა არც სხვა  
ძმებს რგებიათ სახარბიელო ხვედრი.

უდელი ხარი, ერთი ფუდა-ცხენი და ერთიც ჩალური ქოხი, აი მთელი  
ავლადიდება ქარუმასი.

ქოხი მარტის ჰყაპში გარეთ დარჩენილ გალვერილ ცხვარს გავდა. ისე  
ატანდა შიგ წყალი მის ძველ გაცვეთილ ჩალას, რომ გარეთ ცა რომ საწვიმ-  
რად მოემზადებოდა, ქოხში უკვე წვიმდა.

ქარუმას ჯაგლაგი ცხენი მგელმა მოაშორა შესანახად. ქოხი დაკეტა ქარუ-  
მამ და თავის ორი ხარით მოჯამაგირედ დადგა მეზობელ შეძლებულ გლეხთან,  
მიტო ფირაშვილთან.

თამრო რომ მოიყვანა ოჯახში, ქარუმას ეგონა, მოჯამაგირეობას თავს  
დავალწევო, მაგრამ უფრო ძლიერ მიეჯაჭვა აბეზარ „ხაზეინს“. „ცოლსა დიდი  
ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო“—ნათქვამია, ქარუმას კი თავისი არც ცომი  
ჰქონდა და მითუმეტეს, არც „ასი ლიტრა საფანელი“. სად იშოვნილა... ისევ:  
მოჯამაგირეობით.

ერთხელ სცადა სხვაგან ეძია სამუშაო, ქალაქ ადგილს, მაგრამ დამარცხდა,  
ცერ იშოვა, ისევ სოფელს დაუბრუნდა და მოჯამაგირეობა განაგრძო. მიტო  
ფირაშვილთან.

მიტო ფირაშვილი დაბალი, მსუქანი, ჩამრგვალებული, სოფლის მოთავე  
იყო. ის მეტისმეტი მოხერხებული, პურძარილიანი და ჰქუამახვილი ადამიანი  
გახლდათ. მაგრამ კაბიკა არ დახარჯავდა ისე, თუ ის მის მიზანს—მეტის შეძენას,  
სახელის გაზრდას, არ ემსახურებოდა.

ქარუმას კვიმატ სიტყვებს ესროდა, მთელი დღედალამე ამუშავებდა და  
ჩქვე ლარიბ ქოხში მცხოვრებ ცოლთან არ უშვებდა:

— ცოლთან რო წვები, მუშაობაში არაქათი გმეარგება, ჰქუა და გონება  
ამისკენ გაქვს და კარგად ველარ მუშაობო—ეუბნებოდა სიცილით ქარუმას:

ქართველი უჩუბარი, გაპარული კაცი იყო. მიტოს სიტყვის არ უბრუნებდა და ისე განუწყვეტლად მუშაობდა.

თამროს ამ უჯულმართობით გული უწუხდებოდა, ხედავდა რასაც ჩადიოდა „პატიოსანი ბობოლა“ ტუბილი სიტყვით, მაგრამ იგონებდა, რომ ის ქალი იყო, ამასთან ახალი პატარძალი და უფრო მეტიც, ღარიბი გლეხის მეულე. ამიტომ პირი თევზივით წყლით ჰქონდა სავსე, თორემ სათქმელი ბეჭრი იყო.. მას ერთი რამ არ ჰქონდა აკრძალული: სიმშილი და ღუმილი.

ქარუმა თებერელის ქარბუქიან დღეში ურმით წისქვილში მიდიოდა. თოვლის ნამერი, როგორც უდაბნოში ქვიშა, ისე აზღვავებულიყო. ურემი შეაყენეს ხარებმა: სიარული შეუძლებელი იყო, შუა მინდორში, ცოცხალი კაცი, თავის ურმით და ხარებით დაიმარხა. ქარბუქმა გაუთხარა ქარუმას საფლავი, ყვავ-ყორნებმა დაიტირეს, მიუსამძიმრეს ქარუმას ლეშე აღმუვლუბულ მგლებს..

თამრომ ერთი ხარი ქარუმას ქელებში დაკლა, მაზლების და „კეთილი ბატონის“ მიტო ფირაშვილის რჩევით. მეორეც ლამით „ქურდებმა“ მიტოს გომიდან გაიტაცეს.

დარჩა თამრო ოთხი პატარა შვილით, ყოველგვარ ქონებას მოკლებული, ასეთ ხალხში ჩასათვლელი, სოფელში ტაბარუკებს რომ უძახიან.

\* \* \*

1931 წლის 1 მაისს სოფელ ჭოტორის კალოებზე ჩამოყალიბდა არტელი „სოავიაქიმი“ ვასილ ფირაშვილის, ნიკო შარმიაშვილის და ვანო მაზიაშვილის მეშვეობით.

თამრომ აქამდე ათრია სილარიბის აყროლებული მძორი. ახლა კი გადა-სწყვიტა კოლმეურნეობაში შესვლა. სალამო იყო. პირსავსე მთვარე სოფელს ელექტრონის უზარმაზარ შუქურასავით თავზე დანათოდა. სოფელში გოგო ბიჭების სიცილ-ხარხარი და კივილი ისმოდა. ხალხი გარედ გამოქუჩებულიყო და ხმამაღალა საუბრობდენ. თამრო კი თავის ხრიხალში იდგა, მასზე მიყუდებული და ძირს პირშავმიწას ჩასცეროდა. იქვე ქვაზე სოფლის შეძლებული გლეხი, შავსიელი, ლევან ტუხაშვილი იჯდა.

— სხვა გზა არა მაქეს, არტელში მეც უნდა შევიდე.

— ეგნი, ჩემ რძალო, შენ არ შაგინახამენ, მაგათთან ვინც მუშაობს, იმას აჭმევენ...

— მეც ვიმუშავებ...

— იმუშავებ... იმდენ ხალხში...

— მემრე რაა, ი ხალხი შგლები ხო არ არიან, რო შამჭამონ...

— გეუბნები, არტელში ნუ შახვალ, თორემ ინანებ: არ გაგიგონია „თავში“ გაფუჭებულ საქმეს ბოლოს რაღა ეშველებაო“... არტელში იგეთი ხალხი მიერდნენ, ვისაც მარტო ქამა-ყლაპვაზე უჭირავთ თვალი. აქ შენი ფიქრი ვის ექნება. რასაც ქონებიანი ხალხი მიიტანს, ღარიბები მივამ-მოჭამენ და გამოცვი-ჭიან...

— მა როდემდინ ვიყო ეგრე... არ შეყო სილარიბე?

— ქმარი შაირთე, ნათლიდედ, შენც შაგინახამს და ობლექსაცა.

ასე იცის ლევანამ, თამროს ბან რძალს ეძახის, ხან ნათლიდედას, ხან კოვინ იცის რას არა. ლევანა თამაში ადამიანი, ძველი ბობოლა, ჩოდარი და ვა

იცის რა სელობისა არ არის. თვით მას რომ ჰკითხოთ, დურგალიც არის, ხუროც, დალაქიც, ვაჭარიც გლეხიც და კიდევ რა ვიცი რა არ არის ლევანა. მისი შეილი სანდრო არტელში შეძვრა, თვით ლევანაც შეიყოლა და იქამდის მივიღა, რომ ზურგის დაშქრული კულაკი, არტელში მოანგარიშეთ მოქალათდა. აი, ამიტომ არის ლევანა თამამი.

— ამდენი ხანია არ გავთხოვდი და ანლა შავირცხვინო თავი... — უთხრა თამრომ ლევანას. და უარით გაისტუმრა, მაგრამ არტელში შესვლა მაინც ვერ გაბედა.

თამროს უმცროსი მაზლი ნიკა, არტელში შევიდა. ყევარი ხარი და ერთი ცხენი შეიყენა, გუთანი, ურემი, ფარცხი და წყლის ბოჭკაც მიიტანა. არტელში შესულ ცამეტ კომლიდან სამი კომლი საშუალო იყო, ერთი თუ ორი კულაკი და დანარჩენები ლარიბები იყვნენ.

— არტელიდან გადი. ძალლებს ტყავი გააცა, თორებ დაგიხევენ... — აშინებდა ლევანა ტუხაშეილი ნიკას. ლევანას აზრით „ძალლები“ ლარიბები გახლდათ, მათი თვით ლევანასაც ეშინოდა. ლევანა ნიკას ორი შეილის მომნათლავი იყო, შინაური, თავისი ჭკუით ცნობილი და ნიკა მას უჯერებდა. აშინებდა საკუთრების დაკარგვა და ამიტომ გამოვიდა უკანვე.

ლევანამ ერთ სალამოს ნიკა თამროსთან გამოგზავნა.

ნიკა მთელი ლამე თამროს ქოხში იჯდა. მთვარის შუქი ჩამოდიოდა სახურავიდან. ნიკა დაუინებით ემუდარებოდა რძალს.

— ღმერთი არ გაგიწყრეთ და არტელში არ შეხვიდე. მე ვიყავი და გამოვიქეციო.

\* \* \*

ყველა სოფელს ჰყავს თავისი სასახელო კაცი, რომელსაც ბავშვიც კი იცნობს. ასეთი ხალხი ზოგი მოჭიდავეა, ზოგი მოშაირე, ზოგი მოთამაშე და ზოგი კარგი მუშა. კოტორის კალოებსაც ჰყავდა თავისი საღიდებელი, პატიოსანი ადამიანი, მუშა კაცი ბაქრაძიანთ ილა. ილა სამუალო გლეხი, შუბლმაგარი ვაჟა-ცი იყო, ჭკუით ლევანასი და მიტოზე არანაკლებ მოხერხებული. ყველა, ვისაც კი რამე გაუჭირდებოდა, საკითხავად მისკენ მირბოდა. ისიც პასუხს აძლევდა — და ასე თუ ისე გამოსავალს უჩენებდა.

ერთ დილით ილა წყალზე მიდიოდა ჯოხდაბჯენილი, თამროც ამ დროს კელმეჩურიდან ბრუნდებოდა უკან და პირისპირ შეხვდენ ილა და თამრო.

— ილა ძიავ, ერთი საკითხავი მაქეს, — გაეხმაურა თამრო და სალამი მისცა. — არტელში შასვლას ვაპირობ, ლევანა და ნიკა მირჩევენ არ შახვიდეო, რა ვქნა არ ვიცი, ღმერთი გიშველის, მიშველე, მითხარ რამე...

— „თუ მკითხავ მიხა მქვიან, თუ არა და მიხრინეო“, იმისა არ იყოს, თუ მკითხავ არტელი კარგია, თუ არა და ვისაც არ მოსწონს ჯოჯოხეთია...“

— არა, მაინც რა ვქნა...

— ადექ და მოდი არტელში, თუ ინაონ, ეს ულვაში დამაჭერი. — სტეფანი ილამ, ჭალარა ულვაშებზე ხელი გადაისვა და წავიდა.

ილა დიდი ხანია არტელში შესული იყო. მას უფრო გამოცდილი ჰქონდა არტელის სიავ-კარგე.

თამრო 1931 წლის ივლისის ხუთიდან, პარასკევ დილიდან, არტელის წევ-რი გახდა.

\* \* \*

1933 წელს ყაჩიანთ თამრომ 233 შრომა-დღე გამოიმუშავა. ათი დღე მისმა პატარა ვაჟებმა—გოგიამ და ალექსიმ შემატეს ოჯახს. ასე რომ ოთხასზე მეტი შრომა-დღე თამროს ოჯახს მოაყირებს.

— წლეულ არტელმა კაი მოსავალი მიიღო, ყველა წელიწადს გადააჭარბა, რაც კი მახსოვს.—მითხრა თამრომ როკა სოფლის მთავარი გზიდან „ყაჩიანთ ლრობეში“ შევუხეით. მე, თამროს მეზობელი ვარ და ერთმანეთს კარგად ვი-ცნობთ. თყალყურს ვადევნებდი მის ცხოვრებას მას შემდეგ, რაც კოლექტივში შევიდა. მაინტერესებდა მისი ახალი ცხოვრება როგორ წარიმართა და იმედი მქონდა ყოველთვის, რომ მისგან სამაგალითო კოლმეურნე მუშა-ქალი დადგე-ბოდა. არც შევმცდარგა.

— დარკვეული თესლი დავთესეთ, ღრმად მოვხანით. ტრაქტორმა დიდი სიკეთე დაგვდვა. ნახნავები სულ ანეულები და ნაფეტვრები გვერნდა. მოსავალი მცირე დანაკარგებით ავილეთ, ისიც სეტყვის ბრალი იყო.—განაგრძო საუბარი თამრომ. ახლა თამრო ბრიგადელი ქალია, სახლმოხევეჭილი, მკვრივი, ჩამოსხმუ-ლი, თამამი გამოხედვა აქვს, ვაჟეაცური იერი დაპკრავს მზისგან შერუჯულ სა-ხეზე. ხმა ნაპერწყლიანი აქვს. შაგვრემანია. საშუალოზე დაბალი. სიხარული გგვრის მასთან გასაუბრება.

\* \* \*

ზამთარია. თეთრი მოელვარე თოვლით არის დაფარული მიწა. ბრწყინვას თოვლზე ანასხლეტი მზე—თეალებს სჭრის.

— რაც არტელში შაველ, სახლიც ავაშენე, ძროხაც შავიძინე, გომიც გა-ვაკეთე საქონლისათვის. შვილებსაც ვასწავლი. ახლა ისენი პიონერები არიან. არ ვემდური ცხოვრებას. ჩევნოან ახლა წერა-კითხვა ყველა ქალმა იცის, წი-ნად კი ჩევნოვის წერაკითხვა იგეთივე სროცნებო იყო, როგორც ჩიტის რძე. წინანდელ დროს კაცი წყევლით თუ მოიგონებს, თორებ იქ ჩევნოვის სახეირო არაფერი დაგვრჩენია.

\* \* \*

თამროს ეზოში თოვლი ისე ჰუენია, როგორც გარეცხილი თეთრი მატყლი ჸავ ნაბადზე. ერთ კუთხეში კოხტად არის დაწყობილი შეშა, ფიჩი, შიმალი, ჩხრიმალი.

ეზოს კუთხეში ახალი ქვითკირის სახლი დგას. მის გვერდით კი ძველი ფანჩატური.

კარი იღება და ლოუებატკრეცილი ბიჭი, გოგია, ფანჩატურისკენ გარბის. მე კი ისევ ამ ორ სახლს ვაკვირდები: ერთი მხრით ინდივიდუალური ცხოვრე-ბის ნამდვილი განსახიერება, ძველი საცხოვრებელი ქოხი, წნელის კედლებით

და ჩალის სახურავით, გვერდზე მიღრეცილი, ისე თითქოს ცალი მხარი ტკენია და იშმუშნებათ, მეორე მხრით კი სამფანჯრიანი ახალი ქვითკირის მოზრდილი ოთახი. ეს ორი შენობა ძველსა და ახალ დროს გამოხატავენ.

— რას უყურებ, გიკვირს?! მე თითონ იგნე გამოვიცვალე, — ეინც წინად მრცნობდა, ახლა ვეღარ მცნობს.

თამრო იცინის. შეხარის ახალ ცხოვრებას, ზიზღით იგონებს ბეჩავ წარსულს,

ფანჩატურიდან გოგია გამოვარდა. მზეს-უმზირა ჯიბეებიდან ეფანტება და ზედ ხელებს ივლებს. ჩვენთან მოირბინა, ბავშური თვალებით დამაკვირდა. მიცნო და გაუხარდა.

შევდივარო სახლში.

თოვლზე მოჭრილი თვალი სახლში მაინც უველაფერს არჩევს: სამი მოზრდილი ფანჯრიდან უხვი სინათლე შემოდის შიგნით. კარგი გაწყობილია თამროს სახლი, სუთათა.

თოახის შუაში მაგიდა, გარს ჩალის სკამები შემორიგებული. უკან კედელზე ლენინის დიდი სურათი, იქვე ახლო კი ლურსმანზე ჭკილია ქარუმას ძელი ხანჯალი.

— ჩემი ვაჟები ახლა ორივე სწავლობენ. უფროსი ქალი ნინა, შარშან გავათხოვე, გენაცვალე. ნამდვილად ბნელ ორმოდან ამოვგათრია არტელმა. პირველად კი მიშლიდენ, არ მირჩევდენ არტელში შესკვლას, ბრძოლა გადამწყდა. კოლექტივში რომ მიველ, ჩემი მეზობელი კულაკი მიტო ფირაშვილი და ჩვენი არტელის ყოფილი წევრი ნიკა, გადიოდენ ხალხში და ყვიროდენ:

— „ვის გაგიგონია, ხალხნო, ეგეთი რამე, რო დედაკაცი კაცებთანა მუშაობდეს. დამიხეთ სინდისის, რო ჩიქილა გაიხადო დედაკაცმა და კაცის ქული დაიხურო... რა სადედაკაცო საქმეა მინდორში კაცებთან მუშაობა.“

— თქვენ თქვენი გეშინოდეთ—ვეუბნებოდი მე—თქვენ არა დაკარგოთ რა, თორენ მე დასაკარგი არაფერი მაქს—საპოვნელი კი ბევრი.—გარეთ რო ამას მეჩხუბებოდენ, სახლში მოდიოდენ და მელაქუცებოდენ.

მიტო ფირაშვილს ჩემი მამულის მითვისება უნდოდა და ამით თავისი დიდი მოლობილის კიდევ გადიდება.

— „თამრო,— მეხვეწებოდა მიტო,— ოლონდ შენ ეგ ადგილი მე დამითმედა საცავინდა სახლსაც აგიშენებ და კიდეც შაგილობამ.“

მაგრამ ახლა დრო გამოიცალა, იმისი სახლიც ჩვენ დაგვრჩა და მამულ-დედულიც. თვითონ ლევანაც არტელიდან გავრიცხეთ, მაგრამ ბოლომდინ ვერ მივყეთ, რადგან იმისი ბიჭი სანდრო, არტელის მოანგარიშეა, ხოლო მეორე ბიჭი გოგია კომპავშირშიც. კი ირიცხება.

— ნუ თუ კიდევ არიან თქვენს არტელში ასეთი ხალხი...

— არიან, დიაბ... ყური მიგდე. კულაკის სოფელი კოლმეურნების სოფლად, რქეცა, თითო შრომა-დღეზე წელს ათი კილო მარტო ხორბალი შაგვევდა. ფული, ფართალი კიდევ სხვაა. როგორც უყურებთ უკულაკო კოლმეურნები უფრო კარგა. ცხონოვრობთ. მაშინ ნახე, როცა ყველა შემომძერალ, ზედმეტ ხალხს სუ გავ-ცხონოვრობთ...— თქვა, და შავი მურაჟივით თვალები აენთო, პატარა შუბლზე ტყავი ცხრილავთ...— თქვა, და შავი მურაჟივით თვალები აენთო,

გადაეჭიმა, სახეზე რისხეის გამომხატველი ღიმილი აღებუქდა და კუურიანი სქელტყავიანი ხელები შეკუმშა, თითქოს ყველა მტრებს შინაურებს და გარეულებს დაემუქრაო.

სოფლის შუაგულში არტელის სამხართველო. მე და თამრო შევდივართ. შიგ ვასილა ფირაშვილი არტელის ხელმძღვანელი, კოლმეურნეებს ესაუბრებოდა. ჩვენს მისელაზე საუბარი შეწყვიტა.

— რაი დაეთრევი, რაი დაალაჯუნებ. — ეხუმრა თამროს ვასილა. შავგვრუმანი თმახუჭუჭა, ხმელ პირისახიანი ახალგაზრდა.

— მე თუ რაი დავთრევი, შენ რას უზისარ ერთ ადგილას, ჯდომით მაინც არ დაიღალე. ადე, გაიარ-გამოიარე, საჯდომი გააცივე, როგორც კრაზანას პრეზა უყვარს, ისე შენ ჯდომა. — კოლმეურნეები იცინიან. ვასილაც აჩენს თვის თეთრად მოელვარე კბილებს.

— დასხედით, კაი რამე გიამბოთ ჩვენი ახალი ცხოვრებისა. — გვპატიუობს ვასილა სკამებზე. ჩვენ ვსხდებით და ვასილაშიც ულვაშის გრეხით დაიწყო:

— მთელი ნაჟალი მოზიდული გვერდა და თაიებათ დადგმული. ლეწვა უნდა დევვეწყო. ზემდგომ ორგანოების მიერ გადაწყვეტილი იყო: ლეწვა ყოველ შემთხვევაში რვა დღეში უნდა მოგვეთავებია. მე ვერ ვიქისრე ეს ვალდებულება. შეუძლებლად მეჩვენა. ქალებიდან ყველანი დაშინდენ. ბრიგადელი ოლა ჯანგულაშვილი ბრიგადელობიდან გადადგა. საქმე გამწვავდა. შეიქნა იმის საფრთხე, რომ ლეწვა ან არ დაიწყებოდა, ან დაიწყებოდა იგრევ რომ მთავრობა არ გვითანიებდა.

მაშინ თამრო წამოდგა და თქვა:

— მამეცით ხალხი. დე ან შავასრულო, ან მე ალარ ვიყო. — ყველანი დათანხმდენ, თამრომ თავის მიერ შერჩეული ხალხით დაიწყო მუშაობა. რასაც მარტო ეგ მუშაობდა, ორი კაცი ვერ გააკეთებდა იმდენ საქმეს. ბარაბანზე იდგა და მანქანას პირში ჩაშლილ ძნას აძლევდა. სხვა დროს იქ სამი კაცი იდგა, მაგან თრი გააწესა: თითონ და მარო ფირაშვილი.

ჩეიდმეტი კაცის მაგივრად, მაგან თორმეტი დედაკაცი დააყენა მთელ ბაზარანზე. სალეწი მანქანა 16 საათი მუშაობდა სრული დატვირთვით და საბეღლა თავებს სწრაფად, ნადირივით ყლაპავდა.

თამროს გვერდში უდგა მარო ფირაშვილი, ესეც ქვრივი. თამროსავით დაბალი დედაკაცია, მუშაობაში მგელი. ამ მარომ და თამრომ ერთი მეორე გამა-იწვიეს შეჯიბრში, ორნი იგრე მუშაობდენ, რო გეცქირნა, რაღაც ზლაპარი გეგონებოდა.

ერთ ღილით მაღაროდან კაცი მოვარდა, თამროს სალეწზე მიაწოდა ქალალდის ნაგლეჯი, გაბრუნდა და გაიქცა.

თამრომ ქალალდი წაიკითხა, დაქმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო. მარომ თვალშეასწრო, რომ თამროს მიწისუერი დაედო. მუხლები აუკანკალდა, მერე ჩაიკეცა.

— მიშველეთ. — იკივლა მარომ. ხალხი მიცვივდა და ვიდრე მაშინა გაჩერდებოდა, ფერწასული თამრო ძირს ჩამოიყვანეს.

— რა მოგივიდა ქა... ხმა ამაილე, არ იტყვი რა მოგივიდა. — ემუდარებოდენ დედაკაცები,

— რა მოუვიდა და მუშაობისაგან გაითანგა, ვეღარ აიტანა და იმიტო...

— მა რა ეგონა. ასე მუშაობა ვის გაუგონია.—ამბობდენ გახარებული მოუშურნენი.

მე თამროსთან მიველი. მან ქალალდი მომაწოდა და მითხრა:

— ცოტა ხნით დამითხოვე...

წერილი წავიკითხე: „ნინა ლოგინზე დაწვა, ცუდათაა. ან მოუსწრებ ან ვერა. სანდრო“ სანდრო თამროს სიძეა, თამროს ნინა კი ორსულად იყო. თამრო დავითხოვე, — წასვლისას დაარჩინა: „მუშაობა არ შაანელოთ. მე მალე დავბრუნდები“ და გაქრა.

დაარჩენი თითონ თამრომა თქვას.

ვასილა ჟადუმდა. ყველამ თამროს შევხედეთ, მან დაიწყო:

— როგორც შავი ყორანი გზაზე იგრე მივქროდი. ორი ბოლმა მკლავდა: ქალის ამბავი და ლეწვის დროზე დაუმთავრებლობა. მივალაჯებლი და ალარ მესმოდა — მივდიოდი თუ მივფრინავდი. მიწა ფეხქვეშ თითქო დნებოდა, ეგრე რბილათ მეჩენებოდა.

თვალწინ არ მშორდებოდა შვილის ცხედარი, თეთრად შალესილი კუბოა ახალდაბადებულის ჩხავილი...

გადავიარე მინდორი და შაველ სოფელში. აი, საცაა გამოჩნდება ჩემი ქალის სახლი. მოველოდი, რომ დავიჩახავდი კუბოს თავს კარებში ძყუდებულს: გული მელეოდა.

უკვე შაუხეი ორლობეში. გამოჩნდა ეზო. ძნის პატარა რაია შუა ქალოზი დგა. სახლიც ჩანს, მაგრამ კუბოს თავი არაა.

— რა ამბავია მეთქი, ალბად მივუსწრებ; ჯერ არ მოკვდარა-მეთქი. უფიქრობ და მივრბივარ.

შეველი ეზოში. ძალლი ყეფით შემეგება. არავისი ჭაჭანება არ არი. უცბად კარი გაიღონ და ჩემი ქალბატონი ნინა, სამი დღის ყმაწვილით ხელში, გადმოდგა და იცინის.

— ფუი, შენ ადამიანობას, შე კახბავ, შენა, რაზე გამიხეობებ გული...

— ამიკვა ბები, სენი ჩეილი უნდა ვიყო — და ჩერებში გახევეული მომაწოდა:

— ახლა რა დროს ეგენია. ვერ უყურებ რო ჭიანჭველაც კი ამინდს ეშურება. მაშ დამატყუე, შე უსირხვილო, შენა. — ვუყვირე და მის ბავშვს არც კი დავხედე ზედ. გამოვბრუნდი და წამოველ.

— „დარჩი, დედი. ცოტა სალეწი გვაქვს. კაცი შინ არ არი, გალეწე. არტელში სხვებიც ბევრნი არიან და უშენოდაც გააკეთებენო...“

ხმაც არ გავეცი, არც მივიხედე მისკენ.

ახლა ისევ ვასილამ ჩამოართვა სიტყვა თამროს და განაგრძო:

— ამოვიდა თამრო. „არაფერიაო“ თქვა და შეუსეენებლად დაიჭირა თავისი ადგილი მანქანაზე.

გადაზე აღრე დამთავრდა ლეწვა. თამრომ ორნაირად გაიმარჯვა: ერთი რომ ლეწვა დამთავრა დროზე და მეორე მარო ფირაშვილს აჯობა. თუმცა შაროც დავაჯილდოვეთ.

შპს აქეთ თამრო ჩვენი არტელის გამგეობის წევრი და ქალების ორგანიზაციონი ბრძანები.—ამთავრებს ვასილა.

კარი გაიღო და დაბალი, ჩოფურა გლეხი შემოვიდა. მაზარა წამოსხმული. სახე უცინოდა, ხელში რაღაც ქალალდი ეჭირა.

— გამარჯობა.—მოგვესალმა.

— გაგიმარჯოს.—დააგუგუნეს პასუხი კოლმეურნეებმა. ხელში რომ ქალალდი ეკავა ვასილას გადასცა. ვასილამ გამოართვა და ჩაიკითხა. მეც მოვკარ რვალი დიდ ასოებს:

### „ბანცხალება“

ეს გლეხი, ყაჩიაანთ თამროს მაზლი ნიკა, რომელიც ლევანის სიტყვას აჰყვა და თამროსაც იეკვიატა: არტელში არ შეხვიდეო. ნიკას მოსვლას კოლმეურნეები გულთბილად შეხვდენ. განსაკუთრებით კი თამრო ლელავდა.

— ჩემმა გზამ გაიმარჯვა, აი, ნიკა.—უთხრა მან ნიკას.

— აჸა, ეგე ჩემო რძალო, მოველ შენთან, წალი, მეგენდობი. აბა შენ იცა. როგორც გამიწევ წინამძღოლობასა, იქნება კოლექტივმა მეც ამაშენოს.

## პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### გიორგი კაჭახიძე

უდავოა ის გარემოება, რომ საბჭოთა რევოლუციის წინაშე დღეს ამხ. ლენინის ფორმულა მთელი სიგრძე-სიგანით ისმება, რომ „ჩვენი ხალხი ლარსია არა სანახაობის, არამედ ნამდვილი დიდი ხელოვნების, რომელიც მდიდარია თავისი შინაარსით და მშევნიერია თავისი ფორმით.“

ამ მხრივ პროლეტარულ წერტილის უმცროს თაობის წარმომადგენელის, გიორგი კაჭახიძის ლექსების წიგნი „ის უბანი და ის კარმიდამ“ აუცილებლად საქმაო მნიშვნელოვან როლს იჭერს ჩვენი ლიტერატურის განვითარების ისტორიაში...

აღნიშნული წიგნი ერთ-ერთი ნაწილია პოეტის შემოქმედებისა, რომელიც თემატიურად ახალი სოფლის ფონზე იშლება და კოლმეურნე გლეხს ბოლშევიკური ხმით უმღერის...

გიორგი კაჭახიძე ლირიკოსია. ზოგიერთნი ამ სახელწოდებას—ლირიკას, სხვაგვარად უყურებენ, მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ პროლეტ-პოეტი შეიძლება იყოს ლირიკოსი. სწორი და მისალებია, რომ პროლეტარული კულტურა უარყოფს ისეთ დაცემულ ლირიკას, რომელიც ძირმონგრეული კლასის სიმღერაა, რომელსაც არ ძალუძს თვალის გასწორება მწარე სინამდვილის მიმართ, ამის გამო მისი სიმღერა დაცემულობას გამოხატავს. მაგრამ ჩვენი ეპოქის ლირიკა კი ახალი კლასის სიმღერაა, რომელსაც ისტორიაში გამარჯვება არგუნა. ნუთუ ამ დროს პროლეტ-პოეტებმა არ უნდა უმღერონ ახალი ხმით გაშლილ საბჭოთა მინდვრებს და ქალაქის ინდუსტრიას... ჩვენ გვინდა ჯანსაღი სიმღერა. მთელ რიგ პროლეტ-პოეტების ლირიკა სწორედ ამ მხრივ მიემართება (კალე ბობონიძე, გ. კაჭახიძე, ი. აბაშიძე და სხვა): გიორგი კაჭახიძე ასე უმღერის ეპოქას...

— თქვენი ლვიძლი ვარ  
დაკოურებულ ხორცის და მიწის,  
თქვენი სისხლის ვარ,—  
მინდვრისა და ქარხნის მოტივი,  
ჩემი ცხოვრება  
ამ უმთავრეს ფერებში აჭვის,  
მინდორს და ფოლადს  
ვზრდი ლექსებში, ნამყენ ყლორტივით...

გიორგი კაჭახიძემ იცის ჩვენი სადლეისო პოლიტიკა, იცის მან რა მოსდევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას; ამასთანავე გრძნობს; რომ დღევანდვლ

ეწაპზე კლასიურ მტრებმა ბრძოლის ტაქტიკა შესცვალეს — დღეს ყველაზე მეტია კლასიური მტრის შემოტევა... „რადგან კლასი სიკვდილის დროს ყველაზე მწვაველ იყბინება და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ბრძოლისას, რათა მტრები დაამარცხოს“... — (ს ტალი 6)

ამის გამო ის უძახის სოფლად კოლმეურნე გლეხებს:

— დროა მეზობლურ გრძნობებს დაშორდეთ,  
დროა კლასიურ გრძნობით იმსჯელოთ,  
ბრძოლამ არ იცის მოყვრული ფიქრი,  
ბრძოლა არ იცნობს მეზობლურ ბუდეს,  
კლასი კლასს ებრძვის, კლასი კლასს უტევს...

კლასიური მტრი ჩვენ პირდაპირ კი არ გვებრძვის არამედ:

— და უფრო მიტომ გმართებთ სიფთხილე,  
როგორც არასდროს, როგორც ურავის,  
უნდა საქმესთან ფრთხილად მიხვიდეთ,  
მტრი ფრთხილია და შემპარავი.

პოეტი ქალაქის ინდუსტრიის უმლერის, რომლის ლერძლი შეილი თვითონ არის, სადაც გამეფებულია სოცეჯიბრება და დამკვრელობა, პოეტი ქალაქს და სოფელს უმლერის.

სოფელს მოუწოდებს, რომ ქალაქის წარმოებას წედლეული მიაწოდოს, რათა სამაგიერო ბოლშევიკური მსოფლმხედველობის ნივთი დაუმზადოს...

— უმლერეთ სოფლებს  
კოლექტივის მშენებელ პიმნით,  
მიეცით ქალაქს  
სანოვაგის დენი ტალღებათ —  
ელმაშუქივით მომღიმარი შეგხედავთ, იგიც  
და ინდუსტრიის ძარღვამთბარი ხელით დაგხვიჭებათ...

შეიძლება კიდევ აუარებელი დადებითი მაგალითების, მოყვანა, რომელიც უეჭველად ამტკიცებს პოეტის ჯანსაღ ტენდენციებს და კლასიურ სიმახვილეს... ამ მხრივ კარგია მისი ლექსები: „ჩემი პირველი უჯრედი“, „საბჭოთა პური“, „წერილი მეზობელ კოლმეურნეებს“, „ის უბანი და ის კარმიდამო“, „ულალა“ და სხვა... პოეტის დადებით მხარეებთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი მხარეები, რომლის გამოსწორება პოეტის მიერ აუცილებელია...

გ. კაჭახიძეს ზოგ შემთხვევაში ახასიათებს საგნისა და მოვლენის ზერელე ასახვა:

„კარგია, მომწონს

კოლექტივში გლეხობა მოდის,  
ამაზე ვიტყვი,

გაუმარჯოს არტელის მიწას...“

პოეტი გახარებულია კოლექტიური მშენებლობით.

1930 წელში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კოლექტივთა ბირთვი დასავა-ლეთ საქართველოში თითქმის სრულებით არ იყო განმტკიცებული, მიუხედა-

ვად მისი რიცხობრივ თავებრულამხევე ზრდისა, პოეტია ნააღრევად მოახდინა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ძველი პაპისეული ფარცხი ნააღრევად უკუ აგდო...

— მაგრამ ყველაფერს, სახე ეცვალა,  
მოკვდა ბაჭუ და ფარცხი რგოლებით.  
დღეს ამ მხარეში მთელი ცხოვრება  
აქვს სარბიელად მთლიან კოლექტივს...

პოეტს ახასიათებს ნაწილობრივ გრძნობების რომანტიულ-პესიმისტური გაქანება, რომელიც ძირმომპალი კლასის გოდებაა, რომელიც ხედავს მისი სიკვდილის აჩრდილს, რის გამო შის მთელ იდეალს სიყვარულის პრობლემაზე გადაიტანს — ეგებ „ამ სამყაროში მაინც იშოვოს ხსნა“ — მაგრამ აქაც მარცხდება — ასევე მოდის ჩვენს პოეტს...

ის მეტად უმედოთ უმღერის თავის „სიყრმის გოგონას“, რომელიც ცოტას წაიმეშანებს:

— ჩემი გოგონა, სიყრმის გოგონა,  
ყელი რომ თეთრად უჯდა ქარვაში,  
ვინც რომ ნათალი ბროლი მეგონა,  
დედა გამხდარა სამი ქალვაჟის —  
— ...რა ვენა არ ვიცი... ძველი ოცნება  
თითქოს ახლდება, ყელის ქარვას შლიკ...

აგრეთვე პოეტს უყვარს განავარდება ბუნებაში — პეიზაჟში, რაც უეჭველად კარგია, მაგრამ ეს გადამეტებულად არ უნდა მოხდეს..

მაგალითად პოეტი „ცაცხვების ხეივანს“ იწყებს ისე, როგორც რომანტიკოსი —

„ქრიალა ცის ქვეშ, ვით საუკუნე  
ტოტებ დარწევით დგანან ცაცხვები,  
ცაში ვარსკვლავთა რაზმი კანკალებს —  
და ცის ლაქვარდი მოჩანს დარცხვენით“...

ენის მხრივ წიგნი საკმაოდ დახვეწილია.

მაგრამ არის ზოგიერთი არასწორი და ბუნდოვანი შედარებები.

მაგ., „რომ გაუსწორდე ეპოქის ციმციმს“ (ჩვენი ეპოქა არ ციმციმებს“. ქ. ქ.)

„და რომანტიულ ლამების ცვრიან უბეში“,

„გული არ იყო სუსტი ობობა“ — და სხვა...

ამასთანავე ქართულ მართლწერაში ასეთი სიტუვები არ არის მიღებული:

მაგ., „ახა ვერ დოს მინდვრები ვრცელი“

„რომ ასიმღერებს სისხლსა და გულს“ და სხვა...

გიორგი კაჭაბიძემ უეჭველად ამ ლექსების წიგნით კიდევ ქრთხელ დაამტკიცა თავისი წარმატებები და სოციალისტურ რეალიზმის დაუფლებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა...

„თავდაცვითი მხატვრულ-ლიტერატურული კანგული“

გამოცემა ფედერაციის. 1933 წელი

თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურული კანგულის გამოცემა უთუოდ მნიშვნელოვანი საქმეა. ცნობილია, რომ ჩვენში სუსტადაა განვითარებული თავდაცვითი ლიტერატურა. ძალიან ცოტას სწერენ მასზე ჩვენი მწერლები და რაც დაწერილა, მასაც არ ექცევა სათანადო ყურადღება ჩვენი კრიტიკის მიერ. კანგული, რომელშიაც თავდაცვითი ლიტერატურის ნიმუშები, ერთგვარად ხელს უწყობს დააგმაყოფილოს თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა შოთხოვნილება. სოციალისტურ სამშობლოს დაცვის თემა ისეთივე მნიშვნელობისა და აქტუალური თემაა, როგორც სხვა რომელიმე უბანი სოციალისტური ქვეყნის, ჩვენი მშენებლობის: პროლეტარული ლიტერატურის ამოცანები უშუალო დამოკიდებულებაშია პროლეტარიატის, როგორც კლასის, საერთო ამოცანებთან. ლიტერატურა მუდამ იყო მეთაური კლასის ბატონობის განმტკიცების იდეური იარაღი.

სოციალისტური რეალიზმის ამოცანაა ჩვენი სინამდვილის, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის, მისი თითოეული დეტალის მხატვრულ ტილოზე გადატანა.

საბჭოთა ქვეყანამ შექმნა სამხედრო ძალა, წითელი არმია, რომელიც არის თავდაცებული გუშაგი სოციალისტური ბამშობლოსი და სრულიად ბუნებრივია, რომ მას უნდა წარმოეშვა თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურაც. თავდაცვითი ლიტერატურის ამოცანაა აჩვენოს ქვეყანას მშვიდობითანობისათვის მებრძოლ სოციალისტურ სამშობლოს ერთგული გუშაგი — წითელი არმია, მისი მიზანი და ამოცანები, სამხედრო ძლიერება და მომზადება. თავდაცვითი მხატვრულ ნაწარმოებში უნდა ჩანდეს, მთელი თავის სიძლიერით, წითელარმიელის ფიგურა, ის უნდა იყოს მხატვრული გამოხატვა წითელი არმიის ბრძოლისა, სიხარულისა და სიმართლის. მხატვრულ ნაწარმოებში დამაჯერებლობით უნდა ჩანდეს წითელი არმიის შუშაობა და ცხოვრება, ამ მიმართულებით წერენ და მუშაობენ ჩვენი მწერლები; ამ თემაზე არის დაწერილი ჩვენი მწერლების მიერ ზოგიერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები და სხვ.

კანგულში მოთავსებული ნიმუშების უმრავლესობა ღრმა მხატვრულობით და დამაჯერებლობით გაღმოგვცემს ჩვენი წითელი არმიის ძლევამოსილობას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი პოლიტიკას, მის სიმართლესა და გამარჯვებას. იგი სოციალისტური სამშობლოს დაცვის იდეას და ბურჟუაზიული პაციფიზმის მხარებასაც შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, კანგულში ყურადღებას იპყრობს.

გ. ტაბიძის ლექსი: „როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას“. წითელარმისელს, უპირველეს ყოვლისა, სწამის და ესმის თუ რას ემსახურება. მასში არ ის გამარჯვების შეგნება და რწმენა. გ. ტაბიძის ლექსში შინაგანი შემოქმედებითი ენტუზიაზმით არის ნაჩვენები ეს. პოეტს სწამს, რომ საბჭოთა მოქალაქე უნდა იდგეს რევოლუციონური სამშობლოს დაცვის მოწოდების სიმაღლეზე. გუშინ დელი მუშა—დღევანდელი არმიელი ამას არჩევს და ესმის:

როგორ არ ვიცი ენდა გარჩევა  
დიდი საქმეა აქ თუ პატარა,  
ის უნდა გაპქრეს, ეს გადარჩება,  
ეს გამოაჩენს და ის კი არა.  
არმიელი ვარ, კლასთა პირობა:  
მოძმესთან ძმობა, მტერთან მტერობა!—  
აი, რა არის ჩემი გმირობა  
და ჩემი დიდი კახაბერობა.

ეს ლექსი აუცილებლად თავდაცვითი ლიტერატურის მოწინავე რიგებში. დგას, მისი იდეური სიმაღლითა და შესაფერისი მხატვრული განსხვეულებით. საერთოდ კი იდეური და მხატვრული სრულყოფა. ლექსს ეპოქალურ გამძლეობას აძლევს და ვინკა ამას აღწევს, ის აუცილებლად დიდი მხატვარია.

დამაჯერებლობით და განცდით არის დაწერილი ა. მაშაშვილის „ლექსი „იყავი მზად“, ლექსის ძირითადი იდეა არის, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია მუდამ მზად იყოს სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის კლასობრივ ბრძოლის გარემოცვაში:

დე, აღრიალდეს  
ძველი ევროპა,  
საზღვარს ვერაგულ  
თუ გაღმოვიდა,  
ჩვენ მრავალი ვართ,  
ძალაც გვიყოფა  
შევსძლოთ ოქტომბრის  
დაცვა თოფითა.  
რომ წამოდგება,  
მშრომელი მასა,  
მზად ვართ რიგებში  
ჩავდგეთ გმირულად,  
საბჭოთა ქვეყნის  
უბრალო ქვასაც  
დაციცავთ მტრისგან  
თავგანწირულად.

მხატვრულ სიძლიერით და სიღრმით არის გაღმოცემული საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცემა თავდაცვისათვის.

სოციალისტური შენენებლობის სინამდვილიდან თემის აღება მნიშვნელოვანია, მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორაა ეს მიღწეული. სწორი იდეა მარტო

არ კმარა ლექსში, თუ მას მისი შესაფერისი მხატვრული განსხვაულება არა აქვს. ამ მხრივ პოეტი ა. მაშაშვილი წინა რიგებშია.

წითელ არმიისადმი კლასიური სიყვარულით და განცდის პათოსით არის დაწერილი კალე ბობოხიძის ლექსები: „მხედრები ველად“ და „ლაშქრული“, დამაჯერელობით არის გადმოცემული მხედრების ენტუზიაზმი და სიყვარული სამხედრო საქმისადმი და სოციალისტური ქვეყნის დაცვისათვის. სოციალისტური ქვეყნის მიღწევები მოსევენებას არ აძლევს გარეულ და შინაურ მტერს:

„ოფლის ღვარით დაღარულო  
შრომის მკერდო, ნუ შრები,  
მტერს ესობა ლახვარივით  
გამარჯვება მუშების“.

საბჭოთა ქვეყნის დამცველ წითელ არმიამ იცის ეს და ამიტომ იგი მუდამ მზად არის.

„სოციალიზმს ვაშენებთ და  
ვუდარაჯებთ მკერდებით,  
ჩვენი მხარე დამშვენდება  
მშრომელთ შემოქმედებით!  
არმიელებს ფრუნზიანელთ  
გვიყვარს ბრძოლა აშკარა.“

მხედრებისათვის დაწერილ ლექსში უნდა იგრძნობოდეს წითელი არმიისადმი სიყვარული. ის უნდა იყოს გამოხატვა მხედრული გულწრფელობის და სიმართლისა. მხედრული ლექსის რითმა და რიტმი იმნაირად უნდა შეიქნეს, რომ ის დინამიურობით გამოხატავდეს არმიელთა გმირულ სულიერ განწყობილებას. ამ მხრივ კალე ბობოხიძის ლექსებს უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან ის ამას დიდი მხატვრულ ისტორიათ აღწევს. ლექსში მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენადა იქ მოცემული დამაჯერებლობა, თუ რამდენად აღწევს პოეტი კლასიური აზრი გამოკვეთოს პროლეტარიატის კლასის გასაგებ ენაზე — სწორედ ეს მიღწევაა კ. ბობოხიძის მიერ ზემოთალნიშნულ ლექსებში. იგი აღწევს ლექსში არმძრელის გასაგებ ენაზე გადმოგვცეს. აზრი.

შესაფერის მხატვრულ სიმაღლეზე დგას გ. კაჭახიძის „სალამოტილოს კარავში“. პოეტს უნდა გვაჩვენოს წითელი მხედრების ცხოვრება და მოქმედება. მეტისმეტად რომანტიულად განწყობილი პოეტი ავჭალის „მაღლობიდან მინდვრებს დაპყურებს“, საიდანაც მშვენივრად მოჩანს ტილოს ოეთრი კარვები. პოეტი უფრო ბუნების მშვენებას გაუტაცია. ალბად ამით აიხსნება ის, რომ პოეტი ზერელედ აღწერს არმიელების ნამდვილ საბანაკო და სამანევრო ცხოვრებას და მუშაობას. ლექსში არაა გამოკვეთილი წითელი არმიელის ნამდვილი ფიგურა, მისი საბრძოლო და მხედრული განწყობილება. სამაგიეროთ ძლიერია ბუნების აღწერა და შედარებანი:

„კარავში ნესტის სუნი გროვდება,  
ლბება ფეხები მიწის სისოვლით,  
გარედ ნისლია და შორს ღრუბლებმა  
გადაიარეს თეთრად ცის ზოლი.  
მთებში მძაფრდება ლამე სიშავით  
ნათელ კარავში თითქოს ბინდდება,  
სადღაც მოისმის ძილის ნიშანიც  
და ჩვენც ღროულად ძილი გვინდება“.

კაჭახიძე საერთოდ უნდა ითქვას, რომ მას ლექსში აკლია მოვლენის ლრმად დახატვის უნარი. იგი ზერელე ემოციებით გვიხატავს საგანს და მოვლენას, რაც მის შემოქმედების საერთო ნაკლადაც უნდა ჩაითვალოს. პოეტმა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან ფაქტების პასური ასახვა, ფაქტების ზედაპირზე ხოხვა, მშრალი ეპიზოდები, ზერელე აღწერა — ააშკარავებს მწერლის უკოდინარობას და მისი მომზადების დაბალ კულტურას, ამ კრებულში წარმოდგენილ მის ლექსებში ამის ნიმუშები უთუოდ არის.

მებრძოლი პოეტის პათოსით, არის დაწერილი გ. ქუჩი შვილის ლექსები: „წითელ არმიას“, „ომი—ომს“ და „გუშაგი“. ქუჩიშვილს სწამს; რომ „ოქტომბრის ქარცეცხლში შობილი“ წითელი არმია მშვიდობიანობის დარაჯად დგას სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის:

„ოქტომბრის  
ქარცეცხლში  
შობილი,  
წრთობილი  
მონათამფლობელებს  
სცემს შიშის ზარს.  
და წითელ საზღვრებზე  
თოვქვეშ მოდარაჯე  
ცხნედ იცავს  
საბჭოთა  
მთასა და ბარს.

გ. ქუჩი შვილი ამ ლექსებში უბრალოებით მაგრამ ლრმა გაიცდით და აზრის სილრმით გადმოგვცემს. „თუ როგორ ვიცავთ ჩვენ მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ თუ მტერი გაბედავს შემოტევას თავს დავატყდებით ბოლშევიკურ მრისხანე მეხად!“ ამ საქმეში ჩვენთან ერთად არის. მთელი ქვეყნის მშრომელები.

კარგად არის გაღმოცემული ირ. აშაშიძის მიერ წითელი არმიისადმი მოწოდება სამხედრო ტექნიკის დაუფლებისათვის, ლექსში „დაუფლება ტექნიკას“ მხატვრულობითა და პათოსით აღწევს პოეტი ამას. ბურუუაზია ემზადება სოციალისტურ ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად, იგი ტექნიკის ყველა მიღწევებს იყენებს, უმტკავ თანხებს: ხარჯავს სამხედრო საქმისათვის, მომზალი ხოცვა-ულეტისათვის. წითელი არმიას — „სოციალისტური სამშობ-

ლოს მკერდის“ ვალია იყოს მუდამ მზად, დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს სამხედრო დარგში, გაამაგროს ჩენი. სამხედრო ძლიერება, ლექსი აქეთებ მოუწოდებს არმიელებს:

„მიც შენს უნარს ტემპი საოცრად  
ენტუზიაზი გზად და სახელად  
ან დავეწიოთ მტერს და გავუსწროთ,  
ან ჩავუკარდეთ გადასათელად.  
ეს ვალად გახდა, მხედარო, შენზე  
და დაყოვნების არც გაქვს უფლება,  
იბრძოლე შესძელ,  
იბრძოლე შესძელ  
ტექნიკს ციხის დასაკუთრება“.

აქე უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში მოთავსებულია ირ. აბაშიძის ნარკვევი „არტლეგიონი“, რაც ძალიან სუსტია, მხატვრულადაც და იდეურადაც. არ არის დამაჯერებელი წითელი არმიელი კეზერაშვილის (ცრუმორწმუნე ათეისტი) გადამზადების და გარდამქნის ამბავი. ნარკვევი მთლიანად ყალბ შთაბეჭდილებას სტოკებს.

გ. შატბერა შვილის ლექსში „სად ქარი არხევს არმიელის ფარაჯას“ მოცემულია წითელარმიელის ფარაჯის რომანტიკა, რაც დღეს არავის სჭირდება. ლექსში საჭიროა მხატვრული სიძლიერით და იდეური სიმაღლით იყოს ნაჩენები ჩენი არმიის სახელოვანი ბრძოლები და გამარჯვებები. სამოქალაქო ომის პერიოდში კონკრეტული მაგალითების მითითებით და ჩვენებით. ზოგადი ფრაზები, დეკლარაციები და მოზღვავებული კომპლიმენტები ჩაბარდა არქივს, საჭიროა აზრი გამოკვეთილი იყოს და გასაგები:

„ახლა ქარი  
და სერებზე წვება ნამქერი,  
შორს კი თოვლიან  
ტრამალების ბოლო არა ჩანს  
— ეს მიუამონი  
მუდამ ბინდით არის ნაფერი  
და ქარი არხევს  
არმიელის წითელ ფარაჯას.  
თქვენს გულში მუდამ  
ქარიშხალი და ზამქერია,  
მანდ მუდამ ნისლი  
ნაბადივით ფარაეს მიდამოს“...

ჩენ ასეთი ბუნდოვანობის წინააღმდეგი ვართ. წინააღმდეგი ვართ ასეთ უპერსპექტივო რომანტიკის.

სამოქალაქო ომებში დალუპულ გმირთა იდეალიზაცია, საშინელი კლასთა შეტაკების შემთხვევებში, ტაიგაში, უკრაინაში, კაზაკისტანში გადახდილი ბრძოლების მოგონება აუცილებლად საჭიროა, თუ ის ჯანსაღ ფორმებშია მოცემული და ბრძოლებში დალუპულ გმირების სახეს გვიჩვენებს.

ამ მხრივ აღსანიშნავია კრებულში რო დიონ ქორქიას „ძირს ინგლისის დროშა“. გამოკვეთილი აზრით და დახვეწილი ენით არის გადმოცემული თეთრებისა და წითლების ბრძოლა სამოქალაქო ომის პერიოდში: ინგლისი ეხმარება ოქტომბრის რევოლუციის მიერ განდევნილ „ძველ ბატონებს“, რესტავრატორებს. პერეკოპზე გამაგრებული ინგლისი პირდება ძველ რუსეთს, სამღვდელოების, ვაჭარმრეწველობის და თავადაზნაურობის დელეგაციას, რომ პერეკოპზე დაამარცხებს „წითელ ყაჩალებს“ და მალე შევლენ მოსკოვში. პერეკოპზე ინგლისის დროშა ააფრიალეს, მაგრამ წითელი არმიის გმირულ ბრძოლას ვეღარ უძლებს ვერავერი. დამარცხდა რესტავრატორები, „დასრულდა თეთრების ისტორია, დაიკეცა მათი მატიანე“. ინგლისის დროშა — მილიონზა ჟილეფის, სისხლისა და უსინდისობის დროშა, წითელ არმიამ ჩამოგლიჯა, დახია, ფეხქვეშ გაიგდო, გასთელა“. ისტორიაშ დაამარცხა ინგლისის უსირცვილო ცდა. ასე კონკრეტულად და დაბაჯერებლობით არის აღწერილი რო დიონ ქორქიას ნარკვევში წითელი არმიის გამარჯვება და ინგლისის დამარცხება სამოქალაქო ომის პერიოდში.

სამოქალაქო ომებში გადახდილი ბრძოლების რომანტიული მოგონების ნიმუშია აგრეთვე კრებულში მოთავსებული: ვ. გორგაძის ლექსი „მწვანე წნორებთან“, ვ. გაფრინდაშვილის „მესამე“ და ვ. დარასელის „ბუდიონელის ლურჯა“. ამათში გამოარჩევა ვ. გორგაძის ლექსი „მწვანე წნორებთან“, კრებულში მოთავსებულია აგრეთვე, ს. ჩიქოვანის, ს. ეულის და წითელ არმიელთა ლექსები, რომლებიც არიან ერთგვარ მნიშვნელობის შემცველი. საჭიროა უფრო მეტი პასუხისმგებლობით და მზრუნველობით მოკიდონ ხელი საგამომცემლო ორგანოებმა თავდაცვითი ლიტერატურის გამოცემის საქმეს.

საჭიროა პროლეტარულ მწერლებმა უფრო მეტი იმუშაონ სამხედრო ლიტერატორნებზე. მეტი კონკრეტულობით და სამხედრო საქმის ცოდნით აჩვენონ ქვეყანას რევოლუციონური სამშობლოს დამცველი. წითელი არმია დიდ მხატვრულ ტილოებზე.

თავდაცვითი ლიტერატურის ფრონტი უცდის დიდი ხელოვანის სიტყვას — ეპოქალურ მხატვრულ ტილოს.

გრ. აროსია—ლექსი დაზგასთან	7
იაშა ბურჭულაძე—სესილი	5
ზაქრო დოლიაშვილი—ლოთი	10
ვ დარასელი—ყვითელი ფანქარი	17
გ. კალანდაძე—ჯორდანო ბრუნო	22
გიორგი თურმანაული—წითელი არმიის 16 შელი	27
დავით კობიძე—მოგონებები თებერვალზე	28
კლიმენტი გოგიავა—კაპარჭინას მებაღურნი	30
ნიკოლოზ ფხაკაძე—კომკავშირელი	49
სეზმან ერთაწმინდელი—უცნაური მტერი	66
დ. შამათავა—ბალადა დის შესახებ	79
მიხეილ ფოფხაძე—ახალი ოჩამჩირე	82
შალვა ამისულაშვილი—ფიქრები ვერხვის ქვეშ	85
ვ. ხობისპირელი—ჩინარი	87
ალექსანდრე საჯაია—სიმღერა სვანეთის მთებიდან	88
ალექსანდრე იასალიშვილი—გარღვეული ზღუდე	90
ამირან გაბესეირია—თებერვლის ალიონი მინდვრად	99
ალ. შანიძე—შაქირ	101
ავთანდილ კაშმაძე—ფრუნზელი	102
რევაზ მარგიანი—სვანეთის გზა	104
შუშანა მგელაძე—კომუნარები	105
შალვა ბაკიძე—მემანქანე	106
ალექსანდრე ურანელი—ორი ხეესური	107
ვალია კუპრაძე—ლამკვრელი მაღაროელი	108
ვერა შუბლაძე—ზამთარი	110
ნიკო ნუკრიანი—კოლმეურნე გლეხის ქალი თამრო	111
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	119